


# ლიტერატურული გაზეთი

№4(116) 28 თებერვალი - 13 მარტი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი



## ემზარ კვიტაიშვილი

### ორი ფოთოლი (ავტობუსის გაჩერებასთან)

სიცოცხლის, ტოტზე რწვეის,  
ამოუნურათ ვადა;  
ჩემს თვალწინ მოწყდა გუშინ  
ორი ფოთოლი ჭადარს.

ყუნები დაანყვილეს,  
ფარფატი შეატყუპეს;  
ერთი ასფალტზე განვა,  
ერთიც – გაეკრა გუბეს.

ნატიფად ჩამოქნილებს  
რა უნდა ექნათ მეტი –  
დანრეტილებმა, ორთა,  
ერთი ირგუნეს ბედი.

IV-V

## რუსუდან რუხაძე

### ერთი თქვენგანი გამცემს

Facebook Status: ვიცი, იესო ჩემი უკანასკნელი სიყვარული იქნება.

ათი წუთი გავიდა, არავის დაულაიქებია. სავარძლის საზურგეს მივეყრდენი და სიგარეტს მოვუკიდე. სამი ნაფაზი ზედიზედ დავარტყი და თავი გვერდით მივაბრუნე, ღია ფანჯრიდან შემოპარული აკაციის სურნელი რომ არ გამბნეოდა. მესამე დღეა, ერთი აბიც არ მიმიღია. თავს უკეთესად არ ვგრძნობ, მაგრამ მაინც მამხნევებს ის ამბავი, რომ ნებისყოფას უნამლოდ ვმკურნალობ. აივანზე გავედი, სიგარეტის ხელი განზე გავწიე და დაკითხვაზე ჩამწკრივებულ სანდროს გამზეურებულ პიჯაკებს ხელი შევავლე. დილიდან ერთი ღერი

თმა ვერ დავაცდევინე. რა გახდა ერთი წითური თმა, რომელიც ზუსტად იგივეს აინონიდა, რასაც ჩემი უკანასკნელი სამი წელიწადი.

შეტყობინების სიგნალზე ისევ ფეისბუქის გვერდს დავუბრუნდი. ოჰო, პირველი კომენტარიც ერისქალობაში ეკასგან, ფეისბუქში კატერინა-კატისგან: „ვაიმე, როგორი XXL გული გქონია“. ნახევარ საათში ჩემი სტატუსი ჩემს ქმარსაც მოუნონებია და საყვარელსაც. „რა იყო, ლენ, რა გჭირს?“ – მომწერა სანდრომ პირადში, „არაფერი, სან, შენ რომ ჩამოხვალ, ჩიტვით ვიქნები!“ იმ კვირაში ბრუნდება და მინდა, ცოტა მომჯობინებული დავხვდე.

VI-VII

## მარიამ ნიკლაური

\*\*\*

თეთრი მინდორი,  
შავი მინა,  
მწვანე მოლი,  
თივის ზვინები —  
ლამაზია დედამინა —  
მარადისობის მაჯის საათი.

\*\*\*

გვირაბების შავ სალამურებს  
მხნედ ამღერებს  
მზით მარხულთა ბებერი მოდგმა.

\*\*\*

სხვაგან უძვირესს  
აქ იაფად გადაწყდები.  
სიძვისბაზარი — ყველაფერზე ფასდაკლებაა.  
ჯოჯოხეთსაც თავის ბიზნესინტერესი აქვს...

VIII

საშობაო ფოტოცეკვა

საოცარი სურათი იყო. ძლიერი ქარი ხეებიდან წყვეტდა, ჰაერში დააფარფატებდა და ბოლოს მინაზე მოაშურებ-მოაშარი-შურებდა უამრავ ქარვისფერ-წითელ მნიფე ფოთოლს. მე მათ შუა ვიდექი და ვცდილობდი, შემესრუტა ეს აღმავროთოვანებელი სილამაზე.

როცა ყველაფერი ისე დიადა, სიტყვები აღარ გყოფნის განცდების გადმოსაცემად — მდუმარებას არჩევ, მდუმარებას, რომელიც დიდი სიხარულისა და დიდი მსუხარების გადაკვეთის წერტილზე ვანობს და, უდავოდ, ამ წერტილიდან ზენიტში ასულ ქუმარიტებას ერთვის, პირდაპირ ზესთა საუფლოს კარიბჭეს ადგას და აქ, ამ წერტილში უამრავჯერ მოხვედრილს, თვალზე ცრემლის ბურთულები გადმოგვიდებია — სიტყვების ტოლფასი, სამყაროს დიდი პოეზიისა და სიყვარულის საშობაო წვეთურები...

საბავშვო წუთები — სანათი

ზოგი წუთი მარადისობის პირისპირ გაყენებს, ზოგი კი — წარმავლობის ნიაღვარს მიგაყოლებს.

ნამდვილად არის ცხოვრების გზაზე წუთები, რომლებიც შენი ბედის გზაჯვარედინზე გადის, იქ კულმინაციას კრავს, იბანტება და სანამ მორიგ წუთზე გადაიქნის... რაღაც დიდი ხდება! საბედისწერო — კარგი ან ცუდი არჩევანი გაკეთებულია და გზაც იქითკენ მიემართება; ერთხანს, მორიგ გზაჯვარედინად, ველარაფერს ცვლი. თითქოს ისეა, მოგეცემა ამოცანა, დასახავ თუ არა მისი ამოხსნის გზას და... სანამ პასუხამდე არ მიხვალ, ამოცანის მსვლელობა მიედინება... მერე, პასუხი თუ სწორი აღმოჩნდება, ახალი გზაჯვარედინი გხვდება ახალი ამოცანით, უფრო გართულებულით — მორთული, რათა მეტი გასწავლოს, თუ მცდარია პასუხი, მაშინ მორიგი ამოცანა იგივე სიძლიერისაა — ადგილს ვატკეპნიხს, რომ როგორმე, ბოლოს და ბოლოს, მიხვდე და ამოხსნა.

ხან რა დიადა ნამთა ჩამწკრივება, როცა ერთდროულად, ერთმანეთის თანმიმდევრობით, რამდენიმე ფარდა იხდება და კულისებში იჭვრიტები — გეძლევა იმის შესაძლებლობა, რათა უკეთ დაინახო, სცენაზე რა თამაშდება... ბევრი როლი, ბევრი ამოცანა ერთად ამოხსნა... ხან კი, ყურებჩამოყრით, იცრემლები (რა სასაცილო მდგომარეობაა) და ყველაფერი ერთმანეთში გედლაბნება — არარაობის წუთები რეკენ! გაუსაძლისად! გრძნობ უსიცოცხლო დღეების გმინვას...

იქნებ ასეთი წამები, წუთები — დრო უფროობის განსაცდელად გვეძლევა სიცოცხლის ცეცხლოვან გზაჯვარედინებზე...

პირფასი წამი

ყოველთვის, ყველგან, ან და მარადის, სულ ერთი წამი წყვეტს ყველა საკითხს; ვერ დაიბრუნებ მის სიღიადეს, ვერც მის სიმდაბლეს ვერას უშველი, ველარ გამოცვლი წამის ნიღბდომილს და სულ ამაოდ აივსები სველი კაეშნით. დროა, ძვირფასო, იმ წამის წყრომას, იმ წამის ნიღბს დაეხმო ყური და სხვაზე არა, აი ამ წამზე შეაჩერო ან შენი ცნობა, მოუფრთხილდე, მოუალერსო და გულნაკლული აღარ გაუშვა; და როცა გავა, გაიხურავს ნიკნიკა კარებს, უკანასკნელად როს შემოგხედავს და თვალს ჩავიკრავს, შეგძლოს, უთხრა: — მშვიდობით, წამო, კვლავ შეხვედრამდე, მშვენიერი იყავი რადგან!


მთელ სიცოცხლეს ერთ დღე-ღამეშიც კი ვიმეორებ...

ერთი დღეც კი, ერთი დღეც კი რა სახსევ და მშვენიერია: განთიადი, სიცოცხლის დაბადება, სულიერთა და უსულოთა გამოღვიძება, მზის მისაღმების თავთავისებური (შემთხვევით არ მოხვდა აქ თავთავი) რიტუალები... ერთი დღის სიცოცხლეს ყველა სულდგმული შემოწერს... ვინ რას მოასწრებს, ვის რა უნდა, რა ძალუძს, ვინ — ქარს და ნიავს გაყვება, ვინ — იშრიალებს, ვინ — კვირტებს გახსნის, ვინ — დამწიფებას მოასწრებს, ვინ — ღრუბელივით, ფერ-

სა და ფორმას უცებ შეიცვლის და დღის სიუჟეტი — სასაცილო, სევდიანი, სერიოზული, დრამატული და ათასგვარი — მასკარადი მოიხაზება... და დღიდან დაწყებული, დაბადებული სიცოცხლე გაიფურჩქნება, გასურნელდება, გაყვავილდება და სალამოჟამს ყველაფერი დაიხურება — მიძინების მოვა განგება, წავა ფერები, ხმები და მას ლამის ძილი, მოკლე სიკვდილი შეენაცვლება. ნახვალ იქ და აქაური, თითქმის ყველაფერი, დაგვიწყდება... იქ სულ სხვა საქმეები დაგხვდება მოსაწესრიგებელი...

თამარ გაბროშვილი

სიყვარულსათანა



...და ძილ-ღვიძილის მთელი ზღაპარი, შეკრული „ჩვენს სიცოცხლედ“ ოდესმე, სადღაც, გულმოდგინედ წაიკითხება, განიხილება... და ეს ერთი დღე, ერთი დღეც კი, ასე სახსევ და მშვენიერი, შენი სიცოცხლის გვერდედ დარჩება და ოდესმე მაინც მოგიწევს შეცდომების გამოსწორება, ანდა — წინ წახვლა, ამ ლამაზი გვერდიდან შობილ, აღმატებულ სიცოცხლესთან — სიყვარულთან უსწორო ზიარება...

მართლაც, რა ბევრია, თუნდაც, ერთი დღე, როცა სულ ერთ წამშიც კი იქმნება ხოლმე მშვენიერება ან ბოროტების მსახვრალი ხელი სპობს მას...

შენ კი, ადამიანო, უფალმა რამდენი დღე გიბოძა საამქვეყნოდ, რომ ნათელგეყო შენი ცხოვრება... შენ კი მიჩანალებ და არა თუ წამებს, — დღეებს, კვირებს, თვეებს, და წელიწადებსაც კი, ვერ ანსხვავებ ერთმანეთისგან.

გამოფხიზლდი!

უთავაოლო

თავი წარსულის მსახურია, ხელ-ფეხი კი — მომავლისა.

ქმედება განაპირობებს მიმართულებას. ძრაობა გვთავაზობს უამრავ შესაძლებლობას, რაც, სამომავლოდ, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას გვძლევს. ამიტომაც მნიშვნელოვანი, რას აკეთებ და არა ის, — რა იცი.

უძრაობა — ჭაობის საიდუმლო და საოცარი საბრძანებელი, თავის ხილულ-უხილავი სპექტრით, ჰგავს წარსულს, ხოლო მდინარე თავისი შენაკადებით, ალაგ — ნაპირებიდან გადმოსული, ალაგ — აჩქევებული და ტალღა-ტალღა მინავარდებული, არის სიცოცხლე, მიმართული მომავლისაკენ.

დღევანდელი ადამიანის მოდელი ისეთია, რომ თავი მაღლა აქვს და ხელ-ფეხი კი ძირს, მიწისკენ ჩამოშვებული. წარმოიდგინე, პირიქით რომ ყოფილიყო — თავები დაბლა გვექონოდა და, გადასაადგილებლად, ბურთებივით გვეგორიალა. ასეც ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ არა, თავი მაღლა მიქცეული, ჩვენი წარსული ისაკენ. ჩვენ მაღლიდან ჩამოვითანეთ ჩვენი უნარ-ჩვევები. ჩვენი ხელ-ფეხი კი მომავლისთვის მზრუნველი არიან. ისინი მიწას გუმბათებივით ადგანან თავზე და, მიწას, რიგორც აღმზრდელს, დედას, ეფერებიან და ეფოფინებიან, თავს დასატრი-

ალებენ; ხელ-ფეხით ასრულებენ უამრავი სახის სამუშაოს, რათა უკეთესნი გახდნენ — გაამხილონ მომავლის სათავო ცნობიერება და, როგორც ხელენიფებათ, სრულყოფილები ამოძრავდებიან და მიჰყვებიან ინტუიციას, ფეხები წაყვავანენ იქ, სადაც თავს არც უფიქრია, რომ ახალი ბილიკები სწორედ მინაზე გაიკვლიონ; მინაზე მყარად დგომა, მიწის ძალები, მისგან აღმოცენებული საზრდო, ახალ-ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს და სასიცოცხლო თამაშში გვრთავს.

ნასკვი

ყველაფერი არსებობს ერთად და ცალ-ცალკე არაფერი არსებობს!

ეჰ, მეგობარო, შენ ამბობ, რომ არ არსებობს წარსული, არც — მომავალი; არსებობს მხოლოდ აქ და ამ წამს — ანმყო — რჩეული!

მე კი, შეხედე, რა მომივიდა: ვიცი, გრძელი ძაფი კერვისას რომ არ დაგეხლართოს, რომელ ბოლოთიც მოწყვეტ გორგლიდან, იმ ბოლოთივე უნდა ააბა ნემსზე და ის ბოლოვე აქციო ნასკვად. მერე შეგიძლია კერო მშვიდად და მშვიდად...

ქსოვილში ნემსი გავაძვრინე გრძელდაფაბმული — შორი მანძილი რომ გავიარე, მაშინლა ამოვაცოფინე ნემსს თავი ნაჭრიდან და გავითრიე. ველოდი, რომ გავკერავდი ან რთულ მონაკვეთს... მაგრამ... ძვირფასო, დამვიწყებოდა ნასკვის გამოკერა და მთელი ძაფი, უთავბოლოდ, გამოსრილდა და დამტოვა შეცბუნებული... არ ჰქონდა თავი, ანთუ — წარსული, იგივე ნასკვი, რაზეც შევძლებდი ნაკერის ასხმას და ვერც საბოლოო შედეგი — ე.წ. მომავალი შემომეგება და ის ანმყო კი — სათუთი კერვა, სულ მთლად ამაო და უაზრო ჯაფა გამოდგა...

...და ეს უბრალო მაგალითია ნათელსაყოფად ჩვენი სიცოცხლის დიდი არსისა: ძალიანაც კარგად, ნამდვილად, რსულად, დაუკარგავად არსებობს წარსული; ანმყო კი მხოლოდ გზა-ხილია მომავალში გადასასვლელად!

მხსენადრის დრო

როცა ადამიანთან გულითადი დალაპარაკება გნადია, ჯობს, საღამოხანს ესტუმრო, შეეხმიანო, დაურეკო — მოიკითხო, რადგან:

გამთენიისას ადამიანი იღვიძებს, იშლება და დიდწილად იფანტება გარემოში. საღამოთი კი ისევ იკუმშება, შინ შემოდის და შენი მასპინძლობა შეუძლია. შინ რომ ვამბობ, გულისხმობ მის მთლიან სამყარო — როგორც სახლს, ასევე მის ფიზიკურ სხეულს და სულიერ არსებას. მას — ადამიანს ეს „მასპინძლობა“ დაახლოებით 10 საათამდე შეუძლია, მერე უფრო მეტად იფანტება, ვიდრე გათენიისას. იფანტება კი არა და, ამქვეყნიური ცხოვრებიდან გათიშული განისვენებს. ღამის 12 საათის შემდეგ შეიძლება ეღვიძოს კიდევ, მაგრამ

ის აქ მაინც აღარაა, რამეთუ ღვიძილი აქ ყოფნას არ ნიშნავს.

აქ ყოფნა დიდი მოკრება და ძალისხმევაა ადამიანის მხრიდან, რამეთუ ირგვლივ ყველაფერი ჩვენს დასაფანტავადაა მოწყობილი. ამიტომაც, რომ ადამიანს მეორე ადამიანთან შესახვედრად კი არა, ნებისმიერი საქმის პირისპირ დგომაზე უჭირს, წარამარა ანებებს თავს, რაღაცას იმიზეზებს და ქარივით დაქრის წუთისოფელში.

მოდი, მოვბროვდეთ!

ჭკვიანი-ჭკუიანი, ნიჭიერი, გენიოსი, ზეგენიოსი ადამიანი კარგად მოგროვებული ადამიანია, მაქსიმალურად მოგროვებული. ადამიანს მართებს, მაგნიტივით მიიკრას თავისი ყოველი ნაწილი. რაც დიდი მაგნიტი, მით უფრო შორიდან შეუძლია მოიზიდოს, რაც ძალუძს. ადამიანიც, რაც უფრო „დიდა“, მით მეტად იზიდავს თავის დაფანტულ თავს. ხშირად ისეც ხდება, რომ ადამიანი ცდილობს, მაგრამ თავის თავს კი არ ჰქმნის და კრებს, არამედ სხვებიდან იზიდავს რაღაც-რაღაცებს — სხვისა თავისაში ერევა, კონგლომერატს ჰქმნის, რადგან საიმისო ინტუიცია არ აქვს, — თავისი შეირჩიოს და ... კი იზრდება, მაგრამ ინდივიდუალობას ვერ აღწევს.

არიან დაბნეული და ძალიან დაბნეული ადამიანები — მათ მაგნიტური თვისებები ნაკლებად აქვთ განვითარებული, ანუ — პარამაგნიტური არიან. მათ ჯერ მაგნიტი უნდა შეან თავიანთ თავში და მერე ისე შეძლონ თავის შემოკრება.

სი-პერობა

ადამიანის ცხოვრება სამ ნაწილად რომ დაგვეყო: ბავშვობა, მოწიფულობა და ხანდაზმულობა, თითოეულ მათგანს თავისი ღირსებით შევამკობდით. ამჯერად, უკანასკნელზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რადგან მათ უფრო ნამსვლელი ჰქვიათ.

თუ ადამიანს წილად გხვდა სიბერე, ეს, გარკვეულწილად, დიდი მადლია — მოგეცა შენი შესაძლებლობების გამოყენების სრული ვადა. ეს ის უამაო, როცა შეგიძლია, განინმინდო ყველა ადამიანური სისუსტისგან, მოტმანისილი ჭუჭყისგან, ნაღვლისგან. ყველა მოხუცი თითქმის ბრძენია. მას აქვს დიდი გამოცდილება; საამქვეყნო ჭირ-ვარამსა თუ დაღბინებას, მთელი თავისი მიზეზ-შედეგობრივობით, მის თავზე გადაუვლია და ყველაფერი ისევე იცის, როგორც პატარა ბავშვმა — შე უცდომლად! მაგრამ შეხვდებით სამი კატეგორიის მოხუცს:

პირველი — ვინც ბავშვობისასაც და დიდობისასაც კეთილი, სათნო, მოწესრიგებული, მოსიყვარულე იყო და მთელი ცხოვრება გარშემომყოფთა კეთილდღეობას მიუძღვნა.

ასეთი მოხუცისათვის სიბერის ხანა, ერთგვარად, მინიერი სიკეთის მოსავლის მომკის დრო იქნება — სახსევ ბარაქით, სიმრავლით და ყველანაირი უზრუნველყოფის საშუალებით. იგი არასოდეს იქნება უპატრონო, მიუსაფარი, ავადმყოფი, ხეიბარი, რადგან მუდამ თავისივე სინათლით განიკურნება.

მეორე — ახალგაზრდობასა თუ მწიფობაში ბევრ შეცდომას უშვებდა, ანჩხლობდა, ბოროტმოქმედებდა, შურიანობდა, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის თუ ზრუნავდა (ხან ამისთვისაც არა), იყო მკვლელი, ავაზაკი და ა.შ. და აჰა, სიბერეს მიუახლოვდა, შედრკა, ფიზიკური ძალა ძველებურად აღარ მოსდევს. მიხვდა, ჩადენილი ბევრი დანაშაულის ნიღ, მას და მისიანებს ასმაგად მიეზლოთ. რაღაც-ნაირად, მძიმე განსაცდელების უამს, ღმერთის ხელი იგრძნო და გადაწყვიტა, შეცვლილიყო, შეძლებისდაგვარად გამოეყიდა და დანაშაული თავისი თავისა და კაცობრიობის წინაშე — გამხდარიყო კაცთმოყვარე, ღმობიერი, შემწყნარებელი და ა.შ.

ასეთი მოხუცი, თავისი განვლილი გზის გამო, ათასნაირი დაავადებით იქნება „დაჯილდოებული“ და მისი ცხოვრების ნიღის შეცვლა-გამოკეთებას თან გაჰყვება ავადმყოფობის სუსხიანი, განმმმენდი ქარი... მომვლელი გამოუჩნდებიან და შეწევიან.

მესამე — მთელი ცხოვრება უზნეო და უბადრუკი რომ იყო, ავი და შხამიანი, თვლის, რომ დრო აღარ ჰყოფნის უფრო მეტი უმსგავსობის ჩასადენად და სიბერეშიც აგრძელებს გველაძულობასა და ვამპირობას, მერჩეულ და შეჩვეულ მავნებლობას, ამით „ბედნიერი“, სულით და ხორციით დაბინძურებული, სიკვდილის კარამ-

დე ისე მიდის, არაფერს ნანობს, არ იცვლება.

ასეთი მოხუცი, ძალზე საცოდავი, თავისივე ნამოქმედარიდან გამომდინარე, საზოგადოებიდან გარიყული, მარტო რჩება. გამყლავებულ თუ გაუმყლავებულ განუკურნებელ სენს ატარებს და, ბუნებრივი გადარჩევის პროცესში, სანაგვეზე იქნება გადასროლილი.

აი, ამიტომაც, სიბერე არის გამყლავებული ცხოვრება, რომელიც — ან განწმენდილი გაქვს, ან — განწმენდისთვის მოგეცა, ანდა — დამსახურებული სასჯელის აღსრულებად.

ამდენად, მოხუცის ცხოვრება არ გეგონოთ იოლი. 50-60 წლიდან ადამიანი კვლავ ირჩევს ამ სამი გზიდან ერთს. რა თქმა უნდა, ეს გზები არაა ისე მოწყობილი, რომ ერთიდან მეორეზე გადასასვლელი ბილიკები არ არსებობდეს, შემთხვევითობების, ბედის წყალობისა თუ საკუთარი მონდომების საფუძველზე, მაგრამ ჩვენ — ყველას უნდა გვსურდეს, ხელი გავუწოდოთ მოხუცს და მას ისევე დავეხმაროთ გზის არჩევაში, როგორც პატარა ბავშვს, ან მჩქეფარე ახალგაზრდას. მივცეთ შესაძლებლობა, იყოს ბედნიერი, ან ჰქონდეს ამისი სურვილი. საამისო გარჯა, როგორც გამრავლებული მადლი, თავადვე დაგვიბრუნდება იქ, სადაც ჩვენც მივალთ, სადაც საგულისხმო სიტყვა — „სიბერე“ წერია, რომელიც თავის ფუძეში გვიმხელს, რომ ეს არის ყოველგვარი ვნებისგან, ავნიანობისგან თვითგანწმენდის გზა, გზა ბერობისა, რომელიც უფლისკენ მიდის.

ტყუილად ჰგონია, ვისაც ჰგონია, რომ ხანდაზმული ცხოვრებას მორჩა, მან ყველაფერი უკვე გააკეთა, რაც შეეძლო, საქმე აღარ აქვს. გახსოვდეთ, რომ ყველაზე დიდი აღმართი ბებერს აქვს ასაკული!

იყავით გულმონყალენი, ძვირფასებო!

**ერთგვარადი!**

ამ ბოლო დროს ბევრი რამე გამოიგონეს ერთგვარადი მოხმარებისთვის, ვითომ ცხოვრების გაიოლებისთვის. სინამდვილეში კი — ამით უნდათ დაგვარწმუნონ, რომ ყველაფერი ერთგვარადია, თვით სიცოცხლეც და, როგორც ნებისმიერ ერთგვარად ნივთს, შეგიძლია შენს თავსაც ისე მოექცე — დააჭუჭყიანო, დააბინძურო, მოჭმუჭნო და შავ ურნაში გადაუძახო; მანამდე კი მოასწრო, რაც მოგეცემა — ყველაფერი თთანთქა, შეთქელიფო და გვერდით არც გაიხედო, არ დაინახო რა ხდება, რამეთუ ყველაფერი სულ ერთია, ერთგვარადია შენთვის.

რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი? აქ მუცელია ხრამი, რომელშიც ცვივა შენუხებულ-გამოფიტული სულის ნაწილები, შენივე ნაწილები.

...და ეს გზაა ცივილიზაციისა. სწორედ ამ დაკნინებულობამ, უნდობლობამ, გულგრილობამ, გაუფასურებამ, უსამართლობამ, ეგოიზმმა, როგორც მწყურვალს ერთი ყელუპი წყალი, ისე უნდა მოგანატროს ჭეშმარიტი გულითადობა, სათნოობა, პატიოსნება და ყოველი იმ მარცვლის გაღვივება, რომელიც კაცობრიობის დიდი გულის წიაღში კვალა და კვლავ და მარად ცოცხლობს და აქა-იქ მაინც ჰყვავის და ანთია, როგორც იმედის, რწმენის და სიყვარულის ნაპერწკალი.

თანდათან მოიშორე ყველაფერი ერთგვარადი — ერთ! ჯერ! ადი!!!

**თავს ზავით**

— აბა, მივდივარ.  
— მოიცათ, გამოვიცვალო.  
სააქაო ტანსაცმელი მაცვია.  
საიქაო რომელიღა?

— პი-პიი! პი-პიი! ჩუქ-ჩუქ, ჩუქ-ჩუქ... ჩუქ-ჩუქ, მერე უფრო ტემპში — ჩუქუნ-ჩუქუნ! ჩუქუნ-ჩუქუნ!.. ჩუქუნ-ჩუქუნ!.. ჩუქუნ-ჩუქუნ... პი-პიი! და ასე შემდეგ — მიდის მატარებელი... უწყვეტად მიდის. ალაგ-ალაგ ასიგნალებს, ანულებს სვლას, ჩერდება, აიყვანს მგზავრებს და მიჰყავს — აგროვებს ნამსვლელებს.

ამ მატარებელს ღიანდაგები არ აქვს, არ სჭირდება, ყველაგანმავალია. ვის კარებზე მიასიგნალებს, ვინაა გასამგზავრებლად გამზადებული, თავად იცის...

თანაც მისი ხმა-ძახილი, მხოლოდ მას ესმის, ვინც ბოქმზე დგას.

ისეც ხდება ხოლმე, მატარებელში ადიან შემთხვევითი მგზავრები — ესენი ისეთნი არიან, სადაც ღია კარს დაინახავენ, ყველგან რომ უყვართ შეხებუბა და ის კი არ იციან, იქ რა ელოდებათ; ანდა უნებლი-

ეთ ვილაც კრავს ხელს და ზუსტად ნამით შეჩერებული მატარებლის ღია კარში შევარდებიან ხოლმე.

მატარებელი აქედან შორს მიდის. შიგ მოხვედრილი მგზავრები ერთმანეთს ეკითხებიან:

— სად მიდის მატარებელი?  
— იქ! — არის პასუხი და ეს „იქ“ იმდენ ადგილს ნიშნავს, რამდენი მგზავრიცაა მატარებელში.

შიში მოხსნილია, უკან ჩამოტოვებული; წინ კი დიდია, ციურპირიზებით სავსე გზა!  
— პი-პიი! ჩუქ-ჩუქ! ჩუქუნ-ჩუქუნ! — მიქრის მატარებელი.

**ხუთი ხუთი**

„ფეხსაცმლის სასწრაფო შეკეთება“. კარი დაკეტულია. პატარა ფანჯარაში ნარწერაა „მოვალ 5 წუთში“.

მეორედ გავიარე, კარი ღიაა, ნარწერა მარადუცვლელად ადგილზეა, ისევე გვაუწყებს: „მოვალ 5 წუთში“.

ის კაცია, როცა სახელოსნოში არაა, ცხადად ჩანს, რომ არაა და დაელოდები ხუთი, ან ხუთჯერ ხუთი წუთი, მაგრამ როცა იქაა, სინამდვილეში, არც მაშინაა იქ; ნარწერაც ამას ამბობს.

ნეტა, სადაა ხოლმე ის დალოცვილი? იქ ხომ არა, სადაც ფეხსაცმლის შეკეთება საჭირო აღარაა, რამეთუ არც გჭირდება, — შენი ნარწერა და „წუთისოფელი“ არავის ახსოვს.

ერთხელაც გამოველაპარაკე. გრიშა რქმეგია. პატარა ბავშვებს, მისი სამყოს სანვიმურზე ხელნაკეთი ქალაღის სათამაშო ყვავილი, რომელიც ჰაერის შემობერვისას ბზრიალებდა, მიემარებინათ. ხის პატარა, მოგრძო ჯოხი, მერე ყვავილი, ბოლოს ლურსმანი ყვადობილი — ფერადად ფრიალებდა ყვავილი დასტურსიყვარულისა იქ, სადაც სულ 5 წუთში მოდიოდნენ და ვერ მოდიოდნენ.

**ტრანსპორტი, რომელიც ჰაერით მუშაობს**

ადრე, სადაც რომ მივემგზავრებოდით ხოლმე, ბენზინგასამართ სადგურში ვჩერდებოდით, ე.წ. ბაკს ვავსებდით ბენზინით და გზას ვაგრძელებდით. ახლა ჩვენი მანქანა გაზით მუშაობს. გაჯერდით გაზის დასატუმბად. მგზავრები მანქანიდან უნდა გადმოხვიდეთ და ცოტა მოშორებით დაიცადოთ. ვდგავარ მოშორებით, შეეყურებ ჩვენი გიორგის „მარჩს“ და ფიქრობ: — რა კარგი იქნებოდა, არსებობდეს ისეთი მანქანა, რომელსაც ამდენი საშინელი და საშიში სანავი არ დასჭირდება, უბრალოდ, ჰაერს გამოიყენებს-მეთქი... გავიფიქრე და გონებაში მყისიერად ამომიტივიცვდა ასეთი „ტრანსპორტი“, რომელიც ჩვენს რეალობაში მართლაც არსებობდა და მას შეეძლო 9 თვის განმავლობაში „მგზავრი“ სადღეღამისოდ ეტარებინა.

ამ ტრანსპორტს ფარად თვალები ჰქონდა, ფილტრად — ღვიძლი, ჩარჩო-ხიდად — ხერხემალი, ძრავად — გული, კარბურატორად — ფილტვები, ჰქონდა ჰაერის მიმღები და წვის პროდუქტების გამოყოფის სისტემა, წვიმის სანმენდად 2-ჯერ 99-წამნამიანი წყუთითობი, კარვად — ხელფეხი (ოთხკარიანი), ავზად — კუჭი და თქვენ ნარმოიდგინეთ საჭეც კი ჰქონდა...

და ეს იყო — ღვთაებრივი შესაძლებლობების მქონე არსება — ფეხმძიმე ქალი, რომელიც თავისი მუცლით ჩასახვის დღიდან დაბადებამდე ატარებდა ბავშვს; ტრანსპორტი, რომელსაც გაჩერების ორი სპეციალური სადგური ჰქონდა, სადაც ხორციელდებოდა „გადაჯდომა“ — ჩასახვისა და მშობიარობისა.

...და ეს იდუმალი „ტრანსპორტი“, ჩვეულებრივი — ბენზინით, გაზით, ელექტროდენით მომუშავე ტრანსპორტისაგან კიდევ იმით განსხვავდებოდა, რომ თავის პერსონალურ მგზავრს — ახალშობილს, ფეხის ადგმამდე თავისი რძით ზრდიდა, რათა ლილისფერ-მტრედისფერი სითხიდან გადაეცა ის მადლი, რომელიც ჩვილსაც იგივე შესაძლებლობების მქონე — ჰაერით მომუშავე არსებად ან არსების შემქმნელად აქცევდა.

**დედის რძე**

ჩვილი დედის რძით იკვებება, დიდი ადამიანი — დედამინისული ნაყოფით. ამიტომაც მინაც ადამიანთა დედა. დედა ქალი მთელი სამყაროს ცოცხალი მოდელია, რომელიც იმეორებს დედამინის სიცოცხლისუნარიან ძალმოსილებას — გამოკვებოს ჩვილი და ფეხზე დააყენოს, დაამკვიდროს მინასა ზედა...

რძის სადინარები, ქალის ამოუნურავი ფუნქცია, ღვთაებრივია; ამას მოწმობს ქალის რძის ფერიც, შეუდარებელი, შეუცვლელი, თეთრად მოცისფრო-მოყვითალო, მნათი და ნოყიერი.

მადლიერი უნდა იყოს ყველა ქალი, და სათანადო პატივი მიაგონ ყველა ქალს, ვინც დედად და ამ მადლის მატარებლად იქცა, ვინც ახლის შექმნა-დაბადების მარადქალური უნარი გამოავლინა.

**მკლითა მკლე — დედა**

ჩემმა ვიოლინოსითობა შეიღმა სარეცხი რბილად განურა. — ეგ რა არის-მეთქი, — ვუთხარი და მე — კალმისითობამ ხელახლა გავწურე.

— ვაი, შვილო, მეტი ძალა არა გაქვსო? — გაიოცა დედაჩემმა და ძლიერი — ამქვეყნიური ხელეებით ისე განურა მთელი სარეცხი, მეექვსე სართულიდან გადაფენილს, ერთი წვეთიც აღარ გავარდნია.

ვფიქრობ, ჩემს შვილიშვილს საერთოდ თუ ეცოდინება, თუ შეეძლება განურვა?... თუ სარეცხის მანქანა მოემსახურება და საჭირო აღარ იქნება... თუ...

**სიცოცხლის პაროდია**

ბორშს ვაკეთებდით.

— ხედავ, გაზაფხული მოდის და ეს სტაფილო და წითელი ჭარხალი როგორ დაბერდნენ, გამოჭკნობა დაინყეს. ესლა ესენი რომ დათესო, ამოვა სტაფილო და ჭარხალი, რომლებიც თესვებს გაიკეთებენ. მომავალ წელს იმ თესვებს დათესავ და ისევე ახალი სტაფილო და ჭარხალი ამოვა. მაინც რა არის ბუნება, არა?

— ბებერი დედა ბებერი ბოსტნეულისაგან ბორშს აკეთებს, — გავეხუმრე. გაცივია.

— მართლა ყველანი ბებრები ვართ... სტაფილოს სიცოცხლეგრამა ასეთი გამოვიდა: სტაფილო ჩადის მინაში, ამოდის სტაფილოს თესლი, თესლი უბრუნდება მინას და ამოდის ისევე სტაფილო.

სტაფილო, თესლი, სტაფილო და ა.შ. ამგვარადვე — ადამიანი, თესლი, ადამიანი... განსხვავება ერთია — ადამიანის თესლი მინაში კი არა, ქალის მიკროკოსმში ურ ნიაღში — საშვილოსნოში უნდა გავლევდეთ, რომ ადამიანად იქცეს, თავად თესლი კი მიეცემა მამაკაცს მაკროკოსმიდან, როგორც სამყაროს მტკვერთან გაიგივებული სიყვარულის სინჯი, აბსურდის თოჯინების შესაქმნელად და მათ მიერ ბოსტნის დასაგურგულელებლად!

**შამოგავლა**

ადამიანი მარტო ფიზიკურ სხეულს არ წარმოადგენს. იგი მასზე გაცილებით მეტია. გარემოცულია სხვადასხვა სუბსტანციის ფაქიზი, უხილავი, სულიერი სხეულები, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის სხეულით — „მე“ სხეულით. ეს ის სხეულია, რომელიც მხოლოდ ადამიანებს ებოძათ და დაბადების შემდეგ თანდათან შემოდის სხეულში და ხანდახან ისეა, რომ თავისი სიდიადისა, სიდიდისა თუ სიღრმის გამო, სულ შემოდის და შემოდის, მეტი და მეტი ძლევამოსილებით. მის რაღაც ნაწილს ვფლობთ, რისი ამთვისებელნიც ვართ, ხოლო უფრო მეტი, უფრო მალაღ, თავზე გვადგას, თავს გვევლება, რათა... დაგვიცვას კიდევაც, თუ საჭიროდ სცნო, უფრო მეტად შემოვიდეს ჩვენში, გაგვამდიდროს და გაგვადიქროს.

ზოგისგან გვამენია გამონათქვამი: „თავს ზემოთ ძალა აღარ მაქვსო“. ეს სწორედ ის, ჩვენზე აღმატებული ძალაა — პოტენციურად ჩვენი.

როცა ადამიანი გიყვარს და ეუბნები: „შენ შემოგვევი!“ — ნიშნავს, რომ ის უხილავი ძალა, რომელიც შენთანაა და გაძლევს ქმედითუნარიანობას, მის თავზე გადაანაწილო, მის ძალას შეუერთო შენი ძალა — ეს უხილავი სიყვარულის შარავანდედა და ყველაზე ზუსტად თუ ვიტყვი, საუფლო ძალაა — ქრისტეს შემოსვლა შენში! რომელიც, რაკი თავზე გადაგას, თავს გვევლება, გმსჭვალავს კიდევაც თავისი „მე“ არსით.

**დედის სიყვარული**

ქალი ჩამოდის სამარშრუტო მანქანიდან. ჩამოუვარდა დიდი, წითელი, ოთხთველიანი, პლასტმასის სათამაშო მანქანა; თვითონ ზედ დაემხო; ძლიერად წამოგია; როგორღაც მოახერხა, მანქანა აითრია, გულზე მიიხუტა და ქუჩა ბავშვებით გადაჭრა. ნაომარმა დედიკომ თავის შვილიკოს მაინც აღმოაფრენით წაუღო საჩუქარი.

ვინ იცის და... თავის ბიჭუნას, ახლა ამ მანქანით კარგად რომ გაერთობა და გაიხ-

არებს, დიდი ვაჟკაცი რომ გახდება, სულაც აღარ გაახსენდეს, რა გარჯით, წვალებით და თან სიხარულით მოჰქონდა დედას ყველაფერი და უკვე წამდვილი, ანდა საუკეთესო მანქანა რომ ექნება, შიგ აღარც კი ჩასვას, სხვადასხვა მიზეზთა გამო, დრო აღარ ჰქონდეს მის სამსახურად.

ბებრუხუნა, ხელჯოხიანი, ნელში მოხრილი, ბრუციანი დედა როგორმე მოახერხებს სიარულის თავის გადასარჩენად, მიანყდ-მოანყდება ცივ და სველ ტროტუარებს და, ვინ იცის, იმ ადგილზეც შეჩერდეს, სადაც ახლა სათამაშოს ზედ დაემხო, გაახსენდეს და თვალზე ცრემლი ჩამოუგორდეს.

ვინ იცის...

ო, დედაო ღვთისა, იქნებ შეაძლებინო დედას, აღზარდოს ისეთი შვილი, რომელიც დედის სიყვარულს ბოლომდე შემოინახავს; ყოველდღიური მზრუნველობის მიღმა დაატოვებინებს სამახსოვრო კვალს, რომელშიც მუდამ იბიბინებს სიყვარული... და დედის მიერ ასეთნაირად გავლებული სიყვარულის კვალზე ჯერ შვილი გაივლის, მერე შვილიშვილი და სამყარო იქნება მართლაც მონყალე და მოსიყვარულე.

დედაო ღვთისა, შეისმინე ჩემი ვედრება, შეენი დედის ფუნჯა სულს, ხატოს სიყვარული ქვეყანასა ზედა.

**ერთი**

დედის ნიაღში ბავშვი კოსმიურ, იდეალ სივრცეში იზრდება. იქ არაა დიდი სინათლე, ჩანჩქერები და კიდევ ბევრი სხვა რამ, მაგრამ დედა-ქალი ისეთი გამტარია ყოველივესი, რომ ჩანასახამდე საიდუმლო გზა-შრეებიდან აღწევს ყველაფერი. ბავშვი ოკეანეში დაცოცრავს. ყველაფერი ესმის, ყველაფერს ხედავს, რაც ხდება არა მარტო დედის გარეთ, არამედ მთელ კოსმიურ სამყაროში.

თესლიც, რომელიც მინაშია ჩაფლული, განა იგივენაირად არ ჰპოვებს საზრდოს? მისი დედა-მინა ჰაერის, წყლის, სითბოს — მზის სხივების მშენივერი გამტარი, დაუცხრომლად სუნთქავს, რომ თესლს გული გადაუხსნას და მისგან თერგი, ყვავილი ამოიყვანოს. მინაშიც ნიოქოს სიბნელეა, სიმშრალე, სიცივე, მაგრამ იქაც ყველაფერია.

და ერთი რამ კიდევ: ერთი კურკიდან ამოსული ნერგი, ერთი თესლიდან ამოსული ყვავილი უამრავ თავისნაირყვავილიანს ან კურკიანს ისხამს — იქცევა ერთი ათასად....

შესაძლოა, ადამიანიც უამრავ თავისნაირს შობს და ისინი ყველგან, ყოველთვის ერთმანეთს ცნობენ.

**უს სი-მინია — სიმი-ნლი!**

ექსკურსიაზე ვიყავით ყინწვისში. შეგჩერდით იქვე, შორიხლოს, ტყეში, სათანადო ადგილას და კოცონი დავანთეთ. ჭყინტი სიმინდი და კარტოფილი უნდა შეგვენვა. სანამ კოცონი დაკოცონდებოდა, ანუ ისეთ ნაკვერჩხლებს მოიკიდებდა, რომელზეც შეწვას შევძლებდით, ერთი საშუალო ზომის ტარო ავიღე და ერთ სიგრძეზე ჩამკრივებული მარცვლების დათვლა დავიწყე. 45 მარცვალი აღმოჩნდა; მერე ნაქუჩს გარსშემოვლებული მარცვალთა რიგები დავთვალე. 10 იყო. 45X10=450. აღმოჩნდა, რომ იმ ტაროს 450 მარცვალი ჰქონდა. გაკვირვებულმა ხმამალა რომ ვთქვი, არ დამიჯერეს. ვინც ყველაზე მეტად არ დაიჯერა, მისთვის სპეციალურად ერთი დიდი ტარო შევარჩიე, ფუჩჩი არც კი გავაცალე და სხვა, დარჩენილ ტაროებთან ერთად, სახლში გავატანე. სანამ მოხარმავ და შეჭამე, დაითვალე და გამაგებინე რამდენი მარცვალი ექნება-მეთქი. ვაი, ამას რა დათვლის, ვერ შეგპირდებითო. ვასწავლე როგორ დაეთვალა. მეორე დღეს დამირეკა, 600 მარცვალი ჰქონდაო (ეს ყმანვილი გიორგი თურმან-იძე იყო).

ერთ ჯერზე კაცი ხან ორ ტაროსაც კი მიირთმევს, როცა ნედლია, გემრიელად შემწვარი ან მოხარშული და წარმოგენაც არ აქვს, რომ ამ დროს 1000 მარცვალს ჭამს. ეს ხომ სასაოცრებოა. ერთი ტარო ერთი მარცვლიდანაა აღმოცენებული. ხან ერთ ძირ სიმინდზე 2-3 ტაროც კი ასხია, ანუ სამივე ერთად, საშუალოდ 1500 მარცვალი სულ ერთი მარცვლის მონაპოვარია. ეს სიმინდს მუშძლია. მსგავსად ქმედებს ბევრი სხვა მცენარეც.

...და რა შეეძლება ადამიანს?! — გაცხილებით მეტი! სად მიდის მისი გამრავლები კეთილი კოეფიციენტი? ო, ალბათ უსასრულობისკენ...

ეს მაკავებს

ნუ განვრილდები და ნურც განყდები,  
მეხსიერების ძაფო,  
არრა მეტყობა გამოშრეტისა,  
რაგინდ არ დავიძაბო.

ნათბ მინდვრების მოაქვს ნათება  
დილის ცას, ოქროცურვილს,  
შიშიც არა მაქვს ხელმოცარვისა –  
დაგუბებული ურვის.

მსხმოიარეა ხე ჩემი მოდგმის  
და არც ბებრულად მცივა,  
გაკიდულია ხილვები ქარში,  
ჩემგან ასხმული მძივად.

ლაჟვარდს მოვწურავ, რვაღში, ნაჭედში,  
გაფურევი გიშერს, ქარვას...  
მზით დაფერილი დარჩება სიტყვა,  
თუ ყველაფერი წარვალს.

კვლავაც არ დავისაჯობ

არ გახსოვს, ღმერთი რომ სუფევს ზემოთ,  
გულზე, ნაკანრზე, ძმარი მეველება...  
ცუდად ირჯები, მამულო ჩემო,  
ეცაღდე, ღირდე ვაჟას ცრემლებად.

მიყრილ-მოყრილან სადიაცონი,  
ჯგროც ვერ გიშველის ჩემისთანათა;  
რამდენს დააფენს და გადაწონის –  
ატირებული, ხატთან, სანათა.

ბაბო დადიანის ქალიშვილი

(ჭაბუა ამირეჯიბის პანაშვიდზე)

იმ ყურადღებას, უცნაურს,  
არაფრად თვლიდა დიდად;  
გმირი, მუსტაფა შელია,  
ერთ გოგოს ვარდებს სძღვნიდა.

საცა გადაეყრებოდა,  
ვარდს მიათმევედა თითოს,  
თან ანიშნებდა: ყვავილი  
მაგ თქვენს ხსოვნაში იდოს.

ენახვებოდა, დროდადრო,  
რაინდი, ჭეშმარიტი;  
მამადახვერეთილ ქალწულის  
სხვაგვარი ჰქონდა რიდი.

ხდება სიგლაზე ყოველი  
მალულად და უეცრად –  
გათენების ხანს ქალაქი  
ხმამ, გასროლისა, შეძრა.

ქუჩაში უღვთოდ მოკლულის,  
ვინ დააცლიდა ნახვას –  
მისივე სისხლით განბანის,  
თათულის ცრემლიც გაყვა.

ვისსენაზ პატრიარქის კონცერტს

ეხლებოდა კედლებს, მალალს, ნუხანდელი ტაში...  
რა სიუხვე... გავეხვე – ათას უცხო ხმაში.

ვწევარ, გასავათებული, ღამის გასათევად...  
ორჯერ თუ გაგინყდა სიმი, გწამდეს – გასამდება.

მინას ვწყდები, ისევ ცაში მეგულება ძალა...  
მინდა დავიბრუნო, რაც რო გასხლტა, გამეცალა.

ჭერს გაეკრა, სახეზედაც ჩრდილი გადამიარს...  
მიკვირს, ზოგჯერ ისე ცოტა ყოფნის ადამიანს.

არასოდეს წაიშლება, გულში რაც ამოწვი...  
ანათებდა ჰანგებს, ღვთიურს, მაღლი მისი ლოცვის.

ბაოლო უჩალო მამოგანათა

(„წმინდა გიორგი და დრაკონი“)

ურჩხული გამოქვაბულის კართან.  
შუბლნაძგერების ხავილ-ხროტინი  
ცას წვდება, მალე მოიღებს ზღართანს,  
ცეცხლს ყრის თვალეში, საცრისოდენი.

გაშლილ ტორებზე კლანჭი სამ-სამი –  
ფხაალესილი, ელავს ნამგლები...  
სისხლს არწყევს სასიკვდილო საესავი,  
განგმირულია ქვეყნის ამკლები.

ფოლადის სალტედ თრთის, იხლაქნება  
კუდი – სხმარტალა და დახრტილული...

ემზარ კვიტაიშვილი



გზის, მენამულის, უჭირს გაგნება  
ქალწულს – სიზმარი თუა, ხილული.

ყალყზე შემდგარი თეთრონი ფრთხვინავს.  
ახალი მთვარე-ტბა სამყურათა.  
ოქროს მარჯვენა ჰქონია, ვინაც  
შეკრა ყოველი ზღაპრულ სურათად.

სქავიღუშინის სურათი  
პინდისის მონასტრის სავანეში

ძენის ტოტი, დანწული, ფანჯარაში – წვიმა...  
თეთრად სირმავს ჭერს, კედლებს – დედა სერაფიმა.

გაშლილია მინდორი, სიკეთის და ხვავის...  
დილა დაკრეფს ზიზილებს, პირზე რომ უყვავის.

მხრებზე გადაფენილი, ბეჭებს ფარავს სქემა –  
რალა დაძღვებს, იმისი ლოცვა ვინც იგემა.

არ ჩაქრება სანთელი, მისგან ანანთები...  
სტეპებს, უკიდევანოს, ამჯობინა მთები.

ქრისტეს მაღლი მოსავდა, არ უვლია ცალად;  
მინას, ნილ-ხვედრს ღვთისმშობლის, თავი ანაცვალა.

ლურჯი, ვინც გადაჭიმა თალი – ფართო არკა,  
ანგელოზიც, მის მკერდზე, მანვე ამოქარგა.

სახეს, მისას, არყისხის ეკრა სისპეტაკე...  
საგალობელს, უფლისა, ამოსთქვამდა ბაგე.

სათნობის ღმილი დაგვენახა რათა –  
ზღვა და ხმელი თვალეშა, მისმა, ჩაიხატა.

დავითის ქნარს ასხმია, უკვდავების სიმად;  
გამკითხავი ყოველთა – დედა სერაფიმა.

თამარ ერისთავის გაცილება

(წმინდანად შესარაცხი)

კუბო. გრძლად დახვეული,  
დაცრემლილი ვარდები...  
კედლის ძირში, გათოშილ  
შავ მინას მიბარდები.

ლექსში ნუხდი — ბალიშის  
ბუმბულმა დამჩხვლიტაო...  
ლიტანიას გპირდება –  
ტაძრის თალი ლიტაო.

ალვად რომ ირხეოდი,  
გიმეტებთ დასამარხად...  
რა თვალეში ჩაგიქრა,  
თაფლისფერი, თამარქალს.

ჩრდილივით გვეპარება  
კვიპაროსი – ლატანი...  
ცალკე გვზაფრავს ეგ წასვლაც,  
ძნელად გადასატანი.

მშვენიერი პოეტი ქალი

სურათებზე, ბიჭობის, არც ისეთი უშნო ვარ...  
წავიკითხე ყმანვილმა – ვერონიკა ტუშნოვა.

თეთრი ყელი უჩანდა, შავი კაბა ემოსა,  
უყვარდა ლექსები, ტყის ვატყობდი გემოსაც.

იმეტებდა ყველაფერს, უშურველად, ამაყად –  
გულს, სხეულის სითბოსაც, სძღვნიდა რჩეულ მამაკაცს.

ცაცხვის ბანგი ათრობდა, დღეს ეტრფოდა ქარიანს...  
მინყდა ჩქროლა მდინარის, ამაღაც უჩქარია.  
სიყვარულით გათანგულს, სხვა ნაღველი ღარავდა,  
გაიყოლა სულეთში შუქი უენიყარათა.

ერთი დღე ჯამალ ჩახავასთან

(სოლოლაკი. დადიანის ქუჩა)

სუფრა. აგურის დაბალი თალი.  
იგი სილალის წუთებს მჩუქნიდა.  
ტაბლაზე დახრა მოწყენილ სახის,  
მთვრალეები გამოვედით დუქნიდან.

სხვებს გადვულოცეთ დოქი თუ ბოცა,  
მივყევით აღმა-დაღმა ფოთილას;  
სულ უხაროდა, ვეტყვოდი როცა,  
რომ დედულეთი, ჩემი, ფოთია.

ესეც – ოცი წლის თოვლი და წვიმა.  
შემოჯარული მთები ბოლავდა...  
ვისსენებ რამდენ ნამცვერევს და წვრილმანს –  
ღირს გახსენებად, მოსაყოლადაც.

კეთილი მკობელი მოგაგონდა

(ნადია ხუნდაძე)

რა მყუდრო ბინა გქონდა,  
ჩემო დეიდა ნადი!  
მამადაჭერილ ყმანვილს,  
სულ მისრულეზბდი წადილს.

ძველ კარადაში, კაკლის,  
ტომები გენყო ბრემის,  
მიფერადებდი დღეებს –  
მონყენის და დაღვრემის.

სხვა მაღლი ჰქონდა გამზირს,  
მახსოვს იანვრის თოში –  
შენი ბერეტი, თეთრი,  
დიდ ფანტელს გავდა თოვლში.

საკონდიტროში შეველა  
და ფილმის ნახვაც ბოლოს,  
ეკრანზე, ვენეციელს,  
ვუმზერდი მარკო პოლოს.

ღამით სანთელი გენთო,  
ხან – შიშინებდა ნავთი...  
მე და დედაჩემს, საწყალს,  
მანუგეშებლად გვყავდი.

ლევან თოფჩიშვილის სამარხთან

(ჩემი ბიჭის გვერდით მარხია)

ადრე ჰქონდათ დათქმული,  
ეს არ იყო ელდა,  
ბოროტებამ, უნილობმ,  
წრეში მომიხვლათა,  
მომესივნენ – ათნი ერთს,  
მსხვერპლი გაგხდი მკვლელთა.

დაუნდობლად მჩეხავდნენ  
უკვე ათგან დაჭრილს,  
ვერაგულად მიპარვა  
თვისებაა ლაჩრის,  
ის ცოდვა ჯოჯოხეთის  
ყელში ყველას გაჩრის.

ვერ დამხიეს, კვეთებამი,  
მომეკვეთა ბოძნი,  
მაინც ფეხზე დაუხვდი  
სიკვდილს, მათგან მოძღვნილს...  
მესიზმრება – ნიავი  
საფლავის ვარდს კოცნის.

საბრალო დედაბერი

(ტყონიას ქალი იყო)

მთელი უბნის ბებიავე, სოფლის ქვრივო, ბაბინე,  
შენივე ყვაილები – გულზე ვერ დაგაფინე.

გავხედავდი სამებას – ხან წვიმდა, ხან – მოთოვდა...  
რა შერჩევა იცოდი სამკურნალო ფოთილთა.

დავიწყება სიკეთის კაცთა ძველი სენია;  
გაკითხავდნენ, რამდენის წყლული მოგირჩენია.

ვხვდები, იყო რა მწარე, შენთვის ღამის გათევა...  
ერთადერთი ვაჟკაცი დახვრიტეს ჯალათებმა.

გლოვა, გაუთავები, წელში ვის არ მოხრიდა;  
მარტო იყავ, არავის ანუხებდი ოხვრითაც.

ჭრიჭინების კრინს ახლდა კალიების მალაყი...  
შენს წაშლილ სამარეზე არ ბიზინებს ბალახიც.

სასაფლაოს ჯაგები, ღმერთო, ამაკაფინე;  
მომალანდე ერთხელაც, მონა შენი — ბაბინე!

**უცარი ქინი**

ლურჯი იასამნის გვერდით,  
აკაცია გაიპუნტა,  
ისე ფშვინავს და ქათქათებს,  
ღვთისმშობელი გაიფენდა.

რა ტიტები ჩამოჭვნა და  
რა ვარდები გაისრისა...  
ხომ არ შევსვა სანამლავი,  
დამლევია მაისისა!

**განახევრებული ივნისი**  
(რკინის ხვეული კიბე)

ვწელავდი ლოდინს, აქამდე  
როგორ გავძელი ანკი?!  
ნიავეზე მოედინება  
ცაცხვის სურნელის ბანგი.

ვუმზერ ცახცახას, ჩახვეულს,  
ვიცდი, გადიქცეს ნავად...  
ნეტავი, სამარადისოდ,  
შიგ ჩამსვა, მანანავა.

ედემის ბალსაც შემურდეს,  
რა სურნელებაც დღეს თოვს...  
იმის უამესს, ვერცა-რას  
ვერ შეისუნთქავს ნესტო.

რას ვმისნობ, რას ვეტმანსებ –  
სულს სამყაროსას, ატმანს?!..  
ძლივს მოინველა, რამდენი  
მანვალა ნელინადმა...  
ჩხიბვა, მაგია, ათმაგი,  
რის მაგიერად დათმო?!

ვწრიალებ, გასაბანრავი,  
ყველა წრეს გადავდი...  
მახელებს, ვინ ჩამაყოლა –  
ნდომა, ათასჯერ მეტი?!

ძნელია თვლა და დაკარგვა  
იმედთა, წარსახოცთა...  
გაისამდრომდე, კვლავ ერთი  
წლის დამჭირდება მოცდა.

**წლებს გაყოლილი**

შეტოკდება, შეხტება  
გული, შენ რომ დახან...  
გაგისხენებ, მკერდგახსნილს,  
გამეღვიძა რახან.

ზღაპარს გავდა ნიავეზე  
კაბის კალთის კეცვა,  
იასამნისფერისა,  
იმ აპრილს რომ გეცვა.

ბედნიერებისაკენ –  
არ ვარ გამხედავი...  
აპრილმავე წამართვა,  
ბოლოს, შენი თავი.

**საით გაქანდი?!**

ვერსად გიხილავ სიზმრების გარდა,  
არ ჩანს წყვედიადის ქერი, სიფართე...  
მას მერე, რაც დაიკეცა ფარდა,  
არც იცი, რომელ მღვიმეს მიბარდე.

არცერთი ღრიჭო, არცერთი ბზარი...  
გრანიტის კედელს რითი შევება...  
შეხორცებია სიბნელეს ქარი,  
ბიჭი ხარ, სცადე განცალკეება!..

მაზრიალებდა, მაკანკალებდა,  
მზარავდა სულთა ტაცება, პარვა...  
ნუ გამახსენებთ, რკინის კარებთან,  
ხელდაშვებული, რამდენჯერ ვმდგარვარ.

**თანდაყოლილი უიღვლოვა**

წამლავს კაცის გუნებას  
ის მედუზა, გორგონა...  
ორი ცოლის საფლავეზე  
ის ვანყოზ ორ კონას.

დაბადებას ვინყველი,  
ხან მშვიდი და ხან – დელი...  
უფლის ხატთან, მათ ხსოვნას,  
წყვილი იწოვს სანთელი.

კარგს მოველი აღარას,  
უტყვი, თავდანაღირი...  
ოჯახს ვერ მოვუარე,  
მარტოს მინევს ჯახირი.

**რას რა მოსდევს**

ღერო ხმელ წკირად იქცევა,  
რუმ თუ არ ინანკარა...  
თვალმონკურული, იხილავ –  
ფერდზე შეფენილ ფარას.

რთველი რომ გადაიხუვლებს,  
რას ვიზამ ხილის წუნკი...  
უხდება დილას, ზამთრისას,  
ყინულის რანკა-რუნკი.

ვიცი, ფეხდაფეხ მოჰყვება  
წვიმას გრიალი ქართა...  
დედამინაზე ვერარას  
შეხვდები ხეზე მართალს.

**უსასოოზა მიტავს**  
(წინაპრის კვალდაკვალ)

გასახარებელს, ცოტასლა ველი,  
მიახლოვდები, ცივო ზამთრო!..  
უჟმურმა ისეც დამრია ხელი,  
დღეები, ჩემი, არ გაამდარო.

რამდენი ნატვრა მიმყვება ჯავრად –  
ერთხელ ვერ ვნახე ხანძთა, ოპიზა,  
ოშკი, ხახული, ვერც საბას ლავრა,  
დამძალა შიშმა, მარტოობისა.

**სათავისკენ ღტოლვა**

სადაა, ვისაც იმედად ვყავდი,  
მიგნება, ხილვა მწაღს სათავესი;  
„დავითიანი“ დავიდე თავითი,  
უნდა მივენდო იმ ძველ კლავესინს.

რალა ვიღონო, თუ ქართლის ქნარიც  
ტოტზე, ძენწისა, დაიკიდება,  
წალეკავს ყანას ეკალი, ნარი,  
შეგვიქცევს ბრიყვთა ფუჭი დიდება.

ვერ შემაკავებს ლოდების სისქე,  
ამ ერთხელ დავედრები გულადებს,  
ორაგულივით მივიწვევ მისკენ,  
აღვესრულები ორაგულადვე.

ზურგზე გადავივლებ ქაფშერთულ ჩქერებს,  
ხეობის ყეფით დანაფეთები...  
თავქვე წაილოს მდინარემ მერე –  
ჩემი ფარფლები და ნაფლეთები.

**შეგზარავი სიმაღლე**

ვარსკვლავო ჩემო, დასავლის ცაზე,  
ინყებ ბრწყინვას და შიშინს...  
სიღამაზის და სიშორის შუა,  
ხარ მოქცეული შიში.

შენს გარეშემო, ოქროს კენჭები,  
ამ ბნელში, ვინ გამოსხა...  
ვთქვათ და დაიძრა სული, შენამდე,  
მითხარ, მოაღწევს როსლა?!

**შავითის საუფლოვი**

მტერი შეასკდა იმ ბოლო თარიღს,  
ყოფს ბნელს და ნათელს თხელი ხარისხა...  
ბურანში გაგხვევს ბორანი ჩქარი,  
დახუჭავ თვალებს... უკვე მკვდარი ხარ.

ერთი ხვედრი აქვს მარდსა და ოჩანს,  
სულთამხუთავმა ვინაც შერისხა  
(იქ ყველაფერი ლუსკუმად მოჩანს),  
რჩება ამარა ერთი ფერისლა.

**აგოჯის წრებრუნვაში**

შენს თვალწინ წააჩქაჩქაქეს,  
ფერი გეცვალა, ნახდი...  
ფინთ გუნებაზე გაყენებს  
მიცვალებულის ტახტი.

ნეტა ვინ იყო საბრალო?  
სიკვდილი რამდენს ბალთავს...  
მოსაწყენია სურია  
მწუხარე რიტუალთა.

ერთსაც ვერ ნახავ, ამ წყეულს  
გვერდი რომ აუქციონს;  
აღბათ თავს იქცევს, ვინც გვიწყობს  
დასაქცევ აუქციონს.

**ისევ აწვრიალდი**

ვერავინ დათვლის თუ მერამდენედ –  
ვწყველი იმ სასტიკ, უღმობელ ბოლოს;  
ნალველი, შავი, ველარ გავდენე,  
მივტირი ვატას მინაში წოლას.

ძმად, ღვიძლად, სულის მეოხად ვთვლიდი,  
მიჭირს იმისი ნომრის აკრეფა,  
იმითაც არი სანუთრო ფლიდი,  
კაცი რომ ასე უცებ გაქრება.

**გზაგაშენებული**

უქმს მიჭირს ჭირთა შელევა,  
ელავს გუმბათი ტაძრის;  
მთვარეც, მომდგარი ფანჯრიდან,  
უცნაურ ნათელს მაცრის.

კვეთების ღონე სადა მაქვს,  
ნალველმა გამომფატრა...  
სულ აღარაფრის კეთება –  
ლაღობა, მექცა ნატვრად.

მაოგნებს შენი მოქნევა,  
კვიპაროსისა ტანო;  
არ ჩაიქროლებს მზე ისე,  
გული არ შემეძანო.

შროშანი. ღელისპირებზე  
თავალერილი ლოლო...  
დამენანება – ეს ღამეც  
არყოფნას გავაყოლო.

უძილო, რასაც ვეძებდი,  
არც ვიცი, სადმე თუა...  
დამითრევს ხვედრი იმათი,  
ვინც თავი მოიტყუა.

**გარინდების ჟამი**

კედლებდაბზარულს, ფარლალალას, გასცდი დერეფანს,  
ნაოჭი აღარ ემატება შუბლს, ისეც ნალარს;  
ხის აივანზე, ქარდაკრულზე, ქრიალებ, დგახარ,  
თვალში ჩაცურდა მზე გვერდიდან და გეფერება.

დაცომდა ხელი და სირბილე დაეტყო ხაზებს,  
ნელა ირხევა აბლაბუდა – ნაწყვეტი ფრაზის;  
თვლემს ილღივში დაღლილობა, ნელდება ბრაზი,  
ბოლო დღეებმა, ნოემბრისა, იციან ასე.

**ყველაფრის დამკარგავი**

მარჭვალთაგან დაჩვრეტილს,  
ოხრად დამრჩა დვრიტა –  
არ მინდოდა შენს ტანში  
ჩონჩხი განმეჭვრიტა.

იცის, სთველის ფარდაგი,  
მახელებს და მზარავს –  
უხილავი, ათასგვარს,  
მიფენს სატყუარას.

უფსკრულს, ვაზის ფოთლებში,  
ვისი ხელი ნიღბავს?!  
რით ვერ მივხვდი – ვერასდროს  
ვეღირსები იღბალს.

რას დავუნყო ლოდინი,  
გულს მიჭეჭყავს ლოდი...  
სხვა რა დავინარჩუნე,  
შენ რომ შემრჩენოდი?!

**ქარი, დეკემბერი**

უეცრად გამცრა ტანში  
და თვალის შევასწარი –  
თოკზე გაკიდულ ზენრის  
წრიალმა მამცნო ქარი.

მინახავს, ბევრი მახსოვს –  
კაციც, ამინდიც, ცუდი...  
ზამთრისას გავდა მისი  
გაჭრა, მოქნევა კუდის.

მუხლმოუღლეელი, მარდი,  
წინ გაგიძლოლებს, ბინდო...  
გადაუქროლებს რამდენს –  
ჭალას, მთასა და მინდორს.

დაბზარულ სხეულს, ჩემსას,  
ცოდვის რა ვუყო ჭურჭელს;  
ბზრიალში, დღის და ღამის,  
მე ვის და რას დავურჩე?!

დასაწყისი პირველ გვერდზე

\*\*\*

Éi ÷:è! à ამ ამბის დასაწყისია. ცხელი ზღვა იყო იმ წელს, მხურვალე ბრინჯის ცივი ლუდით გაგრილებულ სხეულს ვახვედრებდით და ყოველ ჯერზე ვნახობდით, ნაქირავებ სახლში ათი დღის ნაცვლად ხუთი დღე აუზიან სასტუმროში რომ არ გავატარეთ. ჩვენი ოთახი ზღვის მხარეს იყო — სხვენში, გაგი და ირინა ცოტა ნაკლებს იხდიდნენ უფრო დიდ ოთახში, რომლის მიმართ სარკმელიც ქუჩის მხარეს გადიოდა. ყველას ზღვის მხარე გვერჩინა, მონეტა ავაგდეთ, ჩვენ გავვიმართლა. საერთო აბაზანაში ბარგის ამოლაგების სთანავე გადავიწვინეთ თაროები. ნამგზავრებმა შხაპის რიგი დავიკავეთ, ბოლო მე ვიყავი, მინდოდა, მანამდე ოთახის მონესრიგება და განიავება მომესწრო. პირველივე შხაპის დროს ვიგრძენი, ერთი ციდა აბაზანაში თავიდანვე როგორ შეერია ერთმანეთს ოთხივეს სურნელი, ამ თავგულმა მალევე დაუკარგა მისამართი ჩვენს ვენებებსა და სურვილებს.

ასე მგონია, იმ ზაფხულს მერე ისეთი ლაღები და ბედნიერები აღარასოდეს ვყოფილვართ — არც ერთი. მივეჩვიე სხვენის მაგივრად ლაპარაკს, თორემ საიდან ასეთი თავდაჯერება. ახლაც მაშინდელ ფოტოალბომს ვათვალიერებ და ერთადერთი ფოტო, სადაც ოთხივე ერთად ვართ, ზღვის ნაპირზეა გადაღებული. შორი ხეღია, მაგრამ გვეგონია, კადრში ვერ ვეჭვებით და ერთმანეთზე ვართ მიხუტებულები. მე ყვითელი პარეო მაქვს გაშლილი ზურგს უკან იალქანივით, სანდროს ჩემს წელზე აქვს ხელები მოხვეული, გაგის სანდროს მხარზე აქვს იდაყვი ჩამოდეხებული, ირინა გაგიზეა მიყრდნობილი და ცალი ფეხი განზე აქვს განუღლი ბალერინასავით. ასე მახსოვს — ამ ფოტოს გადაღების მერე წონასწორობა დავკარგეთ და ქვიშაზე გაწვექით. ისიც მახსოვს, ვინ გადაგვიღო, თავადვე შემოგვთავაზა. კარგად იყო შემშრალი და ფოტოაპარატი დაუფიქრებლად მივანდე. ვეება მარლენი და მისი მინიატურული ცოლი ცირა ქირას არ იხდიდნენ და, როგორც დიასახლისის ნათესავეებს, იქვე პირველ სართულზე, სამზარეულოს გვერდით ეჭირათ ოთახი. ჩვენც და ისინიც სახლის გასწვრივ ნაპირზე დავცემდით ხოლმე ქოლგებს და ვიყავით დროდადრო ამინდსა და ღელვანზე ამბების გაცვლაში. ჰოდა, მარლენმა გადაგვიღო ეს ფოტო, ამის მეტი რა შეგვრჩებათო. არ ვიცი, ფოტოს გულისხმობდა თუ დროს. ორივე შეგვრჩა.

სალამობით ნაპირიდან დაბრუნებულები, მზეს რომ ჩავაცილებდით ცხელ ზღვაში, შხაპს მოვითავებდით და კიდევ ერთხელ დავკარგავდით კვალს საერთო აბაზანაში. დილიდან მომარაგებულ ცივი ლუდს დიასახლისის სამზარეულოდან ნათხოვარ კათხებში ჩამოვასხამდით და კარტს ავჭრიდით. ყოველი ახალი ხელის დანყებისას მენყვილებს ვცვლიდით, რაც კიდევ უფრო მიხვნივდა თავგზას. მალევე აღმოვაჩინე, რომ მე და გაგი თვალეებით მხოლოდ მომდევნო სვლას კი არ მივანებნებდით ერთმანეთს, არამედ ვსაუბრობდით, ვთანხმდებოდით და ვკამათობდით. არანაირი უხერხულობა და სინდისის ქენჯნა ამის გამო არც სანდროს და არც ირინას მიმართ არ მიგრძენია. გულწრფელად მინდოდა, რომ მათ შორისაც ასეთივე მოკლე, ღამით უჩინარი და დღისით მზეზე მზინავი ძაღვი გამბულიყო. კარტის დარიგებისას ვაკვირდებოდი კიდევ შეფარვით, მაგრამ სანდროს და ირინას მზერებს შესამჩნევად ერთხელაც არ გადაუკვეთავთ ერთმანეთი.

დღითიდღე ისე ძლიერდებოდა გაგისთან შეხების სურვილი, რომ ისიც კი დავიჯერე — ერთმანეთის დაგემოვნების გარდა სხვაგვარი დასასრული ამ უეცრად გაჩენილ ჟინს არც ენერა. ძნელი წარმოსადგენი იყო, მასთან ერთხელ დაწოლა მეტად მძიმე სატარებელი ყოფილიყო, ვიდრე თვალეებით ჩადენილი ქურდობა და სხვა შესაძლო შემთხვევისთვის მუდმივად გადანახული ვენება. გული მიგრძნობდა, ყველას ერთმანეთი ვესურდა, თუმცა საყოველთაო სიყვარულის ღამეზე გარანტირებული კვორუმის გარეშე მინიშნებასაც ვერ გავხდებოდი.

ისეთი აღერსიანი სანდროს მიმართ დიდი ხანია, აღარ ვყოფილვართ. თითქოს

ასე ვცდილობდი, გაგისთვის ჩემი ვენება მეჩვენებინა. როგორც კი აღმოვაჩინე, რომ გაგი სრულიად მონუსხული მიყურებდა, ტუჩებზე ვკოცნიდი სანდროს და ხელს მაისურის ქვეშ ვუცურებდი. „მოგვიკა“ — მეტყოდა სანი და ლუდის ბოთლს გახედავდა. მე და სანდროს ერთმანეთის სიშიშვლე უკვე დიდი ხანია, ისე აღარ გვიზიდავდა, თუმცა ოთხში გაცვლილმა სურვილებმა ვენებები ხელახლა გააღვიძა. ჩვენ თავიდან ავფეთქდით, ალბათ ისინიც.

იმ დღეს გაგიმ ზღვის ნაპირზე წამოსვლაზე უარი თქვა. აივნის მოაჯირზე გადაყენილი პირსახოციები წამოვკრიფეთ და ნაპირისკენ სამინი გავემართეთ. კენჭებით და ნიჟარებით მოკირწყლულ ბილიკს ერთმხრივად მივუყვებოდით, მზე უკვე ზენიტში იყო. წინ ირინა მიდიოდა გრძელი ნითელი თმით და გაგის კეპით, შუაში მე ვითრევიდი ფეხს, სანდრო კი უკან მოგვეყვებოდა და ხმამაღლა გვეგმავდა საღამოს ბათუმში გამგზავრებას. პალმებს რომ მივუახლოვდით, სანდროს მივუბრუნდი, ჩემი ჭილის ჩანთა მივანოდე და ნიგნისთვის გაბრუნება მოვიმიზუნე. ირინას არაფერი გაუგია, ისე განაგრძო გზა პლაჟისკენ. სახ-



ლთან მისულმა კიდევ ერთხელ მივიხედე უკან, სანდრო უკვე დანეოდა ირინას, ცისკენ იშვრდა ხელს და სინოპტიკოსობდა. სანამ კიბე ავიარე, თავი დავაჯერე, რომ წინა საღამოს გაგის გაუგებარი უესტი კარტის თამაშის დროს კოზირს კი არ მიანიშნებდა, არამედ შეთანხმებას ხვალინდელ თავის ტკივილზე, სახლში დარჩენასა და ჩემს მიბრუნებაზე. ირინას ოთახის კარზე ინსტიტუტურად დავაკაკუნე და გაღებისთანავე მივხვდი, რომ წინა საღამოს გზავნილები ორივეს უშეცდომოდ გავგვეცვალა.

ის ოთახი მთელი დედამიწა იყო იმ წამს, მე და გაგი კი ერთადერთი წყვილი ამქვეყნაზე. ვჭკარობდით, ვინმეს არ მოესწრო, თუმცა მხოლოდ ეს არ იყო იმ გიჟური ტემპის მიზეზი. კოცნაც ვერ მოვასწარი, ისე აზვირდითა და ათდღიანი სურვილის ტალღა და სანოლზე გავგვრია. სულ რაღაც ხუთ წუთში მზიან ამინდში მოვარდნილი შტორმისგან ზღვის ქაფი დარჩა ჩემს მკერდზე. Éi ÷:è! à დამთავრდა! — აღმოხდა გაგის, გულაღმა დანვა და თვალეები დახუჭა. დასაწყისი დასასრული ამ აგვერია ორივეს. მთელი საღამო არ მოგვისხნია მზის სათვალე არც მე და არც მას. აივანზე გატარებული ორი წვიმიანი დღე ნამდვილ სატანჯველად იქცა. აგრილდა, ზღვაში ყინული ჩავარდა.

\*\*\*

ქალაქში დაბრუნებულს მალევე ამტკივდა თვალეები, მზისადმი ტოლერანტული არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ ახლა დღის შუქი, როგორც ვამპირს, უმოწყალოდ მაცლიდა ენერგიას. მზერა რომ დამებინდა, ტკივილი ოდნავ მინელდა. „ვაიმე, ბროლი ხომ არ გემლება?“ — ნისლში მოცურავე ეკამ ინტერნეტიდან ამოკითხული დიაგნოზი დაუფარავად გამომიცხადა. მთელი ღამე იმაზე ფიქრში გავატარე, დილით ვალვიდებოდა ველ-არაფერი რომ დამენახა, წამოჯდომისას ბროლის ნამსხვრევებით გამესებოდა კალთა და თვალეების მაგივრად ორი ღრმულილა დამრჩენოდა. ეკა მართალი აღმოჩნდა, თუმცა ექიმმა მიზეზი ვერ ამისხნა. უსათვალოდ გართულებით დანყებული ოჯახში ძალადობით დამთავრებული, ყველაზე უფრო დამისვა ორიბი შეკითხვა. ოპერაციები რამდენიმე თვის გამოტოვებით

გავიკეთე, ჯერ ერთ თვალზე დამიბრუნდა ჩინი, მერე მეორეზე. ნაქურდალი არ შემრჩა, ახალი ბროლებით გაგის თხელი თითები და დახრილი თვალეები თავიდან დავიმახსოვრე.

ოპერაციის მერე მხედველობა ძველებურად გამიმახვილდა, მაგრამ მახსოვს, ირინას და გაგის ქორწილში უკვე სათვალე მეკეთა, დიდი, შავი ჩარჩოთი. ასე უკვე ვგრძნობდი თავს. სათვალე ჩემს მელანქოლიას უფრო მოერგო, ვიდრე დედისგან გამოყოფილ ოვალურ სახეს. ხანდახან ხელების დაბანისას ხელის მტევნებს თავს ზემოთ გადმოვკიდებდი, შუა თითის ბალიშით მოწყვეტილ წვეთებს სათვალის მინებს დავუმიზნებდი და გაგანვიმებდი ცოტა ხნით. ფიქრი რომ გამიტაცებდა, სანდრო სათვალეზე მომიკაკუნებდა ჩიტვივით და მეც ერთ-ორ სიტყვას საკენკივით გადავუყრიდი ხოლმე. სათვალეს არასოდეს ვიხსნიდი, ერთადერთი შემთხვევის გარდა — როდესაც გაგის ბაბუის სახლს ვსტუმრობდი ქალაქის ძველ უბანში. ლენიკოს კი გაგს ის გოგო, მაგრამ სათვალე არ უკეთია — ერთადერთი ალიბი იყო ჩემს სასარგებლოდ.

# რუსუდან რუხაძე ერთი თქვენგანი გამცემს

თვალში დაკლებულმა სინათლემ მზერა ჩამიბრუნა, ოპერაციის შემდეგაც ვეღარ დავიბრუნე საკუთარი თავის აღქმის ძველებური რაკურსი. რაც უფრო მეტს ვკითხულობდი მედიცინაზე, მით მეტად კარგავდა მთლიანობას და ნაწევრდებოდა ჩემი სხეული. აბაზანის სარკის ანარეკლზე ვინიშნავდი გულს და ფილტვებს, ვითვლიდი ნეკნებს, მერე თითით დავყვებოდი სისხლძარღვებს, წარმოვიდგენდი კანქვეშა სამყაროს ფერთა გამას და ამაოდ ვეძებდი ფირუზისფერს, ეპითელიუმს უჯრედებად ვშლიდი და ვიწყებდი ფიქრს, შეძლებს კი ეს საათივით აწყობილი მექანიზმი ერთი ორგანოს გამოკლებით ძველებური მწყობრის შენარჩუნებას. იქნებ თვალის ჩამოშლილ ბროლებს ნელ-ნელა სხვა ორგანოებიც მიჰყვეს და ასე თანდათან გარდავიცვალო და არა ერთბაშად.

სიკვდილზე შიში გაგისთან შეხვედრის სურვილს მიძლიერებდა. როგორც მალე წამსვლელს, მინდოდა, მთელი სიმძაფრით შემეგრძნო დროში გამოზოგილი ვენება. ათი დღე ზღაპრულად ერთად რომ გვეცხოვრა, იქნებ მალევე მოგვებზერებოდა ერთმანეთი. ვხვდებოდით მაშინ, როცა მონატრება ორივესთვის გაუსაძლისი ხდებოდა. თავიდან უფრო ხშირად, მერე უკვე თვეში ერთხელ. „Parfume Free Day?“ — მომენერდა და პასუხად მხოლოდ ზუსტ დროს ელოდა. იმ დღეს არ ვიპყურებდით სუნამოს, რომ ერთმანეთისთვის კვალი არ დაგვეჩნია. შეხვედრის ადგილი უცვლელი იყო, ბაბუამისის სახლი ქალაქის ძველ უბანში. იქამდე ტაქსი ვერ მიდიოდა, ქვით მოკირწყლული პატარა ჩიხი ფეხით უნდა ამეღო. სახიფათო მონაკვეთზე თავდახრილი ავრობოდი და კართან მომლოდინე გაგის უხმოდ ვეკრობოდი. ამ ქვეყნის არ იყო ის სახლი — ძველებური, დამტვერილი ხალიჩებით, სურნელოვანი სანთლების არომატით გაჟღერებული ხვედრის ფარდებით, ნატურალური ქვის კრილოსნებით გაუქმებული ბუხრის თავზე და ათასნაირი სუვენირით სანერ მაგიდაზე. ნიგნის თაროებზე ჩამომწკრივებულ არაბულ ლექსიკონებს ყოველ მისვლაზე გაჩუქებდას უპირებდა გაგი, ყოველ ჯერზე ენახებოდა. ეს სახლი ბაბუამისის სამუშაო კაბინეტი ყოფილა, ამიტომაც განსაკუთრებით ემადლიერებოდა ტახტის

გამო, რომელიც გულის გამანვრილებლად ჭრიალებდა.

სანდროსთან პარიტეტული სექსის შემდეგ, გაგის უპირატესობა სანოლში, მუდმივად გაყინულ თითებსაც კი მიუღობდა. მერე ხალიჩაზე ვწვებოდით, ვენებებს ვამინებდით და, ალბათ, ორივე ერთსა და იმავეზე ვფიქრობდით — მონატრება და ვენება გვახვედრებდა ერთმანეთს თუ დანაშაულის განცდა გვეერთიანებდა ამ სახლში. „გიჟი ხარ შენ!“ — მეტყოდა დამწვიდობებისას, ხელში ამიყვანდა, ნახევარწრეს დამაბზრილებდა და ამ ბრუნვის დროს ფანჯარაში მზერით ვიჭერდი დანგრეული მეჩუქის მინარეთზე წამოსკუპებულ ნახევარმთვარეს. ამ შეუკვრელი წრეების მსგავსად ჩვენც ყოველთვის ვცდილობდით, ღია დაგვეტოვებინა გასასვლელი ამ ურთიერთობიდან, სახლს კი დანამდვილებით მე ვტოვებდი პირველი.

სანდროს მიმართ უსაფუძვლო ეჭვიანობამ მთლად ბოლო მომიღო. მისგან რომ ამერიდებინა ზედმეტი კითხვები, ყველა წერილმანზე იქით ვედავებოდი.

— არ გინდა პატარა ბექეკა და ძუძუები რძე? — ერთ დღილას რატომღაც კარიდან მობრუნდა და ხალათში შემიცურა ხელი.

— აღარ მიხსენო ეს ბექეკები, გთხოვ! ხო შევთანხმდით... — სწრაფად მოვიშორე, ხალათი საიმედოდ შევიკარი და სახე ახლოს მივუტანე, — ეს რა სურნელი გაქვს? — თვალდახუჭულმა შევიხუნეთი.

— შენ არ მაჩუქე? — ისევ სანდრო იმართლებდა თავს.

— არა, ეს ის არ არის! — დანვრილებული და გამომცდელი მზერით გავხედე.

— აა, ტესტერი დავისინ გუშინ, მანქანაში მეგდო, — ყელზე მაკოცა.

— ასე ეძახით ახლა? ტესტერები? — დოინჯი შემოვიყარე, ენის წვერი ზედა ტუჩს შევახე და გვერდულად გავხედე.

— კარგი რა, არ დაილაღე?

— მომიკითხე ტესტერები, — კარი დავეკეტე და ჩემთვის ჩავიბურტყუნე.

\*\*\*

ზეავივითაა, დილით თავის ტკივილით ვიღვიძებ, ვსვამ გამაყურებელს, ვიღებ შხაპს და სამსახურში მივდივარ, მეორე დღით იგივე მორღებდა, მესამე დღეს უკვე იმაზე ფიქრი მიჰყრობს, ტკივილი სვალაც რომ გამეორდეს, ზეგაც, ნელ-ნელა გაუსაძლისი რომ გახდეს და ბოლოს აღმოჩნდეს, რომ კიბო მაქვს! აღარ მშველის არც წამალი, არც სოფლის მკურნალი და არც ოპერაცია! ვითვლი გონებაში, რამდენი დამიწრა, ნახევარი წელი, სამი თვე, ერთი? ვიყურებდი სარკეში და თვალის გუგებს ვაკვირდები, ნეტა, სხვებისაც ასე პატარავდება შუქზე, ვის უნდა ვკითხო, უხერხულია. რაღაც, წარბები სიმეტრიულად არ ეშვება, ალბათ, მარჯვენა მხარეს უკვე სიმსივნე ანეგება.

ასე გაზაფხულამდეც ვერ მივტან, ნეტა, უცებ მოგვკვდეს, ღამაზად და ძალიან არ მეტკინოს. კიდევ კარგი, შვილები არ გავაჩინე, სანდრო თავის თავს როგორმე მიხედავს. სხვები გაძლებენ უჩემოდ. ის სივრცე, რასაც მათ ცხოვრებაში ვიკავებ, ნელ-ნელა პირს შეკრავს. ერთ წელიწადში ჩემი გარდაცვალება მხოლოდ უსიამოვნო ამბავი იქნება, რომლის გახსენებასაც ყველა თავს აარიდებს. მოიშორებენ ყველა ჩემს ნაჩუქარ ნივთს, ან ისეთ ადგილას შეინახავენ, ხშირად რომ არ მოხვდეთ თვალში. რა გულისმომკვლელია იმის წარმოდგენა, რომ სიკვდილის შემდეგ ერთადერთ სიტყვას გამოიმეტებენ ჩემთვის — „სანყალი“. ახლაც მეტირება უსუსურობისგან.

ისევ წამალს ვსვამ, ტკივილი თითქოს მიამდებდა, მაგრამ ტკივილზე ფიქრს არაფერი მიყურებებს. ნახევარ საათში უკვე ჩანიშნული მაქვს ვიზიტი ოჯახის ექიმთან, თუ ესაა საშველი. იქნებ ანევიზმია და ექიმამდეც ვერ მივანო. უეცარი სიკვდილიც ხომ არსებობს, რომელიც, აი, ამ წამსაც შეიძლება, გამოიმეცხადოს. მეორე დღეს ღამენათვე დაუხვარცხნელ თმაზე ქუდა ვიხურავ და ოჯახის ექიმთან დათქმულ დროზე ადრე მივდივარ. თან მუდმივად ჩამესმის აკვიტებული მელოდია ათწლეულის რეპერტუარიდან, ოლონდ შეცვლილი რიტმით (Accelerando).

წინასწარ ჩანერის მიუხედავად, რიგში ლოდინი მინევეს, ფერდაკარგული და ენა-

გამშრალი შევიდვარ ექიმის კაბინეტში და ვარწმუნებ, რომ აუცილებლად მჭირდება გამოკვლევები. ვცრუობ, რომ თავის ტკივილი თვეზე მეტია, მანუხებს და არანარი გამაყურებელი არ მშველის. ექიმი მიღმის და ეს კიდევ უფრო მაღიზიანებს. მგონია, გამოკვლევების გარეშეც ხვდება, რომ ვკვდები და ფიქრობს, როგორ მამცნოს დასასრულის მოახლოება — პირდაპირ თუ შეფარვით, მისსავე კაბინეტში რომ არ მოვიკლა თავი.

თავი გამოირიცხა! ახლა სხვა ექიმთან ვეწინებ, საგანგებოდ ვირთვები და პომადით ვიშუქებ ტუჩებს. მგონია, თუ მოვხიბლავ, სიკვდილისთვის ასე ადვილად ვერ გამიმეტებს და განაჩენს შემიმსუბუქებს. მეტყვის, რომ რამდენიმე წლით შესაძლებელია სიცოცხლის გახანგრძლივება. შევიდვარ ექიმთან, ხელები მიბუყდება განაჩენის მოლოდინში.

— აი, ხომ გითხარით, მთელი ეს თქვენი სიმპტომები ჩიყვის ბრალია. როგორ აგისხნათ, ინტოქსიკაცია ინვეს ყველა ამ ჩივილს, რასაც თქვენ ჰყვებით, მოიშორებთ და თავს მშვენივრად იგრძნობთ, — თავიდანვე ჯალათს მაგონებდა ეს ექიმი.

— რას მოვიშორებ? — ცეცხლის ალი ვიგრძენი სახეზე და თავგზა ამეზნა.

— ფარისებრს, აქ ისეთი ზომის კვანძებია, ბიოფსიას და მოცდა აზრი არ აქვს, მოსაშორებელია, — ნაცნობი ქირურგის ტელეფონის ნომერს მიწერს და გამოკვლევების დასტას უკან მიბრუნებს.

— და ნამლები რომ დავლიო? — ცუდად ვვაჭრობ.

— არა, გენაცვალე, ნამლები მერე. ამოვიღებთ, დავთესავთ, მერე ჩანაცვლებით თერაპიაზე გადახვალ და ნელ-ნელა თავს უკეთ იგრძნობ, — კარისკენ მიმითითა.

ცუდად გამეღვიძა ნარკოზიდან, ვერ ამოვიხსუნეთქი, ისევ ძილში შემაბრუნეს. მეორე დღეს დამძიმებულ ქუთუთოებს ნარბებით ვეჭაჩებოდი ზემოთ, ზურგი მტკიოდა, ყელზე ჭრილობამ ყველაწანიანი მოძრაობა შემიზღუდა. ასე მეგონა, ოდნავაც რომ გავნძრულიყავი, თავი მომძვრებოდა. გადარჩენილს არაფერი მიგავდა. იმ წამს ვინმეს რომ ეთქვა, რამეს ხომ არ დაიბარებდით, სათქმელიც არაფერი მქონდა. თუ რამე მკვლავდა, სანდროს წარმოდგენა იყო უჩემოდ. იმის ჭკუა კი შემრჩენოდა, მეფიქრა, იქნებ უკეთესიც იყოს მისთვის — წლების მერე შეხვდება ვინმეს, ეყოლება შვილები და მერე იმ შვილებს მოუყვება, რომ ოდესღაც ჰყავდა ცოლი, რომელსაც სიცოცხლის სიკვდილივით ეშინოდა.

ირინამ და გაგიმ სახლში მიწახულებს. გაგის ხმა არ ამოუღია, ხელი ზუსტად იმ ადგილას დაეფარებინა, სადაც ნაკერი მქონდა და ისე შემომცქეროდა. „აი, მარკუტას ხელში თავი აღარ მახსოვს, გააჩინე და ნახე, რა კარად იქნები!“ — ირინას წითური ვნებისგან აღარაფერი შერჩენოდა. ერთი კვირის თავზე სამსახურში გავედი, ყოველ დღით აბის გადაყლაპვასაც მივეჩვიე, მაგრამ სიმშვიდე და სიცოცხლის ხალისი არ დამბრუნებია. ერთხანს მამშვიდებდა ექიმი, აბა, როგორ გინდა, ამხელა ოპერაცია გადაიტანეო. ნუთუ, მართლა მე მინდოდა.

\*\*\*

რეპრიზა! ისევ ამეკვიატა მელოდია ათწლეულის რეპერტუარიდან, ისევ ცუდად ვარ, ისევ ჩამომიბნელდა მზერა, ფერდაკარგული და ღონემიხდილი საქმეს ძლივს ვართმევ თავს. თავიდან ვინცებ მიზეზის ძებნას, ვკითხულობ სამედიცინო პორტალებზე ათას სისულელეს, თავად ვგეგმავ გამოკვლევებს, მეტიც, ვცდილობ, დაავადებების გარჩევა ვისწავლო, მსგავსაში სიმპტომებმა თავგზა რომ არ ამიბნის და თავად მივავნო კატას ბნელ ოთახში. ისევ დაკარგა გემო სიცოცხლემ, ბედნიერება იქამდეც ბრწყინებს მოგონილი მეგონა. სექსის სურვილი მთლად გამიქრა, ვნებები და მერე ვინცებ ტირილს და მობოდიშებას, აქაც და იქაც. თავში ათასი შეკითხვა მიტრიალებს, რამდენჯერ ვიყავი ტულეტში, სხვებსაც ესმით თუ არა საკუთარი სისხლის მიმოქცევის ხმა, რატომ გვაქვს ზოგიერთი ორგანო ერთი, ან რატომ ჩავვილაგა ზოგი რამ ორ-ორი გამჩენმა. ჩემი სხეულის გარდა აღარაფერი მახსოვს, გამუდმებით რაღაც მღრღნის და ენერგიას მაცლის. დღით გულისრევის და მკერდზე სისველის შეგრძნებით ვიღვი-

ძებ. გიჟივით ვინევ მაისურს და ძუძუს თავების სიმშრალეს ხელისგულებით ვამონმებ.

მაცივარზე მაგნიტით ნამლების განრიგს ვაკრავ — უზმოზე, ჭამის დროს, მოლხენილზე, ძილის წინ, ნახევარი აბი, მთელი კაფსულა — და დარწმუნებული ვარ, ერთიც რომ გამოვტოვო, განგამს ატეხს ჩემი სხეული, ისევ თავი ამტკივდება და ისევ თავიდან მოვკვდები. ჩანთით დავატარებ გამონერილი ნამლების მთელი თვის მარაგს, „გამტკივებ ხარ, გეუბნები“, — ხან მართობს, ხანაც მაღიზიანებს, სანდროს ხუმრობა. სად ვარ ნამსვლელი, ადამიანი არ დარჩა დედამიწაზე, ვისთან ურთიერთობაც სიმშვიდეს მომგვრის. ყველაზე მეტად სიბრალულის გრძნობა მკლავს — „რაღა ყველაფერი შენ უნდა დაგემართოს!“ ფეისბუქში ჩემს ფოტოალბომებს გამოდევნებით ვათავალიერებ, ზოგიერთი მათგანი მკვდრისთვის მთლად შეუფერებლად მეჩვენება. მაგალითად ეს, კორპორატიულ ვაშშამზე გოგოები ვცეკვავთ და გულიანად ვიცინით. ასეთი ფოტოები, სადაც სიცოცხლე უყვართ ადამიანებს, სიკვდილის შემდეგ უფრო მეტად ინვეს სიბრალულს. მეღვინეობის პორტრეტებსაც ვაქრობ, გადმობრუნებული ტურები რომ არ მიხატონ მერე. ვტოვებ მხოლოდ კონფერენციებზე ან ოფისში გადაღებულ ღვანდინ ფოტოებს.

როგორც კი მარტო ვიჩები სახლში, გამოკვლევების დასტას ვიღებ, თარიღის მიხედვით კონვერტებში ვალაგებ და ზედ ვანერ, „კუჭი“, „თავი“, „თირკმელები“, „ფარისებრი“. საკონტროლო გამოკვლევების გრაფიკს ვადგენ და გუნებაში წარმოვიდგენ, წლის ბოლოს კლანიკის წინ როგორ მიხსნიან ვარსკვლავს სიკვდილის შემდეგ. სულ თან მდევს ეჭვი, რომ ექიმმა გულისყურით არ მომიხმინა, რომ მე განსაკუთრებული პაციენტი ვარ მის პრაქტიკაში, ის კი ისე იყო გადაღლილი სამუშაო დღის ბოლოს, რომ ჩემთან შეხვედრის დიდებული წამი უბრალოდ გამოეპარა. იქნებ ღირს უკან მიბრუნება და გამოკვლევების პასუხების ხელახალი პრეზენტაცია. ახლა უკვე ვიცი, რითი დავინყო, რომ მაღიაროს. „თქვენ ჩემი პაციენტი არ ხართ“ — ეს იყო ყველაზე გულგრილი პასუხი, რაც შეიძლებოდა ექიმისგან მომესმინა. როგორ გავისარჯე და დავაავადმყოფდი, მას კი შეუძლია, გამოკვლევების დასტა ცივად უკან დამიბრუნოს და ნევროლოგთან გამამწესოს. ისიც ეს აღარ ვიცი, როგორ ვიცხოვრო, ყველა კი ჩივილი ერთბაშად რომ გაქრეს.

ერთი წლის თავზე მშვიდი, შენელებული და გამომშრალი შარდენის ქუჩაზე ფარდავით ამოფენილ სავარძელში ვიჯექი და ისევ აკვიტებულ მელოდიას ვაყურადებდი (Ritenuito). ზანტად ვურევდი უშაქრო ჩაის და გაზაფხულამდე სამყოვ შემოდგომის მზეს ვეფიცებოდი. თვალგაშტერებული გალარეის გარეთ გამოტანილ ნახატს შევცქეროდი და მონდომებით ვცდილობდი, ქვედა ყბა ზედასთვის მიმეზივნა. ჩაი მოვსი, ფოკუსი გავაძნოვდი და ფერადი ლაქების ნაცვლად ტილოზე ცისფერ, გაჭირვრულ ხალათში შემოსილი ქალი აღმოვაჩინე — წითური კატი ხელში. ნეტა ამ ქალივით ერთ დროში ვცხოვრობდე შარდენის ქუჩაზე, მოჩუქურთმებულ ჩარჩოში და ცხელი ზღვის მოქცევამდე დროში დაბრუნებაზე ფიქრი არ მიმოკლებდეს სიცოცხლეს — ფრაზა დავასრულე გონებაში და აბი უწყლოდ გადავყლაპე.

\*\*\*

— ფარი ახსენეთ, — ამ კაცთან სანდროს დაჟინებული თხოვნით მოვედი. საათში 30 ლარი მეძირება და ინტუიციაც არაფერს მეუბნება, რომ სწორ ადგილას აღმოვჩნდი.

ერთს კი მაშინვე მივხვდი, ეს ოთახი ბედნიერი ადამიანებისთვის არაა. აქ სრულიად უცნობი ადამიანების ერთმანეთთან დაუკავშირებელი ამბები ისე ირევა ერთმანეთში, როგორც ჩემი, სანდროს, ირინას და გაგის სურნელი ზღვისპირა სახლის საპირფარეოში. აქედან პედნიერი ვერ გახვალ, სხვისი დარდი აყვება. ადამიანების სევდა თითქოს სქელი მტვერით ადევს ძველი ხის ავეჯს. აქაც ნებისყოფა გჭირდება, რომ ეს სახლი ერთ დღესაც უკანმოუხედავად დატოვო.

— ფარი? — ყურადღება გამეფანტა

მაგიდაზე მიმობნეულ ნივთებზე, — ა, დაახ, ფარივით მყავს ის ბიჭი თუ უფრო მძევალავით, არ ვიცი. უფრო ფარია. თითქოს ერთად ყოფნით საიდუმლოს ვიცავთ... ამის გამჟღავნება ორივეს დაგვინგრევს ცხოვრებას, — წარმოდგენაც კი მზარავდა.

— როდემდე უნდა ეძახოთ „ის ბიჭი“, დაარქვით სახელი, — ხანდახან ზედმეტად ცნობისმოყვარე მეჩვენებოდა.

— ასე მიჩვენია, — ცხვირსახოცის კუთხეს ვატრიალებდი და ვანვირებდი.

— ყველაფერს დაარქვი თავის სახელი, ქმარს ქმარი, საყვარელს — საყვარელი, ლალატს — ლალატი, სიყვარულს — რაც გინდა.

— რატომ, პიესას ვწერ?! ეს ჩემი ცხოვრებაა, მინდა დავარქმევ სახელს, მინდა მეც უსახელოდ გადავიკარგები!

— ვიტყვით და შუა სეანსიდან წამოვვდი.

— უბრალო დამთხვევაა, — მითხრა შემდეგ სეანსზე ჩემი ეჭვის გამოთქმისას.

— როგორ, ზაფხულში რომ დავბრუნდი, მალევე დამაკლდა თვალს, — რამდენჯერ უნდა დავინყო თავიდან მოყოლა.

— მერე რა! — მეგონა შეგეხებულა ისულებდა თავს, რომ რაც შეიძლება ბევრი მელაპარაკა და ჩემი ნათქვამის სიბრყველი დავრწმუნებულიყავი.

— როგორ, მერე რა! ჩემს ასაკში ასეთი პათოლოგია იშვიათია, — ძნელად თუ გადამარწმუნებდა რამე.

— გასმენიათ იპოპონდრიის შესახებ? — ძალიან მინდოდა, ეს შეკითხვა თავად დაესვა.

— მსმენია, მაგრამ ეს ის არ არის. იპოპონდრიის დროს რეალური დაავადებები არ არსებობს, ყველაფერი წარმოსახვითია. მე კიდევ თვალის ჩინი დავკარგე, ფარისებრი მოვიშორე და ისევ ცუდად ვარ, ნუთუ, ძნელია ამის წარმოდგენა?!

— შენ დიდ საიდუმლოს ინახავ. ასეა, სიტყვებს როდესაც ატყვევებ, სხეული ინყებს ლაპარაკს ავადმყოფობის ერთ, გტკივა, განუხებს, თავს გახსენებს, ყურადღებას ითხოვს, — მენიშნა, მაგრამ არ დავეთანხმე, — შენ სახარება პირდაპირ ნუ კი გესმის, რაც გაცდუნებს, მოიკვეთეო, იგავია თავიდან ბოლომდე!

— არ მაქვს ნაკითხული, — მიხედებოდა, რომ არ ვცრუობდი.

— მთელ ამ ამბავში დაფარულია ნანყვეტი სახარებიდან, — წამოდგა, წიგნის თაროდან ბიბლიის ძველი გამოცემა გადმოიღო და ხმამაღლა კითხვას მოჰყვა: მათეს სახარება, თავი მეთვრამეტე...

— მგლის თავი გამოვიბი, სიტყვა არ გამიგია.

— სიზმრები ჩაინერე და მომიტანე, — მომადახა გამოსვლისას.

— დავნებები რა! — მომდევნო სეანსზე ოთახში შესვლისთანავე ტახტს ვავხედე.

— დაწევი, — თვითონაც ტახტისკენ გამომინაცვლა.

— მზად ვარ! — თვალები დავხუჭე, მუთაქა მოვირგე და ხელები მუცელზე დავინწყე.

— ჩაუყევი ბილიკს ტყისკენ... მინა რბილია, შენი სხეული მსუბუქი, გზას დაუბრკოლებლად მიიკვლევ... — ნეტავ, კიდევ რამდენი ტონი აქვს ხმაში.

— ხეების ჩრდილში მზის სხივები ატანს. კიბით დიდ, ნათელ მდელოზე ჩადიხარ... — არ ვემორჩილები და ვედსამინაში ავდივარ, დედულეთში, მთის ულამაზეს სოფელში.

— მდელოს რომ გაივლი, კლდეა და ჩანჩქერი გადმოკიდებული, — რა ჩანჩქერი, მე მდინარისკენ მივყევები ჩემი ბავშვობის გზას.

— შიშველი დგები წყლის ქვეშ... — საარაფანს არ ვიხდი, ისე ვწვები მდინარეში ხავსმოდებულ ქვებზე.

— სუფთა, ანკარა წყალი შენს ყველა უჯრედს დაივლის და აჯანსაღებს, სინათლით ივსება შენი სხეული, — ვნებდები მის სიტყვებს და თვალდახუჭული ვხედავ, როგორ გამდის ფეხის ტერფებიდან სევდისფერი წყალი.

— შენ ახლა ხელახლა იბადები, არსებობს მხოლოდ ეს წამი და მომავალი... — მე კი არ მეთობა წარსული.

არ დავმშვიდობებოვარ, იმ საღამოს პირდაპირ ვედსამინიდან დავბრუნდი სახლში.

— რატომ შემანყვეტინეთ? როდესაც მივხვდი, რომ გაგი ფარი იყო ჩემთვის, აღმოჩნდა რომ ბომბი ჩემს სხეულში სწორედ ფარისებრი ჯირკვალი იყო. ნუთუ,

ვერ აკავშირებთ სიმბოლოებს? — ჩემსას არ ვიძლიძი.

— რა სიმბოლოებს, თვალებით ქურდობა, ფარი, შენი რომანი გაგისთან და საზღაური ამისთვის? — სკამიდან წამოინია და თავი ახლოს მომიტანა.

— ნუთუ, ვერ ხედავთ კანონზომიერებას? — ხმას ავუნეი.

— რომ დავინახო, შენ ეს შევებას მოგცემს? — აღელდა თვითონაც, — არ არის მარტივი ამ ყველაფრის ერთმანეთთან დაკავშირება, თუმცა შენი იპოპონდრიის მიზეზი, შესაძლოა, შენი ფარული რომანი იყოს. როგორ წარმოგიდგენია ამ ამბის ბოლო, რამდენი ორგანო შეიძლება, მოიშორე და გაჯანსაღდე?

მთელი კვირა ვიფიქრე შეკითხვაზე.

საიდუმლო რომანის სხვისთვის გაზიარება თითქოს ძალა დაუკარგა ვნებას, ზამთარში მე და გაგი აღარ შეგხვდრივართ. გაზაფხულზე ისევ გამოვაცხადეთ Parfume Free Day, ჩანთაში ჩავიყარე ყოჩივარდები და მისვლისთანავე ტახტის თავზე დავავინე. ბოლოს გავედა ის დღე, „ლენ, ატარებდი ჩემს შვილს?“ — გაგიმ მუცელზე ხელი დამადა. „არ მიპასუხო,“ — იქვე მომიჭრა. მეც არაფერი მითქვამს.

— გინდა გითხრა, რა იქნება შემდეგი? საშვილოსნო! — ჩაი მოსვა და დუმილით პასუხი გამომძალა.

— ვიყავი ექიმთან. ჯერჯერობით, წესრიგშია, — თავი და სხეული ვიშარტლე.

— ვაგინა დღეს! — ხელები გაშალა, — მთლად შეთქმულებიც არ ყოფილან, — გამიღმა გამარჯვებულმა, — შენ თვითონ ანადგურებ ქალს შენში, რომელმაც ქმარს უღალატა, წლებია, მეგობრის ქმრის საყვარელია და ახლა მიგან ისურვა პირველად შვილი, — ბოლო სიტყვა ჩუმად და მკაფიოდ წარმოთქვა.

— არ ვიცი, რა შვილი, ისე ვთქვი! — სკამიდან წამოვდექი და ფანჯარასთან ზურგით დავდექი.

— შენ ვეღარ აღიქვამ შენ სხეულს მთლიანობად, დაანანერე, ზოგი ორგანო ბრმა გგონია, ზოგი ყრუ, ზოგი გამცემი. ებრძვი და იშორებ მოწმეებს, — ჩემს სათქმელს ამბობდა.

— ზოგი გამცემი, — გავიმოვრე ნიშნისმოგებით და თავი დავუქნიე.

— ლენიკო, შენ გაუცხოვდი საკუთარ სხეულთან. გგონია, შენ კი არა, ის დაიარება პაემანზე მეგობრის ქმართან. სადამდე მივიყვანს ეს ამბავი, ხვდები?!

მივხვდი და წამოვდექი! არ მიტირია, ხმას დავუდაბლე ვუთხარი, რომ ფეხის მიმდგმელი აღარ ვიყავი.

\*\*\*

ყურნალის მაგიდაზე ხელჩანთა გადმოვაპირქვავე, ყველა ფლაკონი დავცალე და წამლის აბები დიდხანს ვათამაშე. საჩვენებელი თითით ჯერ წრიულად დავალაგე ფერების მიხედვით, მერე დომინოს ქვებით ავურიე და სახლი ავამენე — საკვამურით, კითხით და ეზოში ყვავილებით. მთლად ქრიზანტემები არ გამომივლიდა. ბოლოს ყველა ერთად პუშპში მოვიქციე და თვალდახუჭულმა სახესთან ახლოს მივიტანე. ღრმად შევისუნთქე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ აბებს სიცოცხლის სურნელი არ ასდიოდა. რამდენიმე ცარიელი კოლოფი, ზედ მიწერილი ტელეფონის ნომრებით ჩანთაში ჩავაბრუნე, ნამლებს კი სინანულის გარეშე გამოვემშვიდოე და ნაგვის ყუთში გადავუძახე.

შავი ღვინო მოვიდგი და ყავის ჭიქაში ჩამოვისხი, მალევე მომთენთა და თავბრუ დამახვია. ბოლო ყლუპი სანდროს მაინა სურზე გადაამესხა, გავიხადე და ტახტზე გადავეშვი. ისევ მტკიოდა და ისევ ვერ ვანებდი, ხან გულის არეში მაპობდა ნაჯახი ორად, ხანაც ამოვარდნილ პულსს ვგრძნობდი საფეეტილებზე. ჩემს სხეულს ნივთებიდან დავყევი, უნდობლად ვეალერსებოდი და ერთიანი კონტურის მოხაზვას ვცდილობდი გონებაში. „ერთი თქვენგანი გამცემს მე“ — ჩურჩულით ვეძებდი მომდევნოს, გადათვლას აზრი არ ჰქონდა, თორმეტზე მეტნი იყვნენ. მაჯები მენჯებზე ჩამოვდე, ნამიანი ხელის მტევნები მუცელზე დავიფინე, საჩვენებელი და ცერა თითები ერთმანეთს მივაჯვინე და მუცლის ღრუში კენტი სამუცხედი მოვნიშნე. ძალა მოვიკრიბე, კომპიუტერთან მივბრუნდი და სანდროს მივწერე:

„სან, გამახსენე, ვისი შვილია ბეკეკა?“  
 მე რა მომკლავს, მთელი ცხოვრებაა უკანასკნელ სიყვარულამდე!

მარიამ ნიკლაური

\*\*\*
ჩემი სიზმრების კოდალები
მთელი ღამეა
უკაკუნებენ სიბნელის ზროს.

\*\*\*
სინთლე ახლაც გადამივლის ხოლმე სახეზე.
გულის ბაგუნიც ისე მინყდება,

\*\*\*
თვალს ვადევნებ საკუთარ თავს,
არსად დავეცე,
არასოდეს შემეშალოს სიმართლის ენა,

\*\*\*
ხანდახან მაინც
ცოტა მიდარდე.
ჩემს სიზმრის კარზე

\*\*\*
ტყე სასვია სათოვლიებით.
სიჩუმის ფეხქვეშ იშმუშნება
ჟანგისფერი, ნანისლი ნემო...

\*\*\*
აუცილებლად გათოვდება.
გატენილია ცა თეთრი ვნებით,

\*\*\*
ნეტა უფალსაც ხელს ხშირად რევს
კაეშანი მერვე ცისკრისა?...
ჟამიდან ჟამს ადამიანიც როგორ ბეზრდება

\*\*\*
ჩვენ რომ არ ვიყოთ
ასეთი მძიმე,
ასეთი მყარი,

\*\*\*
არყოფნამდე შეგიყვარა სულმა, უფალო.
დგანან ხეები სიკვდილ-სიცოცხლის

\*\*\*
როგორ არ მიყვარს ეგ დუმილი,
შენს ტუჩთან მდგარი.

\*\*\*
ახსიათებს გადატანები სხვა გვერდზე,
სადაც
სულ სხვა გმირია,

\*\*\*
დალოცვილი ხარ,
გაზაფხულო,
შენ კალთაში თავჩადებულ სიკვდილს აჯერებ,

\*\*\*
მიხლილია მინაზე ბაღბა,
წითლადაა მინარცხებული,

\*\*\*
შენი სიზმრები ჭედურია,
არაფერი არ ეცვლება,

\*\*\*
ლაჟვარდებს ნეტა ვინლა ჩივის,
სულ უბრალო, სადაც ჰაერში,

ხიჭვებივით შერჭობილან კორპუსები
და იმათი თავმომწონე აივნები,

\*\*\*
ჩემი ქალაქი ოთხ ბორბალზე შედგება მალე,
იაფ ბენზინს ჩაისხამს და

\*\*\*
ეს ჩასვრილი თბილისური სადარბაზო
წუხელაც დათვრა,
მწარედ აგინა მეზობელიც,

\*\*\*
მომიხუცდნენ მგონი სიზმრებიც,
გაუხუნდათ იმათაც ფერი,

\*\*\*
იაპონური მეთოდით მსურს,
გავისწორო ჩემი ქართული ტკივილებით

\*\*\*
სანაგვეც ისე ტკბილად აპურებს
ჩიტებს, ძაღლებს, ბავშვებს, მოხუცებს,





\*\*\*

არაფერი არ მინდა —  
არც მაღალი მთაწმინდა,  
არც სახელი, დიდება —  
არაფერში მჭირდება!..  
არაფერი არ მინდა,  
გარდა წყნარი ოჯახის,  
ნიგნი, სკამი, მაგიდა,  
თბილი ბუხრით ოთახით...

\*\*\*

თუ ჩემგან რამე სწყენია,  
ვთქვით — ვწუწუნებდი, ვწუხდი...  
დღეს ჩემი თავის მცხვენია,  
გუშინდელს ბოდიშს ვუხდი!  
რადგან დღეის დღე წინაზე  
უცხოც არის და ხარბიც...  
აკლია სითბოც, სინაზეც,  
ქუდმოგლეჯილიც გარბის!..

\*\*\*

ქრისტიანიც ვარ, ბუდისტიც,  
მაჰმადიანიც, მგონი...  
სამივე წმინდის მოძღვრებას  
ჩემი სინდისით ვწონი...  
მამა ღმერთს ჩემი გონება,  
სწვდება და ვერცა სწვდება...  
ფიქრი შენისლულ მყინვარის  
შუა კალთაზე წყდება...  
და მოგრუხუნებს თავდაღმა  
თავაშვებული ზევი...  
მუსრავს ჯებირებს გზადაგზა,  
სიკვდილის ხმაზე ბლავის...  
და მეცოდება საბრალო,  
ჩემი პატარა თავი!..

\*\*\*

მომავლის ცქერით დაღლილნი,  
დღეის დღეს არად ვადგებთ...  
ამოდ ოფლად დაღვრილნი,  
სიკვდილის პირას ვადგენთ:  
ქარის დევნას ჰგავს მინდორში,  
დღეების წინ-წინ ჩხიბვა...  
ანუ ბაღს, თეთრად რომ ჰყვავის,  
მაგრამ ნაყოფს არ იბამს...

\*\*\*

ნამყოსა და მყობადს შორის  
მიდი-მოდის კაცი...  
იტყუანება ანმყო სწორი...  
სუნთქვას აღარ ვაცლით!..  
მერე ვამბობთ — მკვდარი დროა,  
მზის სხივიც კი არ ჩანს...  
ვამბობთ — ხვალე როდის მოვა —  
დრო მორჩება ჩანჩალს!..

\*\*\*

ქართველებო!  
სად გარბიხართ?  
საქართველო აქ არის...  
აქ გვყავს დედა, აქ გვყავს მამა,  
ძმაკაცი და დაქალი.  
ქართველებო!  
ნუ გარბიხართ,  
საქართველო აქ არის...  
ჩვენი მიწა, ჩვენი წყალი,  
მარილი და შაქარი...  
ქართველებო, ქართველებო —  
საქართველო თქვენა ხართ!..  
სწეული და დავრდომილი იქნებ დედა გენახათ...  
...  
აღარ გახსოვთ?! —  
ემშას დარჩა უპატრონო ტაძარი!..

\*\*\*

მიყვარს, მიყვარს ოქტომბერი  
ქარიშხლების მერე...  
თითქოს ცაზე ვარსკვლავები  
მკრთალად ბოდიშს გგწერენ...  
ვეფერები, ვეფერები  
წყნარს და სათუთ ფერებს...  
მებრალემა, მებრალემა,  
თავზე ვუსვამ ხელებს...  
ნოემბერი მოდგომია  
ტყეებს, ქალებს, ველებს...

### ზურაბ ლობჯანიძე



\*\*\*

შემოდგომა ძალას კარგავს,  
ოქტომბერი იღვევა...  
მზე მინაზე ჩრდილებს ჰქარგავს —  
ღრუბლის ჯოგი ირევა.  
ამ თვლემას და გარინდებას,  
არღვევს ბუზის ბზუილი...  
ვფიქრობ — ირგვლივ რაც კი ხდება,  
არის დიდი ტყუილი...  
მოჩვენება, წარმოსახვა,  
ფერთა ულევ გამაში...  
მე და ბუზი, ცა და მიწა,  
შუქ-ჩრდილების თამაში!..

\*\*\*

დაინყო წვიმები (ოღონდაც ნოემბრის!..  
რომელსაც ზამთარი კუდივით მოებმის...  
თქვენ იტყვი — კი, მაგრამ, ეს არის დროებით —  
ეს არის ბუნება თავისი დროებით...  
კი, ძმაო, ასეა... კი,  
კარგად, ნახვამდის,  
მაისის მოსვლამდე, მაისის ნახვამდის...

\*\*\*

დედის მკერდში თავჩარგული,  
ვუსმენ ლამის წვიმას...  
ეს მეოთხე გაზაფხული  
კამკამებს და ბრწყინავს...  
დედა ზღაპარს მიყვება და  
ვითომ მართლა მძინავს...  
მაისია ხახხასა და  
ვხედავ გულით მცინარს —  
შვილს და დედას ჩახუტებულს,  
საუკუნის წინათ...

\*\*\*

დღეებს დაეტყო სიმოკლე,  
თუ შენ იჩქარი სირბილით?!  
გაუფერულდა სიცოცხლე  
და მისი ცალი სიკვდილიც!..  
რა გინდა... ნახავ იმ სოფელს —  
თეთრად გფქვავს დროის წისქვილი....

\*\*\*

როცა ანმყო არა გვაქვს,  
წარსულს მაშინ გავყურებთ!..

უცხო რამე სანახავს,  
თამარ მეფის საყურეს...  
თითქოს ვიხვეწო ზრდილობას,  
თვალ-ყურ-გრძნობებს ვაპურებთ...  
ამას ვარქმევთ გმირობას  
და აჩრდილებს ვმსახურებთ...

\*\*\*

დილა არის პირქუში,  
უქმური და მჭავე,  
თითქოს მანვეს ძილქუში,  
ვერ ავწიე თავი!  
არ დამთავრდა ეს მარტი!..  
(თუმცა აპრილიც ჰყვავის...)  
და დროც (სხვა დროს ფეხმარდი)  
ზის, ყვავივით ჩხავის...



ცოლ-ქმარი

ერთი ცულის ტარზე ეძინათ და კიდევ ცუფონიდათ. საზიარო ჰქონდათ სიზმარი. ტკბილი იყო იმათი პური, ღვინო, მარილი. როგორი შუქიანი ქალი მოუყვანიათ — ლაპარაკობდნენ. შეხედავდი და შემოგანათებდა კბილებისა და კანის სითეთრე, პირბადრი იყო. ცოლ-ქმარს მშვიდად ედგა ქედზე უღელი და მიდიოდნენ. მსგავსებზე შვიდჯერ შეივსო ქალი და შვიდჯერვე მოილოცინა. ხუთი თვის თავზე ნაადრევად ასტივდა ცოლს მუცელი და ნაბოლარა მკვდარი გაუჩნდა. ხელის კანკალით გადაახვია ქმარმა ჩვილი ბამბაზის სახვევებში და ბაღის ძირში დაასაფლავა. ცრემლი სდიოდა კარგა ხანს ცოლ-ქმარს. ბაღში, ჩვილის სამარხის გვერდით ატმის ნერგი მოიტანა ქმარმა და დარგა. აი, შენი ნაბოლარა ბიჭის კბილა — ცოლსაც ახარა. ხე გაიზარდა, გაიბარჯა, ყოველ წელს ჩვილის ვარდისფერი ლოყებივით ტკარცალბუნდნენ ბუსუსიანი ტკბილი ატმები. ცოლიც და შვილებიც თავს ევლებოდნენ ატმის ხეს, რწყავდნენ, მინას უფხვიერებდნენ მანამდე, სანამ სახლი ტანზე არ შემოეტმასნათ და ფეხებზე არ მოუჭირათ სოფლის გზა-შარამ. მერე კი ყველა შვილი თავთავიანთ ბედს ენია, მიმოიფანტა... დარჩნენ ისევე ცულის ტარზე ცოლი და ქმარი, მათთან ღობის ძირში გადუღღუღებული ერთი ატამიც. ცხოვრობდნენ მშვიდად მონაგებით გაფუყულები. გაზაფხულის ერთ დღეს მოხუც ქმარს ცოლი ხელიდან გამოეცალა. მარტოკა დარჩა ბერიკაცი, დარდმა მოხარა, დაალონა და ზურგზე პატარა კუზი ამოებერა. ეს შვილებსა და შვილიშვილებს ეგონათ, რომ თითქოს სიბერის კუზი იყო, სინამდვილეში ზურგით დაჰქონდა ცოლის საფლავი.

მსუქანი

თუ მსუქანი ხარ და თანაც ქალი, აუცილებლად სოფელში უნდა ცხოვრობდე. სახელს არა აქვს მნიშვნელობა, გერქვას მარუსა, ანდა თამარა... მთავარია, ნაზუქის ცხობა იცოდე, თონეში პურის ჩაკვრა, ღობის ძირში მდგარი „ლორა ქლივრისგან“ ჩირის კეთება. ერთი ერთგული კრუხიც უნდა გყავდეს, ქალის თვალებით გიმზერდეს და გენდობოდეს, როცა მის წინილებს წიგო, წიგოს ძახილით უახლოვდები, დასაკორტნად არ მოგაფრინდეს. თუ მსუქანი ხარ და თანაც ქალი, შენს ფაშაშაპა ხალათზე წინსაფარიც უნდა გექეთოს და წარამარა მორბოდნენ შენი გვრიტი შვილიშვილები მოთხუპნული ხელპირის შესანმენდად. ქმარიცა გყავდეს, ანუხებდეს რევემატიზი, ანდა სხვა რამე, ან თუნდაც ჯანმრთელი იყოს, მე რას დავეძებ, შენ მაინც უნდა სწუხდე შენს კაცზე: ოჰ, ფიჩხზე ნასულს, დილიდან პური ჯერ არ უჭამაო — დაქოთქოთებდე. თუ მსუქანი ხარ და თანაც ქალი, უნდა იჯდე ეზოს შუა, ვაშლის ჩეროში, ოფლიან სახეს ხილაბანდის ნვერით იმშრალებდე და მწიფე ლეღვივით, ტყაპატყუპით გიცვიოდნენ შვილიშვილები კალთაში.

ჩია კაცები

ჩია კაცებიც არიან პაპები. ვაზებსა ჰგვანან. რომ ბერდებიან, ვაზის ტანივით იხრებიან, იგრიხებიან. გამოუღვლად ასდით ტილოს ხალათზე შაბიამინისა და მზის სუნი. დროდადრო თავიანთ კობტა სახლს და ეზო-კარსაც ემსგავსებიან. სანამდე ქალი ადგებოდეს, ღუშელს ანთებენ. უთენია წყალზეც მიდიან, ეზიდებიან ბიღონებით, სათლით, ღოქით; ბავშვებისთვის — ჭრელი კოკურით. ზაფხულობით ბრიალა მაყვალს გულგრილად რომ ვერ ჩაუვლიან, ჩერდებიან. იქვე დგამენ სათლს და მუჭებს ივსებენ მწიფე მაყვლით. ცალ ხელში სათლი, ცალში — მაყვალი. შინ მისულები აქუჩებზე ლეღვის ფოთლებზე. ჯერ კიდევ მძინარე შვილიშვილების საწოლთან მიაქვთ, ცხვირზე კოცნიან. შვილიშვილები იმშუშნებიან, იღვიძებენ, დაინახავენ პაპას და მაყვალს, ეხუტებიან, ჟივფივებენ, ვინ დაეძებს უზმოს ან დილას, მწიფე მაყვლით ითხუპნებიან. საყვედურებიც არა სცდებთ თავიანთი ქალებისაგან — ახალგარეცხილ თეთრეულს ნუ აგანგვლინებ,

კაცო, ბალებსო! ილიმებიან ჩია პაპები, არ იციან ცოლების ბუზღუნზე ყურის დაგდება. გოლეულივით მანიერი და ტკბილია მათი ღიმლი. ჩია კაცებიც არიან პაპები. ვაზებსა ჰგვანან. რომ ბერდებიან, ვაზის ტანივით იხრებიან, იგრიხებიან. გარდაცვალების შემდეგაც კი დიდხანს ასდით მათ ხალათებს შაბიამინისა და მზის სუნი.

ლამაზო

ძროხა თუ ლამაზია „ლამაზოს“ არქმევენ ალბათ, არ ვიცი. მე ის ვიცი, რომ ლამაზო ბებიასთვის მიბარებულ ჩვილსა კვებავდა. შავი იყო. დინჯი. მაყვლისთვალეა. საბალახოდ სოფლის ნახირთან ერთად დადიოდა. ისიც სხვა ძროხეზივით კუდით იქმევედა ბუზალაკებს. მაგრამ სხვებისგან ცოტათი განსხვავებული იყო მაინც, რადგან ბებოსთვის მიბარებულ ჩვილსა კვებავდა. მთელი დღე თავ-

ნინო ქადაგიძე

ცერცვისტოლა ამბები



ჩახრილი იდგა და ძოვდა მატიტელებს, ჩიტიმძივებს, ლილიფარებს. ივსებდა ჯიქანს მინდვრის წვნიანით. საღამოს მოდიოდა და მოატორტმანებდა ორივე ფერდით მწვანე კორომებს. ჭიშკართან დიდი ხნის უნახავი დაქალივით ხვდებოდა ბებო, უგურგურებდა, დაარწყულბდა, ჩამობანდა გატიკნილ ცურებს, მიუდგამდა სათლს და იწყებდა წველას, თან უყვებოდა: ყმანვილმა ძილში გაიღიმა, დღეს კარგად ჭამა, ალუ მითხრაო. ლამაზო უსმენდა და ავსებდა სათლს დუღღუბელებით. სავესათლს გვერდით დადგამდა ბებო, გადაუხვამდა ხელს ზურგზე, ფერდზე, ახალ ნამჯას გაუფენდა ლოგინივით, კიდევ ერთხელ დაუყვავებდა და მიუხურავდა ბოსლის კარებს. რძე კი არ დუღდა, ყვავდა ცეცხლზე, იფურჩქნებოდა. მანვინის დედაში ერია სულ ცოტა ჩვილის უდედობა, სულ ცოტა ძროხის უთქმელობა, სულ ცოტა ბებუის მზრუნველობა. გაიზრდებოდა, რას იზამდა, აბა, ის ბავშვი?!

ფირო

ფიროს ერთი დედა ჰყავს ქვეყანაზე, ბაბულა ჰქვია. ბაბულა სოფლის ფოსტალიონია. მერე რა, რომ ფირო ოცდაჩვიდმეტი წლისაა უკვე, ზაფხულობით დედამისის ჩითის ხალათზე, შემოდგომა-გაზაფხულზე კი ბამბაზის ხალათზეა მინებებული და ერთად არიგებენ ვაზებებს. ზამთარში ფირო გარეთ არ გამოდის, ვერ იშოვა ბაბულამ მისი ზომის ფეხსაცმელი და ამიტომ. წელიწადის სხვა დროს თითებთან ამოჭრილი კალოში აცვია, დადის და ორივე ფეხის ხუთივე თითი მტკერტალახში დავანგლული დააქვს. ერთ დღილით ფიროს დედა ფეხზე არ დახვდა. თმაბურძენული ფირო დადგა დედის საწოლთან და დედი, დედის ძახილით გააყრუა მეზობლები. თებროს ფიროსი აღარ ესმოდა, სამაგიეროდ მის ყვირილზე შემოცვივდნენ ეთერა, ვალია, მერიკო...

ახლა სოფელში ვაზებებს აღარ არიგებენ, აღარც სოფლის ორლობებში მოხეტიალე ფიროსთვის მომიკრავს თვალი. ვისაც ვეკითხები, ყველა მხრებს იჩენავს: რავი, გუშინწინ სასაფლაოზე დავინახე, გუშინ ხოკიანთ სერიდან მობლაყუნობდაო. დღეს? არავინ იცის, ფირო სად არის.

მდინარე

სოფელს ერთი მდინარე აუცილებლად უნდა ჩამოუდოდეს. რა იცი, რაში გამოადგება?! უჩას გაბრაზებული ბებია, რომ დაიჩივლებს: ამ ბიჭის გადამკიდე, რომელ წყალში გადაავარდევ, ხომ უნდა იცოდეს საით წავიდეს?! „ზორბა“ ვალიკო თავის ვილისს ტალახიან საბურავებს ჩამოურეცხავს. ეთერო მატყლს გამოიტანს, გააფთქინებს. გოგოსათვის მზითვს ამზადებსო, ლაპარაკობენ. ნინას ბატები იჭყუმპალავებენ, ჩაყურყუმელავებებიან და ამოყურყუმელავებებიან ერთხელ ან ორ-

ჩხუბი

დიდი აშლილი ქალი იყო. გულის ხეთქვა იცოდა ყველაფერზე. დილაადრიან ქმარს თუ ღვინის ან არყის ჭიქით დაინახავდა, ასტეხავდა ქარს და ქარაშოტს. — აი, ხო მოგატანე, ვირების მეხრე! ეშმაკე-ბმა კი დაგაფეთონ! აგრემც მყარლმა დეემა დაგცეს პირო! — რა გაძრიედი, დადექი ქალო, — შეუტევედა ბაღჩამი ტარხუნის ან ოხრახუმის კვალში ჩაცუცქული კაცი, ცალ ხელში ნახევარი თონის პური ეჭირა, იქვე მინაზე ღვინით ან არყით გალიცილიებული ჩაის ჭიქა ედგა, მოწყვეტდა ორ ან სამ ლერ ტარხუნას, ხელეზზევე დაიფერთახვდა, თან პურს მიატანდა, მაგრამ ტკბილ ლუკმად ვინ შეარგებდა. — უსმინარო, ამ ადრიანად რა დროს ღვინო და არაყია, აღარც თონისთვის ფიჩხი მაქ და აღარც რა შეშა, ან ამხელა დღე რო ჩამონვება, ძილით უნდა გაქელო, კაცო, მიხედე საქმეს! — დაგესუსხა ტურეზი ამდენი წყევლით, დედაკაცო, დამაცა წავალ, — აქეთ შეუტევედა ქმარი ცოლს და მოწყურებულივით დაენაფებოდა ღვინით სავსე ჩაის ჭიქას. — ფეხმიდგმულოო, თავისნათქვამავ! — გააგრძელებდა ვაი-ვიშს ცოლი. აქ უკვე კაცი ნამოდგებოდა, მკლავს გაუყრიდა ბეჭებზე მოხურებულ პერანგში და თან მკვდარსა და ცოცხალს ზინყზე დაუცემდა ბრახიან ცოლს. ნაღდს აიღებდა და გაიჯახუნებდა ეზოს კარს. ახლა ცოლი ჩამოხლებოდა ბაღჩამი. ნინსაფრის კალთას აუვსებდა ქორფა კატკატო. მერე ნივრით და ძმრით ამზადებდა. შებინდებოდა, მაგრამ კაცი არსაით ჩანდა. — გამიწერა ეხლა ეგ სანაცილეო, ისევე ქოქოლას მიაყრიდა. აიღებდა ჯოხს და ჭრელ ხალათს. ნასახლარებისკენ გაუყვებოდა. იცოდა, სადაც ნახავდა ბერიკაცს. დაადგებოდა კუნელის ქვეშ, ფიჩხზე მინოლილ მძინარე ქმარს, მიაფარებდა თავის ჭრელ ხალათს — არ გაცივდე, შენი ჭირიმეო. ჩამოჯდებოდა იქვე ბალახზე და ქმრის გაღვიძებას დაელოდებოდა. გაღვიძებას, თორე განა ეძინა, თავს იმძინარებდა ბერიკაცი, ტურის კუთხეში გაუკრთებოდა მკრთალად ღიმლი. გაიფიქრებდა: მოიბრუნა პირი ქალმაო და ცოტა ხანს ასე იწვებოდა. მერე თავის ცოლს მიეშველებოდა, წამოაყენებდა, აიკიდებდა ფიჩხს და გაუყვებოდნენ ბილიკი სახლისკენ. დავხუჭავ თვალს და თვალწინ მიდგას შინისაკენ მობარბაცე ორი მოხუცი, გავახელ და — აღარ არიან!

ღარდა

ბავშვობაშიც ღარდას ეძახდნენ, ხანაც ღარდიკოს. ფანიანინდან მაყვლის ჯაგე-ბზე თავ-პირ დაკანრული და შარვალ და-გლეჯილი როცა ამოვივლიდა ჭალა-ჭალა, სერ-სერ, ორლობე-ორლობე, ბუქიანი, დატყავებული ფეხებით, მთლად გაღვითიებული შეალაგებდა ეზოში. მხარზე კავი და სირმით მოწული ორლიტრიანი ქილა მოედგა. ქილაში მწიფე მაყვალი ბრდღვი-ალებდა თუ ბრიალებდა, თვალს კი გტაცებდა. — დეე, ჯამში მანონს შაქარი მათყარე და კუტი პური ჩამიფშვენიო — ისე დაღრეჯით ეტყოდა დედას, რომ დედას რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, თავს ანებებდა და ბიჭისკენ გარბოდა ვიშვივით: უი, მომიკვდეს თავი შვილო, რატო იგრე მოგსვლიაო. მერე გამაძღარი ჩამოსკუშდებოდა ქვიტკირის დაბალ ლობზე, თან დაყვეღვილ ფეხებს ააქანავებდა და თან ფანდურზე გაჰყვიროდა „ლაღეე, ლაღეს“. დადექი, ბიჭო, ნუ გააყრუე სოფელიო — ვის უსმენდა რო?! დრო კი გადოდა. ერთი ჯაგლაგი ცხენი ჰყავს ახლა, ძმასთან საზიარო ვენახი ქუმბათში და ყანა შირაქში. კედელზე ფანდური, თავზე თექის კახური ქუდი, ერთი ხელი გამოსასვლელი შარვალ-პერანგი. ცოლი, ორი დასასრული მე-15 გვერდზე

# მწერლების საიდუმლო გამოცდილება

\*\*\*  
 მწერალთა სახლს ცნობილი მწერალი გივი მარგველაშვილი ეწვია. გაიმართა შეხვედრა მკითხველთან. საღამოს მოდერატორი ალექო კარტიოზია გახლდათ, რომლის თქმითაც, დიდი პატივი ერგო, გაძლოდა საზოგადოების შეხვედრას თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს კალმოსანთან. შესავალი სიტყვით მან დარბაზს კიდევ ერთხელ წარუდგინა გივი მარგველაშვილი და მოკლედ შეგვახსენა ბატონი გივის „უჩვეულო“ ბიოგრაფია. ალბათ იშვიათად თუ გადახდენია ვინმეს თავს იმგვარი ამბავი, მწერალს რომ გადახდა. „უჩვეულო“ მამისის, ტიტე მარგველაშვილის ტრაგიკული აღსასრულით დაიწყო. და ვინაიდან მწერლის მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების განმსაზღვრელი სწორედ ის ისტორიაა და მწერალთა სახლში გამართულ საღამოსაც, შესაბამისად, იგი გასდევდა თემად, ძალიან მოკლედ აქაც შეგვახსენებთ.



მწერლის მამა, ტიტე მარგველაშვილი ქუთაისის გიმნაზიის დამთავრებისთანავე გაემგზავრა გერმანიაში და 1913 წელს ჰალეს უნივერსიტეტში დაიწვა დისერტაცია კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის ისტორიოგრაფიაზე. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, ასწავლიდა გიმნაზიაში და მისდევდა მეცნიერულ მოღვაწეობას, ასევე — პოლიტიკურსაც. როდესაც „კოლხური ყოფა კოლხობურმა შეცვალა“ იგი ემიგრაციაში წავიდა. გივი მარგველაშვილი 1927 წელს გერმანიაში დაბრუნდა, იზრდებოდა ბერლინში, იქვე დაამთავრა სკოლა. 1945 წელს, ომის დამთავრებისთანავე, ტიტე მარგველაშვილმა წერილი მიიღო. მას ბერლინის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ინვესტირებასა და საგანგებო მოლაპარაკებაზე, რომელსაც ქართველ სამხედრო ტყვეთა ბედი უნდა გადაეწყვიტა. ქართული სათვისტომოს ავტორიტეტული ხელმძღვანელი უყოყმანოდ დასთანხმდა მიწვევას. გაემგზავრა და თავისი 18 წლის ვაჟიც თან გაიყოლა. საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შესვლისთანავე მამა-შვილი დააპატიმრეს და გასაბჭოებულ საკონტრაქციო ბანაკში გაგზავნეს. იქ გატარებული წელიწადნახევრის შემდეგ გივი მარგველაშვილი მოსკოვის გავლით თბილისში გამოაფრინეს, ხოლო მამამისი დახვრიტეს. ალექო კარტიოზიას მიერ წაკითხული ამონარიდი შემდეგი სიტყვებით დასრულდა: „ასე აღმოჩნდა მშობლიური კონტექსტიდან ამოგლეჯილი გივი მარგველაშვილი სამშობლოში, მშობლების ქვეყანაში, რომელიც მშობლებს მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაეტოვებინათ. იგი ისე ამოგდეს კონტექსტიდან, თითქოს ვიღაცას მის მაგივრად გადაეწყვიტოს, რომ „ცხოვრება ის ადგილია, სადაც ცხოვრება არ შეიძლება“. ეს განაჩენი მარინა ცვეტაევის პოემიდან არის. ამ შეძახილის ავტორს ცხოვრებაში არ აყებდნენ, მისი ადგილი მხოლოდ მწერლობაში იყო. გივი მარგველაშვილი კი თვით ბედისწერამ გადაისროლა ლიტერატურაში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე და უვადოდ. ერთადერთი საგზაო, რომელიც ცხოვრებიდან სამშობლოში გამოჰყვავდა, გერმანული ენა იყო“. ახალგაზრდამ სრულებით არ იცოდა ქართული. მას მერე თავის საარსებო არეს, გივი მარ-



გველაშვილი ცხოვრებას კი არ უწოდებს, არამედ ტექსტს, წიგნს. ბატონი გივი დიდხანს საუბრობდა თავის თემაზე — ერთმანეთში გადახლართულ თუ ერთ თემად ქცეულ ბიოგრაფიასა და წიგნში ცხოვრებაზე. ზღვარი რეალურ ისტორიასა და წიგნის პერსონაჟის თავგადასავალს შორის ნაშლილი იყო. დარბაზში მსხდომებმა, შეიძლება ითქვას, „წაიკითხეს“ თუ მოისმინეს წიგნი, რომლის მთავარი პერსონაჟიც მთხრობელი, გივი მარგველაშვილი იყო.

\*\*\*  
 არჩილ ქიქოძის ახალი წიგნი — „ჩიტის და კაცის ამბავი“ — რომლის პრეზენტაციაც მწერალთა სახლში გაიმართა, „სიესტამ“ გამოსცა. საყვარელი ავტორის ახალმა პროზაულმა კრებულმა უამრავ მკითხველს მოუყარა თავი. საღამო გამომცემლობის წარმომადგენელმა გახსნა. შემდეგ კი საზოგადოების წინაშე მწერალი წარდგა. ძალიან ვნერვიულობ, რადგან აქამდე წიგნის პრეზენტაცია არასოდეს გამიმართავს, ასე დაიწყო. შემდეგ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ სტუმრობისთვის, „სიესტას“ — შესანიშნავი გამოცემისთვის. კრებულის შესახებ კი თქვა: „აქამდე ცხოვრებაში ძალიან მშველოდა, რომ საკუთარ თავზე სერიოზულად არასოდეს ვლაპარაკობდი, ახლა კი მიწვევს ერთი-ორი სიტყვა მოგახსენოთ. რა გითხრათ, ორი მოთხრობაა შიგნით, ორი ვრცელი მოთხრობა. ერთს ჰქვია „ოჯახური პორტრეტები“, მეორეს — „ჩიტისა და კაცის ამბავი“, რომელიც წიგნის სათაურად გამოვიტანეთ. როცა ვწერდი, ყოველ შემთვევაში, და როცა ვამთავრებდი, ორივე მომზონდა, ამ მოთხრობებს თითქოს საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ მანც აქვთ — ორივეში გადებულია გარკვეული ხიდები წარსულთან, პერსონაჟების წარსულთან, ქვეყნის წარსულთან, საზოგადოების წარსულთან, ერთი ეხმაურება 90-იან წლებს და მეორე კი სტალინის პერიოდს და რეპრესიებს. მინდოდა, ტრილოგია გამოსულიყო. თავში მიტრიალებდა და ახლაც მიტრიალებს კიდევ ერთი მოთხრობის სიუჟეტი, რომელშიც იქნებოდა ხიდი გასაბჭოების პერიოდთან, მაგრამ მივხვდი, რომ არ ვიცი, როდის დავწერ, როდის მოვიცილი მისთვის, ამიტომაც გადავწყვიტე, ეს ორი მოთხრობა გამომეცა“.

ავტორის შემდეგ გაგა ნახუცრიშვილი გამოვიდა სიტყვით, საინტერესოდ ისაუბრა არჩილის პროზაზე, გაიხსენა პირველი წიგნი „ბიჭები“ და მის მიერ გაზეთ „რეზონანსისთვის“ დანერგული ერთგვარი რეცენზია, რომლის გამოც თავად რეცენზიის ავტორი გულნაკული დარჩენილა — გაცილებით მეტი შემქმელი მეთქვა არჩილზე.

ძალიან დამეხმარებოდა, თუ კითხვებს დამისვამთო, მიმართა საღამოს დასაწყისშივე არჩილ ქიქოძემ სტუმრებს. თავიდან, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დარბაზს ღიმილმა გადაურა. შემდეგ კი, როცა მწერალი ახალი კრებულიდან ნაწყვეტების კითხვას შეუდგა, დარბაზი გამოცოცხლდა, გაისმა შეკითხვები, შეფასებები და საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, წიგნის პრეზენტაცია გადაიზარდა მკითხველის შეხვედრაში მწერალთან.

მრავალმა გამომსვლელმა ისაუბრა არჩილ ქიქოძის შემოქმედებაზე, ბევრმა მათგანმა საგანგებოდ შეაჩერა ყურადღება ზაალ ანდრონიკაშვილის ანოტაციაზე, რომელიც ახალი წიგნისთვის დაიწერა. ის მართლაც ყველაზე უკეთ ახასიათებს არჩილ ქიქოძის პროზას: „ქართულ ლიტერატურას დიდი ხანია კარგი მთხრობელი არ ჰყოლია. არჩილ ქიქოძე მთხრობელია. მთხრობელი უზარალოდ მწერალი არ არის, მთხრობელი ეპიკური პოეტის უმცროსი ძმაა. მისი მონაცემი დინჯი და აუღელვებელია, მას არსად ერქარება, ოღონდ ეპოსისგან განსხვავებით, მისი პერსონაჟები გმირები კი არა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ეპოსისგან განსხვავებით, მთხრობელი ამბავი მამინაც არ არის გამოგონილი, როდესაც ის გამოგონილია, მთხრობელი გამოცდილებიდან მოდის და ეს გამოცდილება, თუ გერმანულ ფილოსოფოსს ვალტერ ბენიამინს დავუჯერებთ, ავტორიტეტს სიკვდილისგან იღებს.“

სადაც გამოცდილებია, იქ საიდუმლოცაა. ამიტომ ეს მოთხრობები, მიუხედავად იმისა, რომ სულ არ არის დეტექტივი, დეტექტივიცაა. არჩილ ქიქოძის მოთხრობას მკითხველი ნელ-ნელა, ჩუმად, შეუმჩნეველად მიჰყავს შიშველ, შეულამაზებელ, ბოლო სიმაღლესთან, რომელიც არც ლამაზია, არც იდეალური. და ამიტომ უფრო დამაჯერებელია. ამ დეტექტივის დანაშაუ-

ლი და სასჯელი, ცრურწმენა და სიამაყე, სიყვარული და სიძულვილი საქართველო, ოჯახური ამბების საქართველო, რომელიც სახელმძღვანელოებიდან ცნობილ ისტორიაზე უფრო ნამდვილია. შავ-თეთრი არ არის და ერთნაირად ეკუთვნის ჯალათებს და მსხვერპლებს, მათ შვილებს და შვილიშვილებს, მათი საერთო დანაშაულისა და სიყვარულის შედეგია“.


„ჩიტის და კაცის ამბავი“ გამომცემლობა „სიესტას“ მიერ წარდგენილია „საბას“ 2014 წლის დაჯილდოვებაზე, როგორც წლის საუკეთესო პროზაული კრებული. წიგნი უკვე ითარგმნება გერმანულ და პოლონურ ენებზე.

\*\*\*  
 მწერალთა სახლში „არტანუჯის“ მიერ გამოცემული ამერიკელი მწერლების წიგნების პრეზენტაცია გაიმართა. ლონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, „საპრეზენტაციო“ ფასად შეეძინათ უილიამ ფოლკნერის „სული რომ ამომდიოდა“, თომას ვულფის „დაკარგული ბიჭი და სხვა მოთხრობები“, ჰენრი ჯეიმზის „ასპერნის წერილები“, ო. ჰენრის, შერვუდ ანდერსონის, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდისა და თომას ვულფის „წოვლები“.

საღამოს ზვიად კვარაცხელია გაუძღვა. მან ისაუბრა გამომცემლობაში თარგმნილი ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებზე და ზოგადად შეეხო მთარგმნელობითი საქმის ხელშეწყობის თემას, როგორც „არტანუჯის“ ერთ-ერთ საგამომცემლო პრიორიტეტს: „დღეს წარმოგიდგენთ სახელგანთქმულ ამერიკულ ავტორებს, რომლებმაც არა მხოლოდ ამერიკული მწერლობის განვითარებაში შეიტანეს განსაკუთრებული წვლილი, არამედ უდიდესი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ლიტერატურაზე. თუმცა ერთი საკითხია ორიგინალური ლიტერატურის შექმნა და მისი შემოქმედება მკითხველზე, ხოლო სხვაა მისი თარგმნა. როგორ უნდა ითარგმნოს წიგნი, რომ ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინოს ქართველ მკითხველზე, როგორც, ამ შემთხვევაში, ამერიკული ლიტერატურა ახდენს ინგლისურენოვან საზოგადოებაზე? ვფიქრობ, ქართველ მკითხველს ძალიან გაუმართლა, რადგანაც წიგნები, რომელიც დღეს „არტანუჯმა“ მწერალთა სახლში წარმოადგინა, შესანიშნავად არის თარგმნილი. გადაწყვეტით, მოგვეფიქრებინა კომპოზიცია, საერთო თემა, რომლის გარშემოც ეს წიგნები მოიყრიდა თავს. წარმოგიდგენთ სრულიად განსხვავებულ ავტორებს, რომლებსაც ამერიკელებმა, ამერიკული ლიტერატურის შვილობა აერთიანებთ.“

საღამოს განმავლობაში ამერიკულ ლიტერატურაზე, ზოგადად, უცხოურ მწერლობაზე, თარგმანის პრობლემებზე საქართველოში და თავიანთ თარგმნილ კონკრეტულ ნაწარმოებებზე ისაუბრეს ანი კოპალიანმა, მაია ცერცვაძემ, რუსუდან მახათაძემ. სამწუხაროდ, მთარგმნელი მედეა ზაალიშვილი პრეზენტაციას არ დასწრებია, თუმცა მისი მიერ გადმოქართულებული რომანს — „სული რომ ამომდიოდა“ — გამომსვლელმა თარგმანის ხელაწილობის სახელმძღვანელო უწოდეს.

მოამზადა თამარ ჟურნალი



ნიკოლა მაძიროვი



ნიკოლა მაძიროვი თანამედროვე მაკედონელი პოეტი და ესეისტი. მისი ლექსები თარგმნილია 30 ენაზე და გამოცემულია ამერიკისა და ევროპის ანთოლოგიებში. 2007 წელს ნიგნისათვის — „გადატანილი ქვები“ — მიენიჭა „პუბერტ ბურდას ევროპული პოეზიის“ ჯილდო და მაკედონიის ყველაზე პრესტიჟული — „ძმები მილადინოვების“ — პრემია. ბიორკისა და ლუ რიდის არაერთი კომპოზიციის ავტორმა, კომპოზიტორმა ოლივერ ლეიკმა ნიკოლა მაძიროვის ლექსებზე შექმნა ჯაზ-კომპოზიციები, რომლებიც 2008 წელს ჯაზ-პოეზიის ფესტივალზე, პიტსბურგში, შესრულდა.

გამოყოფა

მე გამოვეყავი ყოველგვარ სიმართლეს დასაწყისზე, მდინარეებზე, ხეებსა და ქალაქებზე. მე მაქვს სახელი, რომელიც განმორების ქუჩა იქნება და გული, რომელიც გამოჩნდება რენტგენის სურათში. მე გამოვეყავი შენც, ყველა ცის და დაუფინყარი სახლის დედაც.

ახლა ჩემი სული დევნილია, რომელიც ეკუთვნის რამდენიმე სულსა და ღია იარაგს. ჩემი ღმერთი ცხოვრობს ასანთის ფოსფორში, შეშის ფორმამიცემულ ფერფლში. მე არ მჭირდება მსოფლიო რუკა, როცა მძინავს. ახლა თავთავის ჩრდილი ფარავს ჩემს იმედს, და ჩემი სიტყვა ისე ფასეულია, როგორც ძველი საათი, დროს რომ ვერ იხელთებს. გამოვეყავი საკუთარ თავს, რათა დაეუბრუნდე შენს კანს, თაფლისა და ქარის სურნელიანს, დაეუბრუნდე შენს სახელს, ჩემი სიმშვიდის აღმნიშვნელს. გავალო კარიბჭეები ქალაქისა, სადაც მე მძინავს, მაგრამ არ ვცხოვრობ. მე გამოვეყავი ჰაერს, წყალს, ცეცხლს. მინა, რისგანაც შექმნილი ვარ, ფესვებს იდგამს ჩემს სახლში.

ჩვენ დროს ვამჟღავნებთ

ჩვენ ვარსებობთ, როცა ფანჯრები და საიდუმლო მასალები გახსნილია. ჩვენ ვშლით მტვერს და ვერც კი ვამჩნევთ მკვდარს და მათ, ვინც სიკვდილამდე უყვარდა. ჩვენ ყოველთვის ვათავსებთ საღამურს ჩემოდნის უკან და ჩვენ ფესხაცმლებიც არასოდეს გადაიკვეთებიან. ჩვენ ვკითხულობთ წერილებს ერთხელ, რათა დავმალეთ საიდუმლო. ჩამოყრილი ხელებით ვამჟღავნებთ დროს. გაჩუმდი, გაჩუმდი, იჩურჩულე საგნები, რომლებიც ნაკლები ღირს, ვიდრე ეფემერული პეპელას შეწყვეტილი სიზმარი.

საათის ხელვაი

მიიღე შენი ბავშვობის მემკვიდრეობა ფოტოალბომიდან. გადაეცი მას სიჩუმე, რომელიც ფართოვდება და იკუმშება, როგორც ჩიტების გუნდი. მოიხელთე უფორმო ფანტელები და წვეთები, რომლებიც კვეთენ სიცოცხლის ხაზს. ილოცე მოკუმული ტუჩებით. სიტყვები მარცვლებია, საყვავილეში რომ ცვივა. სიჩუმე ისწავლება საშვილოსნოში. სცადე, დაიბადო, თითქოს ზარი იყო შუალამისას. და წამები წამიერად დაგეუფლებიან.

თარგმანა პაატა შამუშიაშ

ათანას ვანჩევ დე ტრასი

ათანას ვანჩევ დე ტრასი თანამედროვე საფრანგეთის ერთი უდიდესი პოეტი. დაიბადა 1940 წლის 3 იანვარს ბულგარეთის პატარა ქალაქ ხასკოვოში. დაწყებითი განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო. 1966 წელს დაამთავრა სოფლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის კლასიკური ენებისა და კულტურის სპეციალისტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გამოსცა ლექსების პირველი წიგნი და იმავე წელს სასწავლებლად გაემგზავრა საფრანგეთს. 1972 წელს სორბონში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ფერის სიმბოლიკა პოლ ვერლენის პოეზიაში“. 1974 წელს დაამთავრა პარიზის ალმოსავლეის ენათა ინსტიტუტი რუსული ენის სპეციალობით. სხვადასხვა დროს ფილოლოგიური სტაჟირებები გაიარა ათენში, რომში, ლონდონში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, სალამანკაში, ურბინოში, ლუნდში. ავტორია ლექსთა 50-მდე კრებულისა და არაერთი მონოგრაფიისა ისტორიისა და ხელოვნების შესახებ. დაინტერესებულია აღმოსავლური ლიტერატურითა და კულტურით. ორ-ორი წელი ცხოვრობდა სირიასა და ტუნისში, თითო წელი – საუდის არაბეთსა და მავრიტანიაში, ექვსი თვე – მაროკოში. გარდა ამისა, ორი წელი გაატარა რუსეთში. მოვლილი აქვს მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყანა. არის საფრანგეთის უკვდავთა აკადემიის დიდი ვერცხლის მედლის მფლობელი; არჩეულია ევროპის მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის, ბრაზილიის ლიტერატურის აკადემიის საპატიო წევრად. არის ველიკოტირნოვოს წმინდა კირილესა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. არის ავტორი მონოგრაფიებისა პეტრონიუსსა და დოსტოვესკიზე. არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ანტიკურ კულტურას და ლიტერატურას. მშობლიური ბულგარეთის ისტორიასთან ერთად კლასიკური ბერძნული და ლათინური ლიტერატურა მისი პოეზიის უმთავრესი მასაზრდოვებელი წყაროა.

მშობლიური ბულგარული და მისი სამწერლობო ენის, ფრანგულის გარდა ფლობს ინგლისურ, რუსულ, იტალიურ და არაბულ ენებს. სწავლობს ესპანურს. სხვადასხვა ენიდან თარგმნილი აქვს მსოფლიოს 50-ზე მეტი პოეტის ლექსები. არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის ელჩი. იყო მსოფლიო პოეტთა მოძრაობის ვიცე-პრეზიდენტი. ეს მოძრაობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 8000-მდე პოეტს აერთიანებს. შარშან ათანას ვანჩევ დე ტრასი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად აირჩიეს. არის მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი.

მისი პირადი საიტის მისამართია: <http://www.athanase.org>

ამ საიტზე ათანას ვანჩევ დე ტრასის 1200-ზე მეტი ლექსია გამოქვეყნებული, რომელთა ნაწილი თარგმნილია 30-ზე მეტ ენაზე.

ქართულად მისი ლექსები პირველად ქვეყნდება.

ცხოვრება გადის

ცხოვრება გადის! მხოლოდ შენ ხარ სინათლის სხივი – ხსოვნის მადანი გაუკანარავს თითქოს სატევარს, ერთსლა გთხოვ ახლა – დაბინდულის ფერებით ცივით, მაგ შენს თვალებში, ამ ჭალარა სევდის ჩატევას.

ცოტა სიკვდილიც! ჰოლდერლინი გაბრუნებს უკან. სიჩუმის ხმები ბოდვის ბორკილს ვერ გაუძლებენ. მოგონებანი სარეცელზე ტყვეობას სწუხან, სულის ძახილი გადიქცევა წიგნის ფურცლებად.

ორი კატრანი

I. ო, მიყვარს, მიყვარს, ქალბატონო, მე ეგ თვალები, და დაჭრილი ვარ ლაფვარდოვან მათი ისრებით, მე მაგ თვალების სიღრმეს ვერსად დავემალე, ვით ბედისწერას და შთანთქავენ და მოვისრები.

II. ეს ხიდი, ჩვენ რომ გვავრთებს და თანაც გვაშორებს, დროის უფსკრულზე სიტყვად არის გადადებული, ო, ქალბატონო, სულის ძაფებს ჩვენს თვალთა შორის ხიდი დაუნწავთ გულითადი და დიდებული.

პალმირა

მიყვარხარ! სიტყვებს სევდა ავსებს, ვით განშორება, გულს შორეული ჭრილობების ნიშანი აზის. მიყვარხარ! შენი ნიავი და შრიალი ნაზი ჭიჭინობელთა საღამოს ბინდს მიეშურება.

მიყვარხარ, როცა განთიადი ანთებს თვალებს, აანამნამებს მათ სიღრმეში უსასრულობას. ცრემლთა ნაკადი და ამინდის უსუსურობა, შენი სინათლე, შენი სუნთქვა თავბრუს დამახვევს.

მიყვარხარ! ძილი დაუკარგავთ ღამის ზმანებებს, მოგონებათა ქარავანი თავს არ მანებებს, ღამის ნამლეკა წყლის ძალით და ზახილის ძალით!

ჩემი პალმირის შენ განახვნი კარნი მარმაში, აღმოთქვი ღამე, დიდებული მეფურის ძილით, ცეცხლის სიმღერა ჩააქსოვე სისხლის ქარავში.

სანეკა

რომის ღირსება, ძლიერება, სინდის-ნამუსი, და ესპანეთის თავისუფალი სული მაღალი!.. შენი სიკვდილი სულ სხვაგვარი სევდით აღგვავსებს ამქვეყნიური ტრაგედიებით დასტურ დაღალულთ.

განსვენება

კვიპაროსებში ვილაცა მღერის და ხმაა მისი თითქოს ის ნავი, მეორე ნაპირს ცხოვრებისას რომ მიგაყენებს!



მთვარე, რომელიც აყვავებულს დაივლის ბალებს, მთვარე, რომელიც ხეთა სულის ცხრაკლიტულს ალებს, მთვარე, რომელიც მიდი-მოდის ეთერთან ერთად, ვარსკვლავთ ციმციმით, გვაგვებს ყველას, წყალობით ღმერთთა.

იდუმალია შორეული ზღვა, როგორც თასი, რომელსაც ქართა ვერცხლისფერი ჩურჩული ავსებს, მათთვის, ვინც ფასი სილამაზის იცის და იცის...

ვით მონყალების და ქსენონში მთვარეულს უვლის, ისე გველებს თავს დაღლილი სიმღერა სულის, ისე გიყურებს ყველა ტკივილს ცისა და მიწის.

მომზაურ მთვარას

და ხედებოდა, რომ ყველა ცდება, ვინც წარმოიდგენს, რომ ბრძანდება საკუთარი ბედის ბატონი!

ადგა, აილო რუხი ქალაღდი და მარტობით გაძეძგილი თავის ოცნება ფერად ხილვებად განასხეულა.

მონაარანის ქრისტა

(ხილვები მორის ლე სკუეზეკის ნახატის წინ) „შენ მთხოვე, თოვლით რომ გამეცხო ბოლო ფიალა, ფიალა, რომელს ეწოდება რძისგზა სახელად“. კენჯი მიაიძავა

სახელოსნოს ყრუ სიჩუმეში ის ყურს უგდებდა საკუთარი სულის სიჩუმეს.

და ხედებოდა, რომ ყველა ცდება, ვინც წარმოიდგენს, რომ ბრძანდება საკუთარი ბედის ბატონი!

სურათის ცენტრში აღმართა ჯვარი და რწმენით სავსე ხელით, რომელიც გამოფიტულ სხეულს გაექცა, ქრისტეს შიშველი ფიგურა შექმნა, მიგდებული და მინებებული მწუხარე ღამის სასტიკ მარწუხებს.

ხოლო მხსნელის სხეულის ირგვლივ, სადაც ჰაერი სავსე იყო უსასრულობით, მან დახატა წრედ მორკალული მიწიერი და ბინიერი და დაბნეული გუნდი მეძავთა. ერთნი – შიშველნი, რომელთ კბილით ეჭირათ სული, განამებული აჩრდილებით იკრუნჩხებოდნენ გარიყულობის მღვრიე მორევში, მეორენი კი – ვნებისაღმძვრელად დაფარულნი აქა-იქ ფლასით, დაფეხვილები დაფერხულობდნენ საკუთარი განწირულობის შეგნების ტყვენი.

და მერე, თითქოს იყო ბოდვაში, ოღრამთა ხროვა დახატა იქვე და კლიენტებიც გამოუჩინა. იყო ვაჭრობა ცოცხალი ხორციით, გულისამრევი ქაოსის უფსკრულს ვნებააშლილი აჩრდილების

მუგუზლები მიმატებოდა!  
დასუსტებული მწუხარებით  
იგი იჯდა დროის პარმაზე,  
დრო კი ამაოდ მოსთქვამდა  
თავის უბრალოებას და თავის სიღრმეს!

დიდხანს ისმენდა გაუგონარს,  
რისი მოსმენაც ყურებს არ სურდათ,  
რა შეახორცებს იარებს მკვდრისას!  
და რომ ეშველა რამე თავისთვის,  
ჯვარცმულ იესოს მიაშტერდა დაბეჯითებით.

და უცებ იგრძნო, რომ  
შიგნიდან თითქოს განათდა,  
რომ მოიცვა იგი სინაზემ, რომელიც  
ყველას გვეუფლებს,  
როცა ვხედავთ რასმე უხილავს  
და გარდასულზე ფიქრი შეგვიპყრობს!

და მოაშორა მზერა  
და მერე ათრთოლებული ხელით  
სურათის ქვემოთ  
ხელმოწერა დასვა თავისი.

**შორის ლე სკუეზეკი (1881-1940)** – ფრანგი მხატვარი. იყო მეზღვაური, ჯარისკაცი, მოგზაური, ავანტიურისტი. სკუეზეკის ნამუშევრები დიდი გამოშვებით გამოიჩინა. მისმა „მონპარნასის ქრისტემ“ მთლიანად შექმრა. მე ვიგრძენი ძლიერი რწმენა, რომელიც წარმართავდა ხელს მხატვრისას, რომლის გულიც სავსე იყო თანამობით.

**ო, ღვთისმშობლო დავინყაბულთა!**

*ჩემს უსაყვარლეს დეიდას, მარია დე სირაკოვოს*  
*„ის მხოლოდ მისი ბეჭდებით იცნეს“.*  
ოსკარ უაილდი „დორიან გრეის პორტრეტი“

ო, რა დიდია ეს ჩემი გული  
და რა ვინროა ეს ოთახი  
და რა ბევრია ამ ოთახში წიგნი,  
ალსავსე ამქვეყნიური სიბრძნით და შუქით.  
და რა ბევრია ამ წიგნებში სიტყვა და სიტყვა.  
და რა ბევრია ამ წიგნებში  
ჩიტების სტვენა,  
იმ ჩიტებისა, ჩვენს სახელებს რომ ინახავენ.  
იმ ჩიტებისა, რომელთა სული  
ფანჯრებიდან შემოფრენილ შექს ემატება.

აჰა, წიგნები! – მათში ჩემი მშობელი მხარის  
ბაღ-ვენახები აყვავებულან.  
ჩემი ხალხი, ჩემი ხეები, ჩემი ჩიტები,  
დიდაპატარანი –  
უფერულიდან დაწყებული  
ცისარტყელისებრ მრავალფერად ამღვრებულნი  
ამ წიგნებში აყვავებულან

ო, სულო ჩემო, გათხოვ, მიმიშვა  
ამ იდუმალი დღის ნაპირას,  
ვით ნაზი სიტყვა ღამისმიერ სიმყუდროვეში!

ო, ღვთისმშობლო თვინიერთა,  
უთქმელთა და დავინყებულთა!  
ღვთისმშობლო, მონყალეო,  
მოდი, აღბეჭდე შენი ამბორი  
დამაშვრალთა ცივ სხეულებზე.

და მაზიარე საიდუმლოს ამ სამყაროს სიხარულების  
ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ  
და აღმოსავლით დასავლეთისკენ.  
შენ განწმინდე ჩემი ფიქრები და მომეც ძალა,  
რომ აღვმართო მარადიული ჰარმონიის წმინდა ტაძარი  
სუყველა სახლში, სადაც ჩემსავით თავს აფარებს  
ყველა, ვინც იცის ხმადის ფასი,  
ყველა, ვინც იცის ოფლისა და ცრემლების ფასი.

შენ შეგვენიე მეც და იმათაც,  
რომ დალილობას ამქვეყნიურს  
პურისა და ველურ მარწყვის გემო მიეცეს,  
როგორც საზღაურს დამაშვრალთა  
ძალისხმევისთვის  
ამ ცხოვრების აუტანელ სისასტიკეში.

**ღვთისმშობლის ნაწილი**

*ფაბრის კუპუს*

„და თუ სიკვდილი სიტყვაა მხოლოდ?“  
*რენე კრეველი*

I.  
ამ ხმათა შუქი  
უნდა მოვფინო შუადღისას  
ჩემი ხალიჩის ნატივ სითეთრეს  
და ვერხვების ვერცხლისფერ ფოთლებს!..

ამ ხმათა ჯადო, თითქოს სისხლად დასდენია  
ფურცელს, რომელზეც პოემა უნდა დაიბადოს  
აბრეშუმის სიტყვებისაგან!

II.  
მერე შორიდან ლაჟვარდით და სინათლით მთვრალი  
ჭიჭინობელთა მოვარდება  
ანაზად გუნდი  
და სურნელოვან თავის ჭრიჭინით  
აახმაურებს ევკალიპტების კენწეროებს  
და ამღვრებს სხივმოსილი დღის მყუდროებას.  
სწორედ მაშინ სურვილის თაფლი  
უბინო ყმანვილთ ჩაეღვრებათ უმნიკვლო სულში  
და დაუსუსხავს მათ სხეულთა მარმარილოებს.

ღმერთებისადმი აღვლენილი ამ ჰიმნით სავსე  
მზე შეანელებს მცხუნვარე ნაბიჯს,  
რომ დაიბანოს პირი ბამბუკების ოქროსფერ ჩრდილში,  
სადაც ნიავის სულ-სულ მცირე ნამოქროლვაზე  
უთვალავი, უმწერო მწერი  
ყურს უგდებს როგორ იზრდება ირგვლივ  
უთვალავი ბალახი ღერო.

ხოლო ჩიტთა ბუდეები,  
მზით მონანავე,  
ცად მიინევენ  
ხეთა კვალდაკვალ.

III.  
ო, მეგობარო,  
ყოველნამიერ თუნდაც სულ მცირე ჩვენი ნაწილი  
ნიკნიკ-ნიკნიკით იმარხება  
დროის უფსკრულში!

და უსახელო წლებს და  
სიტყვებს და  
ღმერთებს  
ერთ საღამოს  
უბრალო ქვა  
ქვეშ მოიქცევს საბოლოო თავის სიმძიმით!

IV.  
გვედრი, პოემავე,  
დარჩი ჩემს გვერდით,  
როგორც საფლავის გარდუვალობა,  
აყვავებულის, დაუვინყარის!

მარქვი, პოემავე,  
მაიძულე დავიჯერო, რომ  
ღვთაებრივი უსასრულობა ჩვენი ოცნების  
მინყივ აავსებს იდუმალ არსით  
მშვიდ სიცხადეს სადაც სიტყვათა,  
რომ სამუდამოდ  
ბედნიერი ვიქნებით ჩვენი  
სიზმრისეული, წარმავალი ბედნიერებით.

**მწველი სურვილი, ქლოე**

„სინაზისგან და სიყვარულისგან  
დაგმძიმებიათ ქუთუთოები“.  
პოლ ლე სილიანსიერი

მწველი სურვილისაგან ტანი მითრთის, ქლოე,  
კვიპაროსის ბრალია, გაზაფხულის სუნთქვის,  
მაგ თვალების ფირუზი, საფირონი სულთქმის  
ციური სილაამაზის ცეცხლში მიმაქროლებს.

**ანდრონიკოსის ეპიტაფია**

მიდი, გამგელელო, და უამბე  
ვინაც ოდესღაც ასე მიყვარდა,



მორის ლე სკუეზეკი. „აქროლოვანის განკურნება“ (ფრესკა)

რომ ახლა ბინა იებში მიდევს  
და ჩემს ბაგეებს ალერსად ახსოვთ  
სახელთა მათთა ნაიარევი.

**პროზანაზი და პარღნი ციურნი**

*ბიძაჩემ ალექსანდრეს\**

„რადგან მეზობა წოდება ადამიანისა  
ჩემივე თავის სამახსოვროდ“.  
ხოსე ანხელ ვალენტი

ჩვენს ძვირფას მკვდართა აჩრდილები,  
როგორც აფრები,  
ოკეანის კრისტალურად სუფთა წყალს მიაქვს  
და ეგებება მათ ვაებით ვეება ღამე,  
ვარსკვლავთა გულში სამუდამოდ ჩასახუტებლად.

\*უფალო, მიიბარე შენი მოწყალე გულით პროზანისებრი სული ჩემი  
საყვარელი ბიძის ალექსანდრესი, გარდაცვლილისა 20 წლის ასაკში. მამაჩემს,  
ნიკოლაი ვანვე დე ტრასის ორი ძმა ჰყავდა: უფროსი მიხაილი და უმცროსი  
ალექსანდრე. ალექსანდრეს ცხოვრება ტრაგიკულად დამთავრდა.

**პერსალი**

გვიყვარდა ვერსალი მეფლისთა ნატიფთა,  
წართაულ ნათქვამთა ელვარე სიტყვები,  
სიცილთა შრიალი, ღმირთ სიტყობება,  
ფარჩებში ჩაფლული ვნებანი რაყიფთა!

**მა ამ ღამით ვერ დავიძინებ**

*დალიბორს*

„თრობა ხარ ჩემი,  
მე ველარასდროს გამოფხიზლდები,  
მე არ ძალმიძს გამოფხიზლება,  
მე არ მიინდა გამოფხიზლება.“  
ნაზიმ ჰიქმეტი

არა, ძვირფასო, ამ ნათელ ღამით,  
ამ თავანკარა ზაფხულის ღამით  
ვერ დავიძინებ!

ეს ვარსკვლავები, ჩემო ძვირფასო,  
ეს ვარსკვლავები დამათრობელი,  
და ეს სიჩუმე,  
ეს სიჩუმე,  
შენი თვალების ელვარებით განათებული,  
ჩემს წამწამებზე ჩამომსხდარან და ციმციმებენ.

ამ ნაზი ღამით,  
როცა ჩიტის ყოველი ბუდე  
ბედნიერებით სავსე ნავია,  
მე ვერაფრით ვერ დავიძინებ,  
ვერა, ძვირფასო!

**აისი**

მიყვარხარ! დადგა ამინდი აქ საჰაერო კოცნების,  
მიყვარს მაგ თმების ოქროსფერ აისის შუქში შრამუნი,  
მიყვარს ეგ ბავშვის თვალები, ეგ კაბა, ხელი შრომანის,  
მაჩიტელების სიცილი, შენი სიტყვები ოცნების.

**თარგმანა პაატა ნაცვლიძე**

მთარგმნელი

ლანა ლოლობერიძე

„არ მშობრდება განცდა, მაინც რა ბედნიერებაა, შეძლო, ჩაიძირო ახლად აღმოჩენილი და მიმზიდველი სიტყვის სტიქიაში მაშინ, როცა ცხოვრება მთლად გაუსაძლისი ხდება! და კიდევ ვფიქრობ იმაზე, რაც ყოველთვის ერთნაირად მოცეცხბს: ლექსი ნამდვილი განსაზღვრელობაა მაშინაც კი, როცა ის თითქოს მხოლოდ სასონარკვეთას ასხივებს. და ეს იმიტომ, რომ სიტყვას თავისი ღვთით მომადლებული ძალა აქვს — გაზიაროს სილამაზეს, რომელიც თავად არის სიკვდილთან თქვენი შემრიგებელი!“ — ეს ლანა ლოლობერიძის სიტყვებია. მან მითხრა, იმიტომაც დავთანხმდით ინტერვიუზე, რომ საუბრის თემა პოეზიაა, ჩემი თარგმანებია, თორემ პოლიტიკაზე გამუდმებით საუბარი ძალზე მოსაწყენი და არასაინტერესო არისო. ასე რომ, „ლიტერატურული გაზეთი“ ქალბატონ ლანას, არა როგორც კინერეჟისორს, არა როგორც დიპლომატს, არამედ როგორც მთარგმნელს წარმოგიდგენთ. ლანა ლოლობერიძე და პოეზია — ეს კიდევ ცალკე ბიოგრაფიაა.

— რატომ ან როგორ დაიწყეთ მთარგმნელობითი საქმიანობა? რეჟისორი ბრძანდებით, წლების განმავლობაში პოლიტიკურ სფეროში იმუშავებთ, გამორჩეულად სამოქალაქო აქტიურობით და არცერთ სარბიელზე წარმატება არ გაკლდათ. როგორ გაჩნდა, საიდან წამოვიდა სურვილი, რომ, ყველაფერთან ერთად, პოეზიაც გეთარგმნათ?


— ჩემს ცხოვრებაში პირველი სწორედ პოეზიით გატაცება იყო — ჯერ ლექსების წერა, შემდეგ თარგმნა. თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა ვთარგმნე პირველი ლექსი, ედგარ პოს „ანაბელ ლი“. ძალიან იმოქმედა ისტორიამ იმ ბავშვისა, სულ პატარა რომ გარდაიცვალა. მაშინ მივიჩინე, რომ ისიც ჩემსავით თხუთმეტი წლის იყო. იმ პერიოდში ჩემმა მეგობრებმა — რეზო თაბუკაშვილმა, თამაზ ჩხენკელმა, რეზი თვარაძემ, ზურაბ კაკაბაძემ, გურამ ასათიანმა, რამაზ პატარაიძემ და მე შევექმენით ლიტერატურული წრე. ჩვენ პოეზია გვასულდგმულვდა. წრეში პირველი თარგმანი სწორედ ჩემი „ანაბელ ლი“ გახლდათ. თარგმანმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბედნიერი ვარ, რომ ახალგაზრდობიდანვე მქონდა შესაძლებლობა, ლექსი სხვადასხვა ენაზე აღმექვა და განმეცადა. იმ ენებში კი უპირველესი ფრანგული იყო. ექვსი წლისა სკოლის ღონისძიებებზე ფრანგულად და ქართულად გატაცებით ვკითხულობდი ჰიუგოს „ბარიკადებზე“, ვიდრე, როგორც რეპრესირებულთა შვილს, საჯარო გამოსვლები ამიკრძალებს. მოგვიანებით ჩემს ცხოვრებაში დადგა ბოდლერის, ვერლენისა და ელუარის ეპოქა.

— როდის დადგა მათი თარგმნის დრო თქვენთვის, საფრანგეთში დიპლომატური მისიით რომ გაემგზავრეთ, მაშინ?

— არა, გაცილებით ადრე. საერთოდ, ყოველთვის მაშინ მინდებოდა ხოლმე თარგმნა, როცა გარშემო ყველაფერი ძალიან ტრაგიკული იყო. თბილისის ომის შემდეგ იტალიაში მიმიწვიეს — როგორც კულტურის ევროპული ასოციაციის გამგეობის წევრი, საქართველოს შესახებ მოხსენებით უნდა წარმდგარიყავი. ფლორენციიდან ვენეციაში მგზავრობისას ვთარგმნე ორი ლექსი — ვერლენისა და

ბოდლერის. ამას ფრანგული პოეზიის თარგმანებზე მუშაობა მოჰყვა. რაც შეეხება საფრანგეთში დიპლომატიური მისიით ჩემს ყოფნას, იმ წლებში გიიომ აპოლინერის ლექსები ვთარგმნე. მოგვიანებით კი ნიგნიც გამოვეცი. ფრანგი პოეტების გვერდით ჩემს „რჩეულში“ ერთი არაბი პოეტიც მოხვდა. მოხვდა იმიტომ, რომ 1986 წლიდან პარიზში ცხოვრობს. მართალია, ის არაბულად წერს, მაგრამ მის მიერვე ავტორიზებულ თარგმანებს ფრანგულად ბეჭდავს და მის შემოქმედებას



ფრანგული კულტურის ნაწილად მიიჩნევენ. „მას ქარის სილუეტი აქვს და უფსკრულში მოაბიჯებს“ — ერთ-ერთი ცნობილი ფრანგი კრიტიკოსის ამ დამაინტრიგებელი სიტყვებით გავიცანი არაბი ალი აჰმად საიდ ესბერი, ფსევდონიმით — ადონისი. მისი პოეზია აღმოჩენასავით იყო ჩემთვის.

— ფრანგ პოეტებამდე თქვენს ცხოვრებაში არსებობდა უოლტ უიტმენი და დიდი სიყვარული მისი შემოქმედების მიმართ. იმ სიყვარულის ნაყოფია, ალბათ, მონოკლავია, მის შემოქმედებას რომ მიუძღვნით.

— უოლტ უიტმენის შემოქმედებას ჩემი ცხოვრების მართლაც დიდი პერიოდი ეთმობა. ვიდრე თარგმნას დავიწყებდი, როგორც მკითხველი გატაცებული ვიყავი უიტმენით, რასაც ძალიან ენინააღმდეგებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტისა და ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობა, რადგან თავისუფლების მეხოტბე ამერიკელი პოეტით გატაცება საბჭოთა სტუდენტისა და შემდეგ ასპირანტისთვის სრულიად შეუფერებლად მიჩნდა. წინააღმდეგობის მიუხედავად, მე ჯერ სადიპლომო ნაშრომი დავწერე უიტმენზე, მერე — დისერტაცია. სხვათა შორის, ძალიან დამეხმარა შალვა ნუცუბიძე, რომელიც ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელი იყო. თემას, სწორედ უიტმენის გამო, არაფრით მიმტკიცებდნენ. შალვა ნუცუბიძემ სადღაც მიაგნო სტალინის წერილს მწერალ დემიან ბედნისადმი, რომელშიც სტალინი წერდა: „Èñ ñèçàè àì àðèèàí àè Òéù àí“ და მოჰყავდა მისი სიტყვები. ამან გადაარჩინა თემა. მახსოვს, როგორი კმაყოფილი იყო ბატონი შალვა, იმ წერილით რომ დაამარცხა კათედრის ხელმძღვანელობა. შემდეგ რაბინდრანათ თაგორი გადმოვთარგმნე. მაშინ თამაზ ჩხეკელი და მე ერთად ვმუშაობდით ხოლმე.

— გასული საუკუნის 50-იან წლებში, იმ სულისშემზუთველ ატმოსფეროში, როცა ალბათ სწორედ სინამდვილიდან



გაქცევის მიზნით თქვენ უოლტ უიტმენზე დისერტაციას წერდით, მოსკოვში შეხვედით ბორის პასტერნაკსა და ანა ახმატოვას. იქნებ გაიხსენოთ ის შეხვედრები.

— ახმატოვასა და პასტერნაკს მამიდაჩემის სახლში შევხვდი. მახსოვს, როგორ იჯდა ოთახის ერთადერთ სავარძელში ახმატოვა, ის აღარ ჰგავდა მოდილიანის ცნობილ ნახატს („მე დაგხატავდი უწყვეტი, ტეხილი ხაზით“, როგორც ამბობდა ცვეტაევა), სახის ნაკვეთს უკვე დაეკარგა სიმკვეთრე, მაგრამ თვალში! ახალგაზრდული, ელვარე და დამცინავი. ეს იმ ახმატოვას თვალები იყო, ვინც დანერა: „მაგრამ გახსოვდეთ, მე გაგაფრთხილეთ, ამ ქვეყნად ვცხოვრობ უკანასკნელად და აღარასდროს მოგვევლინებით“. გვიან სალამოს მამიდაჩემის მეუღლე, ევგენი ლუნდბერგი — თომას მანისა და ველფლინის მკვლევარი — და მე მოსკოვის ქუჩებში მივაცილებდით ახმატოვას. ის მაშინაც, როგორც მთელი სიცოცხლე, მეგობრებთან ცხოვრობდა. მახსოვს, როგორ ჩერდებოდა ყველა გადასასვლელთან, მერე თითქოს უფსკრულში უნდა გადაეშვასო, სწრაფი, მტკიცე ნაბიჯით ჭრიდა ქუჩას. ზუსტად ვერ ვიტყვი, რას ვგრძნობდი მაშინ, მაგრამ მოგვიანებით იმ გასეირნებამ, როგორც დიდი პოეტის მარადიული მიუსაფრობის სიმბოლურმა ხატმა, ჩემს მესხიერებაში სამუდამოდ დაიკავა ადგილი.

პასტერნაკს ასეთი თვისება ჰქონდა, ისე გელაპარაკებოდა, თითქოს რაღაცის გამო ბოდლერს გიხდისო. ის გილიმოდა პირადად შენ, თითქოს მთელი სამყაროს ღიმილს გჩუქნიდა. ერთხელ მამიდაჩემმა ჩემზე უთხრა, უიტმენსა და თაგორს თარგმნისო. პასტერნაკმა მთხოვა, რამე წამეკითხა. ნაკითხვით თაგორის „მე მინდა გითხრა სათუთი სიტყვა, ყველა სიტყვაზე უსათუთესი“. თვალდახუჭული მისმენდა. ქართული ენა პოეზიისთვის არის გაჩენილი, ბოლოს თქვა. მერე დიდხანს იყო ჩუმად. დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ წუთებში თავის მეგობრებზე — ტიცინასა და პაოლოზე, მათ

ლექსებზე ფიქრობდა.

— თუ არ ვცდები, მან თავისი ხელნაწერი ლექსიც გისასხოვრათ.

— ის ლექსი „ჰამლეტი“ იყო. იქამდე კი ნაგვიკითხა. თვალწინ მიდგას, როგორ მიყრდნობია წიგნის თაროებს და თავისი უცნაურად მღერადი ხმით კითხულობს „ჰამლეტს“. ისე ავლელდი, ტირილი მომინდა. და უცებ, თითქოს აღელვების გასაქარწყლებლად, გონებაში ამოიტივტივდა ვიღაცის გონებასახვილური ნათქვამი, პასტერნაკი ერთდროულად ჰგავს არაბსა და მის ცხენსო! სწორედ იმ წუთს მასში დავინახე არაბი და მისი ცხენი — ერთდროულად. და ცრემლებიც თავისით გაქრა. იმ დროიდან დამრჩა რელიკვიად პასტერნაკის ხელით დაწერილი „ჰამლეტი“, წამძღვარებით „ელენე ლოლობერიძეს“.

— მიუხედავად იმისა, რომ რუსული პოეზიით სიყვარულიდანვე მოცული იყავით, „თქვენი“ ავტორების ლექსები ყველაზე გვიან თარგმნეთ. რატომ მოხდა ასე?


— ცვეტაევა, ახმატოვა, პასტერნაკი, ახმატოვინა, ბროდსკი ის პოეტებია, ვინც ადრეული ახალგაზრდობიდან, სხვადასხვა დროს ამაფორიაქეს, შემძრეს და სამუდამოდ დამკვიდრდნენ კიდევ ჩემში. მაგრამ რამდენიმე ათეული წელი დამჭირდა იმისთვის, რომ გამეხედა მათი ჩემს ენაზე ამეტყველება. პოეტური თარგმანის შესახებ უამრავი, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი თეორიები არსებობს. ჩემთვის, პირადად, ყველაზე მრავლისმეტყველი პასტერნაკის განმარტებაა: „თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ავტორისგან, რომელმაც განიცადა დედნის ზემოქმედება შრომამდე დიდი ხნით ადრე. ის უნდა იყოს დედნის ისტორიული შედეგი“. მე, ალბათ, ეს სიტყვები გულზე იმიტომ მხვდება, რომ ყოველთვის მხოლოდ იმ პოეტებს ვთარგმნიდი, მთელ ჩემს ცხოვრებას რომ დააჩნიეს კვალი. ჩემთვის პოეზია აზრისა და მეტყველების მაქსიმალური კონდენსაციაა. და როდესაც სხვა ქვეყნის პოეტს „ვიგებ“ და ის „ჩემად“ გადაიქცევა, ბუნებრივად მიჩნდება სურვილი, ჩემს მშობლიურ ენაზე ავამეტყველო.

— და ამ პროცესში, თარგმნის პროცესში, რა არის თქვენთვის, როგორც მთარგმნელისთვის, ამოსავალი ნერტილი?

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ლექსის შინაარსი, ეს — თავისთავად, მაგრამ როცა უკვე ვულრმავდები პოეტს, როცა ის უკვე „ჩემი“ ხდება, დიდ ყურადღებას ვანიჭებ მისი ლექსის რიტმსა და რითმს. ვცდილობ, მივუახლოვდე მას. სიტყვა-სიტყვით არასოდეს მითარგმნია ნაწარმოები. ჩემთვის მთავარია ის ბიძგი, ტექსტი რომ მაძლევს. რითმის, რიტმების ძიება ძალიან საინტერესო პროცესია და როცა ვიპოვი, როცა ლექსი, უკვე ქართულად გადმოღებული, რიტმითა და რითმებით დედანს შეესატყვისება, მაშინ მაქვს ხოლმე განცდა, რომ მიზანს მივალნიე. პროფესიონალი მთარგმნელისთვის ტექსტის ქართულად თარგმნა ალბათ სხვა სახის პროცესია, ხოლო მისთვის, ვინც ამის სულიერ საჭიროებას თუ მოთხოვნილებას გრძნობს — სხვა.

— ბროდსკი ის პოეტია, ბოლო პერიოდში რომ თარგმნეთ.

— სულ ბოლო წლებში ბროდსკი მართლაც რაღაც ზევაივით შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში, შემოიჭრა თავისი მბორავი და ამავე დროს ფილოსოფიური, რეფლექსიებით დატვირთული ლირიკით და წაღეკა ყველაფერი, რაც გზაზე დახვდა. მისი რამდენიმე ლურჯყდიანი კრებული — „მშვენიერი ეპოქის დასასრული“, „ახალი სტრანსები ავგუსტას“ „მეტყველების ნაწილი“ და „გაჩერება უდაბნოში“ — ამერიკაში ყოფნისას შევიძინე და, როგორც აკრძალული ლიტერატურა, შემოვავარე საბჭოთა კავშირში. მისი პოეზია შინაგანი განხეთქილების შედეგადაა შექმნილი. მის ლექსებში ბოხოქრობს მთელი საუკუნის



ტკივილები და მარადიული მეტაფიზიკური პრობლემები — სამყაროსი, წუთისოფლის, დროისა და სივრცის. იგი მთელი მეოცე საუკუნის პოეზიის შედეგია და ოცდამეერთეს მომასწავებელი. როცა ვულრმავდებოდი მის პოეზიას, თითქოს რაღაც მითიურ ლაბირინთში შევდიოდი, საიდანაც გამოსავალი თვითონ უნდა მეპოვა, თავი უნდა გამერთვა მოულოდნელი მეტაფორებისა და თითქოს შეუძლებელი რითმებისათვის, ნეოლოგიზმების, ვულგარიზმებისა და მითოლოგიური ხლართებისთვის. მისი რითმიკა რუსული რითმიკის კულმინაციაა — სიმძაფრე, სისხარტე, მუდმივი თამაში ბედისწერასთან. სიყვარული და სიკვდილი — რაღაც ერთიანადაა განცდილი, მღელვარების მომგვრელი და დამთრგუნველია. ბროდსკი ძალიან რთული პოეტი. შესაბამისად

— რთულად სათარგმნელი.  
— საუბრის მიწურულს ისევ საფრანგეთსა და ფრანგულ ლიტერატურას და ვუბრუნდები. თქვენ იმ კულტურით ლამის ბავშვობიდან ნასაზრდოები ჩახვედით საფრანგეთში, როგორი იყო იქიდან დანახული, მისი შუაგულიდან აღქმული ფრანგული მწერლობა, ლიტერატურა?

— ყველაზე მნიშვნელოვანი რაც მინდა მინდა ვთქვა და რის დამკვიდრებასაც ძალიან ვცდილობ საქართველოში, ეს არის გასაოცარი დამოკიდებულება ფრანგებისა ლიტერატურის მიმართ. ყოველი ახალი წიგნის, რომანისა თუ პოეტური კრებული გამოსვლა ნამდვილ კულტურულ მოვლენად იქცევა ხოლმე. ბიბლიოთეკებში ეწყობა პრეზენტაციები, არ აყოფენ გამომხმარებელს ლიტერატურულ პერი-

ოდიკაში, იბეჭდება კრიტიკული წერილები. რაც მთავარია, სიახლეს ძალიან აქტიურად აშუქებს ტელევიზიაც, ავტორს ერთი ტელეარხიდან მეორეში ინვევენ, იმართება საჯარო კითხვა და ასე შემდეგ. ასეთია იქაური ყოველდღიურობა. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ახალი წიგნები ისე გამოდის, თითქოს არც გამოსულა. არავინ იცის მათ შესახებ, არავინ საუბრობს ახალ რომანებზე, პოეტურ კრებულებსა თუ თარგმანებზე. მერე ვიღაც დაგირეკავს და მოგილოცავს, გეტყვის, მომწონაო. ეს არის და ეს. ნამდვილი საზოგადოებრივი ინტერესი ლიტერატურის მიმართ ჩვენთან არ არსებობს. როგორც გითხარით, ძალიან მინდა ეს ინტერესი გავივადე, ჩვენ უნდა აღვიდგინოთ კულტურული ერის ფუნქცია, ეს კი ნიშნავს, რომ წიგნს უნდა ჰქონდეს ფასი, ნამდვილი ფასი.

— ახლა რაზე მუშაობთ?  
— ახლა ჩემს ბოლო ფილმს „ნაღვლიანი სიხარულის ქრონიკას“, რომელიც მთლიანად პოეზიას, პოეტებს ეძღვნება, რუსულად ვთარგმნი, შესაბამისად რუსულ ენაზე ვთარგმნი იმ ლექსებსაც, ფილმში რომ გაჟღერდა. ძალიან საინტერესო სა-მუშაოა. სხვა რა გითხრათ, ვკითხულობ და ვთარგმნი, ვთარგმნი და ვკითხულობ. მახსენდება ფრანგი პოეტისა და მთარგმნელის, რენე ვტიამბლის ნათქვამი, ნამდვილად მხოლოდ ის ნაგვიკითხავს, რაც გვითარგმნიაო. მე თვითონ ეს განცდა არაერთხელ მქონია. უცხოელი პოეტი „მენი“ მხოლოდ თარგმნის პროცესში ხდება. ამ თვალსაზრისით, მე „ჩემი“ პოეტები მყავს...

ესაუბრა თამარ ჟურული

დასასრული

შვილი და შვილიშვილები. ამას წინ ვენახში დავინახე, ვაზსა ყელავდა, თვალის გარშემო და ცხვირ-პირის გასწვრივ ნაოჭებიდან თაფლივით წვეთავდა მისი სახელი „დარ-დი-კო“ და ბალახიან ვაზის ძირში შეუმჩნევლად ნაკაპანკუპით ეწვეთებოდა.

უნდა თუ არა

უნდა თუ არა, მის მარტობაზეც უნდა დავწერო. უთხარით, რომ ჩამოიჩოროს, გვერდით მომიჯდეს, სანამ ვწერ, მარტო მაინც აღარ იქნება. არ დაილაღა მაგ ქვამარილის მარტოკა ლოკვით? ხან ასე ვხედავ: თითქოს გაყინულ მდინარეზე მიდოდა. მიდის, მიდის და სადაცაა ფეხი აუსრიალდება, ჩაუტყდება ყინული და წყალში ჩავარდება. ჯვარი ეწეროს!

ქალაქიდან დაბრუნებულს ცოლი სახლში აღარ დაუხვდა, აღარც შვილები. მეზობლებში გადააკითხა, არსაით იყვნენ. სახლში შესული კარადის კარის ჭრიალმა შეაკრთო, გამოდებული კარადიდან თაროები დათხრილი თვალეზივით უყურებდნენ. გაახსენდა ცოლის სიტყვები: სოფელში ცხოვრება აღარ მინდაო. მერე კი მოჰყვა დავიდარაბა და სასამართლო. სხვა აღარ ვიცი, ან თქვენ რაში გაინტერესებთ. ყური მოვკარი მისი ყოფილი ცოლი თურმე გათხოვდა. ამ ცოტა ხნის წინ დედა გულით გარდაეცვალა. მამა არ ახსოვს... ახლა მარტო დგას შუა ეზოში, დარდის შალავა წელამდე სწვდება, თიბავს და თიბავს. რაც უფრო ცელავს, თურმე უფრო მეტი ამოდის. დროგამოშვებით ცოტა ლობიოს, კარტოფილს, ქლიავს, ერთ ჩასუქებულ დედალს ან მამალს, ყველს, ერბოს, ყურძენს, გვერდნითელა მსხალს შვილებისათვის ნათესავს ატანს. უნდა თუ არა, მის მარტობაზეც უნდა დავწერო. უთხარით, რომ ჩამოიჩოროს, გვერდით მომიჯდეს, სანამ ვწერ, მარტო მაინც აღარ იქნება.

გოგო

მარიაჭია უნდა იყო, კაბაჭრელა, კაფანდარა ანაც ჟივჯავი. დადიოდე და დაქრიალებდე მინდორ-მინდორ, ნიავივით მოდებული იყო ქვეყანას. გაიდენიდე თეთრფრთიან ბატებს და სანამ მზე კანს არ მოგშუშავს, მინდორში იყო. ნაშუადღევს კი შინისაკენ გაიყოლებდე კაბის ბოლოთი ძურნა ბალახებს ან ზურგზე შემხტარ თითო-ოროლა მწვანე კალიას. — მოხველი, გოგო, მარიაჭია? — გკითხავდეს ბებო და შუბლს გიკოცნიდეს. შენც იხუტებდე ბებიას ხელებს. გეტკბურებოდე ყველაფერი: სახლიც, ბებიაც, ეზოში ჩეროც, ხის ტოტებიდან მხრებზე უჩუმრად შეცოცებული ჭიანჭველებიც, მინდორში მდგარი კუნელი და ახოს მაჟალოც. ბევრჯერ გაგაფრთხილოს ბებია: აკეცილ კალთით ნუ ეზიდები შინდს, ბიჭები თვალს აყრიან ალებენ, ჩამაიფარებდე ხოლმეო, მაგრამ ნეტია... დასუსხულ მკლავებით ჩამოიფერთხდე შინიდან კალთას, გარეცხავდე შინდს, ადუღებულ ტუტე წყალს დაასხამდე და მოთუთქავდე, მერე მზეზე გაფენდე გასამრობად, კარგად გამშრალს კი ისევე მარილს მოაყრიდე და ყვავილებიან ტორაკაში ჩაუძახებდე! ესეც ასე! ზამთარში შინდის შეჭამანდი უკვე გექნებათ.

წინო ქადაგიძე

ცერცვისტოლა ამბები



მეფურნე პავლეს ბიჭს უყვარდე, მაგრამ ვერ გაუგო კოხტაპრუნა სადედამთილოს! — ობოლია, კაფანდარა, გახანხალებული ოჯახი... და ვერ ვიგუებო! დაიჩივლოს და ქვაც აავდოს! სამი დღე პირქვე ეგდოს, მეფურნე პავლეს გიგო ვენახის ბოლოს ცრემლსა და ხორცებს ერთად ისროდეს. არ შეარჩინონ საგულელები. დააჩქარონ და შემოდგომით ჯარშიც გაუშვან. ათასი სიტყვა ითქვას, გადაითქვას თუ გადმოითქვას.

მარიაშობის წინა ღოცვაზე — „მიიდე და მომანოდე!“ — სამჯერ ჩაგესმას. მთვარის სპეკალივით იდგე ფეხშველა ჭილოფზე და ასრულე მღვდელმთავრის სიტყვას. ნეტა, რა სახელს დაგარქმევენ სამონაზვნედ შემოსილ გოგოს?!

ელიკო

ელიკო გაუთხოვარია, სახლი დაენვა და ახლა ძმის შვილის დაქვითი ბინაში გადაიყვანეს. თავისი მხოლოდ მცირეოდენი პენსია აქვს, მაღალი წნევა და შვიდი ცალი ქოთნის ყვავილი: დეკემბერა, გეორგინა, ბალბა, კალანჰოე, ბეგონია, გერანა და თეთრი ია. ესენიც რძალმა მოუტანა, გულს გადააყოლებო. ისე უფლის, აფოფინდება. ამ ზაფხულს სათევზაოდ გამზადებულ ზურას ჭიანჭველებიც კი აართვა, ქოთანში ჩაესვამ, მინას გააფხვიერებენო. ფანჯრის მინებს იქეთ როდესაც მინუს შვიდი გრადუსია, მინებს აქეთ, ფანჯრის რაფაზე ია ყვავის და რომელიღაც ქოთნიდან ამოყელყელავებული ჭიანჭველა ჩანს. მიხარია, ელიკოსთან სიცოცხლე ფუთფუთებს. სალამობით შევდივარ და წნევას ვუზომავ. პიტნის ჩაი, კაკლის ან საზამთროს მურაბა და ფინჯანთან თავისი ხელით მოქარული გახამებული ხელსახოცი სულ მელოდება. გუშინ სალამოს მაღალი წნევა სულაც არ ჰქონდა, მაგრამ მეტად სევდიანი მეჩვენა. დაიჩივლა — მეშინია, უჩემოდ როგორ იქნებიან ყვავილებიო. უცებ წარმოვიდგინე, ფანჯრის მინაზე აკრული მზრუნველობა მოკლებული სახლის ბავშვებით მომზირალი

ყვავილები. დედის მოლოდინით ჯერ მხრებ ჩამოყრილები, მერე მუხლებმოკვეთილები, თავს ქოთანს ჩამოადებენ და ჩამოჭენებიან. დედის მოუსვლელობით იმედგანაყლებული ბავშვები ყვავილები-სგან განსხვავებით კი არ ჭენებიან, იზრდებიან. ეს გავიფიქრე, ელიკო კი დავამშვიდე: შენ კარგად იყავი და ნუ გეშინია, შენს ყვავილებს ვიშვილებ-მეთქი.

სპინოზა

ბენედიქტ ბარუხ სპინოზასთან სულ არაფერი აკავშირებს. ეს მისი ზედმეტი სახელია, უბნის ბიჭებმა შეარქვეს. თუ მიყურადებ მთელი დღე მისი სახელი ისმის:

- სპინოზ, ნაგავი...
- სპინოზ, პური...
- სპინოზ, სიგარეტი...
- სპინოზ, „შახმატი“...
- სპინოზ, ბაზარი. . .
- სპინოზ, კისრის ტეხვა...

და ისიც დარბის, გაგეგზავნება პურზე, ორ ღერ სიგარეტზე, ჭადრაკზე, ნაგავზე, ტანისა ძალსაც ასეირნებს ხოლმე ხანდახან. სულ რაღაც თეთრებს უხდინა და ამით ირჩენს თავს. რამდენ თეთრსაც აძლევენ, სირცხვილისაგან იმდენჯერ კვდება, მორიდებული სულელია, ჩიტისგულა და ჩიტისცრემლა.

— სპინოზო, ნახე, შენსავით აიკა მოდის, თუ გინდა, ვეტყვი და გაკოცინებ, — სიცილით იმანჭება ვატო. ბიჭებიც სიცილით იგუდებიან. დაღუნავს თავს სირცხვილისაგან სპინოზა და ისე გარბის, რომ თვალის შევლებასაც ვერ ასწრებ. წინა დღით, ბაზრიდან მოსულ ვანო ბიძიას მეხუთე სართულზე მძიმე ჩანთები აატანინა, არც ერთი თეთრი არ აუღია, 5 შვილი გყავსო. პურს თუ მისცემ, ნახევარს მარტოხელა ვარდოსთან გაარბენინებს, ჩანოლილიაო. ვზივარ ახლა ჩემთვის ეზოში, გავყურებ სპინოზას ფანერა აფარებულ „ხრუმოვიკის“ ფანჯრებს და ვიცი, მის სახლში უფრო მეტი ღმერთია, ვიდრე მოპირდაპირე კორპუსის ჩეხურ ოთხთახიან ბინებში.

ერთი დღე

აი, ამ მთიდან იმ მთამდე იმდენი მანძილია, რამდენი ხანიც ჩხართეს სჭირდება, რომ გადაფრინდეს. მაგრამ ჩემს გულს ფრთები რად უნდა, უფროთადაც იმ მთის წვერზე ფრთხილებს, თავზე ევლება პირდამწვარ მთიბველს. ის მთიბველი ჩემი ქმარია, მოლივილივე თაფლისფერი თმით.

— ეჰეი... — დიდიღობობით გავმოვდგები სახლის ბანზე და ხმას კი ვერ ვანვდენ.

— ეჰეი... — გადმოდგება მთის წვერზე და ვერც ის მანვდენს ხმას.

ბუერიანი ხევის ბუბუნი ყლაპავს ჩვენს ძახილს.

შუადღისათვის ყველაფერი დულს — მინაც, წყალიც, ტყეც, ჩიტიც, ნიავიც, კერაც, კარდალაც და პიტნით ნაკმაზი მინდვრის ლობიოც.

ახლა გავლითქულ მზეს გავს ჩემი ქმარი, გახუნებული პერანგით და სახეზე ოფლით. ნეტა, ჩემსავით უყვარდეს ჩეროს, შეიფარებდა.

სალამოს შარვლის ჩამოშლილ ტოტზე ებლოტებიან ამ დღის ბარტყები, მაგრამ მოღრინავს სიბნელე და ამ ბარტყებსაც მიაფრთხ-მოაფრთხობს. ცალ მხარზე ცელით ბრუნდება ქმარი, ცელს წურწურით სდის ბალახის წვენი, ცალ მხარზე — აბგით. ტერფებზე აკრავს ამ დღის ნაფთევი.

შუალამისას ვწვებით ნაბადზე და ცას გავყურებთ. ტანზე ჭოჭყვივით გვაბნევიან თითქოს ვარსკვლავი. მუწელებით ვართ. არა და როგორ გვენატრება ერთმანეთის ხმა, მაგრამ არც ერთი ის ტყყყას არა ვძრავთ, დარდისა რამე არ დავცვდესო, ორივე ვფრთხილობთ, თორემ სალაპარაკო განა არა გვაქვს?!

ზამთარი


როცა ძვლებამდე ჩაალწვეს ყინვის ჭახ-ჭახი, აი, მაშინ უნდა იფიქრო, რომ დაგიდგა მართლაც ზამთარი. გაგებოტა შუა ეზოში და ისეთი თვალებით შემოგყურებს, რომ არ ისტუმრო, დაგაყვედრებს, ღმერთი არ გნამსო. ფუტკრის გატყეულ ჟოლს რომ უხმობს სკაში მეფუტკრე, შენც ისე უნდა დადგე ღუმელთან და ზამთარს უხმო: მოდი, მოდედე, მოოდი, მოდედე!.. ერთ წვეილ წინდაში ჩაატო გრძელი ზამთარი, შიბიანში, ჯვრიანთვალში, კანჭულაში ან ჯარანაში... იჯდე და ქსოვდე ცეცხლის პირას, ქმარ-შვილს ეძინოს. ზამთრის მკერდზე მიხუტებულმა გადმოიქსოვო იმისი გულის ბაგაბუგი, იმის ამბავი. შენ შენი დარდისა უთხრა, იმან თავისი გიამბოს, იქნება, თვითონაც არ უხარია რომ ზამთარია, იქნება, იმასაც ედარდება ნისკარტზე სტვენა შეყინული ნიპრია ჩიტი, ყინვისგან მუხლებ აკანკალებული ზღმარტლები და ბორბალა მსხლები?!

ზამთარი უფრო ცივი მაშინ არის, როცა უდევია, როცა დედის ნაქსოვი ერთი წყვილი წინდაც არსად დაგორჩა. გადააქოთე უჯრები და კარადის თაროები, გარუქებულს სადღა იპოვნი. სანამ ერთ დღესაც დედის და არ გამოგიგზავნის დაქსოვილებს: შამაიცვიო. დედის ხელე-ბი ატარებენ გარდაცვლილი დედის ხელის სითბოს, იმიტომაც გეცნობა წინდა. ზამთარიც თითქოს გეცნობა და თან ვერა ხვდები, შენი ღუმელის გვერდით როგორ-ლა მოხვდა, რატომ გესტუმრა?!

გასროლამდე ატირებული საკუნდანტი ანუ დუელი ქართულად

როსტომ ჩხეიძე თავის მხატვრულ თხზულებებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში ქართველთა ეროვნულ თვისებებს სწავლობს, ეძებს მათ წარმომავლობას, ცდილობს მიწვდეს და მოახსილოს ფესვები და აი, ამ ძიება-შესწავლის გზაზე კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია მცირე მონოგრაფია „ქართული დუელიანა“.

მსოფლიო დუელიანის ისტორიაში მისი ქართული ნაწილის გასაგებებელი ფენომენია, როგორც თავად ავტორი ამბობს ანოტაციაში, ცალკე რკალს ქმნის. გამორჩეულობას ქართულ დუელს ის გარემოება ანიჭებს, რომ თურმე არცერთი მსხვერპლით არ დასრულდებულა. ასეთი რამ კიდევ რომ აღმოჩნდეს შემდეგი კვლევისას, ის იქნება გამონაკლისი და კიდევ ერთხელ დადასტურებს კანონზომიერებას. წიგნში აღწერილი 25 შემთხვევა-



როსტომ ჩხეიძე ატირული დუელიანა

იდან არცერთს არ ჰქონია ტრაგიკული დასასრული. სწორედ ამის წყალობით წიგნი სახალისო საკითხავია.

ეტიკობა, ქართველის არტისტული ბუნება დუელსაც თეატრალურ სანახაობად აღიქვამსო, — ფიქრობს ავტორი. ალბათ, ოლონდ მიბჯენით შუბლში სროლა, წინასწარგანზრახული მკვლელობა (და არა დუელი) მთლად უცხო არ უნდა იყოს ქართველისათვის. რვა თუ ცხრა დუელი ჰქონია ილია ჭავჭავაძეს, წინამურთან კი ყოველგვარი სეკუნდანტებისა და ბარიერთან დგომის გარეშე გამოვასალმეთ სიცოცხლეს და ესეც ქართულია (რუსის და რუსული იდეოლოგიის ჩარევის მიუხედავად)...

საინტერესოა მიზეზი, რის გამო იწვევდნენ ქართველები დუელში შეურაცხყოფელს, რა მიზნით ღირსების შელახვად. წიგნში აღწერილი 25 შემთხვევიდან უმრავლესობა საზოგადოებრივ საქმეს — ქვეყნის, ერის დაცვას შეეხება და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში (დაახლოებით ხუთიოდე) მიზეზი ქალია.

ერთ-ერთი ასეთი დუელი ქუთაისის ბულვარში მომხდარა დავით მიქელაძესა და ალექსანდრე წულუკიძეს შორის. ამ შეტაკების პერიპეტეები ელგუჯა თავბერიძეს აქვს აღწერილი ბიოგრაფიულ რომანში „ნისლის ტიხარი“, როსტომ ჩხეიძე კი, რა თქმა უნდა, წყაროს მითითებით, იყენებს ამ მონათხრობს და საინტერესო კომენტარებსაც გვთავაზობს.

საერთოდ, ავტორისეული კომენტარები და შეფასებები მეტად საყურადღებო გახლავთ ამ წიგნში. მაგალითად, როცა როსტომ ჩხეიძე ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის გამართულ დუელს იხსენებს, გვიამბობს, რომ ორთაბრძოლის დაწყებამდე სეკუნდანტი, სიმბორსკი ატირებულა (არცერთი არ ემეტებოდა სასიკვდილოდ) და დუელიანტებიც შერიგებულან. ავტორი იქვე შენიშნავს: კიდევ კარგი, გასროლამდე ატირდა სიმბორსკი და არა გასროლის შემდეგო. ასეთი რემარკები ერთ რამედ ღირს.

შერვაშიძის ქალის გამო მოსვლიათ დუელი დავით ერისთავსა და ზაქარია ატამანის შვილს. მათი მამები 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი გახლდნენ და მტრის სისხლის დასაღვრელად ემზადებოდნენ, შვილებს კი ქალის გამო ერთმანეთის სისხლი დაუღვრიათ კინაღამო, — გვეუბნება ავტორი და ამით ბევრ რამეზე ჩაგვაფიქრებს (კი ღირდა ის ქალი, როგორც ჩანს, დუელად და სისხლის ღვრად, მაგრამ მაინც...).

არის აქ რამდენიმე გამორჩეული, დაუვინყარი გამოწვევა დუელში: დავით კლდიაშვილის მიერ პალმისა, ანდრია დადიანის მიერ დუზ-ხოტიმირსკისა, ნიკოლორთქიფანიძის მიერ ლეონელი ლექტორისა, ნიკო ნიკოლაძის მიერ დავით ფურცელაძისა... სხვებიც.

ყველა, ოცდახუთივე უაღრესად საინტერესოა, ყველა შემთხვევაში საქმე ბოლომდე გათავებულა. ანდრია დადიანს

ნინო ვახანია

ორი ჩანახატი

ბოდიში წერილობით მოუთხოვია და მიუღია კიდევ ცნობილი მოჭადრაკისგან. მობოდიშების ეს ბარათი, დუზ-ხოტიმირსკის მიერ ანდრია დადიანთან გაგზავნილი, თავის დროზე თენგივ გიორგაძემ იპოვა დადიანის არქივში და ბატონმა როსტომმა, ცხადია, გამოიყენა და შეაფასა კიდევ სათანადოდ.

ბოლო დუელი — მიხაკო-რევაზი — შიო არაგვისპირელის პერსონაჟთა ორთაბრძოლა, ისიც ქართული დუელიანის სრულყოფილი ნეკრი და მონაწილე. ტრაგიკულად კი დასრულდა დუელიანტთა ცხოვრება, მაგრამ დუელი მაინც არ შედგა, სხვათაგან რაგორ? ისინიც ხომ ქართველები იყვნენ.

საყურადღებო დასკვნები გამოიტანა ამ წიგნიდან შესანიშნავი ბოლოსიტყვაობის ავტორმა ივანე ამირხანაშვილმა. სხვამ შეიძლება კიდევ სხვა რამეც ამოიკითხოს აქ. „ქართულ დუელიანას“ მოჰყვა ზაზა აბზიანიძის შესანიშნავი გამოხმაურება (თუ სულაც გამოკვლევა) — „სადუელი პარადოქსები“.

მოსალოდნელია, რომ ავტორმა კიდევ შეავსოს თხრობა მაგალითებით (თუკი შემთხვევით გამორჩა რამე, უთუოდ თვითონვე მოიძიებს და დაუმატებს), მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არ შეიცვლება სულისკვეთება. დაიხატება ღირსების დასაცავად შემართული ქართველი, რომელიც მზადყოფნით თავგანწირვისთვის, შეუპოვრობით, სიმართლის დაცვის სურვილით მონინაღმდეგეს იარაღის გარეშე ახევენებს უკან. დამნაშავე კი ბოდიშს იხდის და საქმე დუელამდე არ მიდის... ისე, ასეთი გამოცდილება სჯობსო, — გვარწმუნებს ავტორი და ჩვენც ვეთანხმებით.

დუელის ხანა კი დასრულდა, თუმცა ღირსების დაცვა, სულიერი თავისუფლებისკენ სწრაფვა იმდენად ადამიანურია, რომ ის, ალბათ, არასოდეს მოიშლება და „ქართული დუელიანას“ დროც სულ იქნება.


კაცობრიობის გასაფრთხილებლად (ვარლამ შალამოვი — პერსონაჟი)

ელგუჯა თავბერიძის „კოლიმგრაფი“ სულისშემძვრელი მოთხრობაა, ვარლამ შალამოვის ნაწერებით გამოწვეული.

ყველა წიგნს, ყველა ნაწერს ადამიანი ისე კითხულობს, როგორც თავად შეუძლია აღქმა. მეტიც, ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე ნაწერში სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეს ხედავს და ამოიკითხავს ხოლმე. კითხვა ხომ თანაშემოქმედებაა და მკითხველი წიგნიდანაც იღებს გამოცდილებას და საკუთარი გამოცდილებითაც ავსებს მას. ისეთი წიგნის ნაკითხვას (და მითუმეტეს თარგმნას), როგორც შალამოვის მოთხრობების კრებულია, განსაკუთრებული სულიერი დაძაბულობა სჭირდება, ალბათ. თამაზ ნატროშვილის მშვენიერმა თარგმანმა შვა, ასე ვთქვათ, ელგუჯა თავბერიძის ეს შესანიშნავი გამოკვლევა.

ძნელია და, კიდევ კარგი, არ შეგვიძლია, საკუთარი გამოცდილება დავიხმართო შალამოვის ნაამბობის გასაგებად. კატა რომ ვერ გაივლიდა ლაგერში ან კოვზი რომ ვერ ექნებოდა პატიმარს, ასეთ დეტალებს ლაგერგამოვლილი მართალი კაცი თუ გვეტყოდა, თორემ ჩვენ, აბა, როგორ წარმოვიდგენდით.

შალამოვის მოთხრობები თავისუ-



ვიძის რომანის „ბორაი“ დასასრულს — ბადრაგებმა პატიმრები გადათვალეს, ერთი დააკლდათ და იქვე, გზაზე მომავალ მეურმეს სტაცეს ხელი. იმ ავბედით ეპოქაში მცხოვრები ყველა ადამიანის ხმად განზოგადდება მეურმის გაოგნება: მე რა დავაშავე, მე რაღათაო.

კოლიმაზე პატიმარი გრძნობდა, რომ თავგია, რომელიც კატა-ბედისწერამ სათამაშოდ დროებით გამოუშვა კლანჭებიდანო, — წერდა შალამოვი და ისევე და ისევე გვიჩნდება განცდა — მთელ ქვეყანაშიც ასე იყო. ადამიანი ყველგან საცდელ თავვად ექციათ და მხოლოდ ექსპერიმენტის ჩამტარებელი „ბლატარები“ გრძნობდნენ თავს კარგად.

კოლიმური მოთხრობების მთავარ თემად შიმშილს ასახელებს ელგუჯა თავბერიძე. ნიკოლორთქიფანიძის მინიატურებიდან („ტრაგედია უგმიროთ“) ქართველი მკითხველისთვის ნაცნობია შიმშილის მთელი საშინელება, მაგრამ ციმბირული შიმშილი სულ ახალ-ახალი ნიუანსების შემცველია... ჯერ მარტო იმის გაგება შეგზარავს ადამიანს, ციხიდან გაქცევას რომ აპირებდნენ, თურმე ერთ-ერთ ტუსაღს გზაში შესაჭმელად შეიგულეებდნენ და მხოლოდ ამ მიზნით შეიამბანაგებდნენ.

ბატონ ელგუჯას, რასაკვირველია, შალამოვის არც ქართველი პერსონაჟები დაუტოვებია უყურადღებოდ — მძლოლი, ექიმი... მათ შორის ერთი ქალიც (თუმცა კოლიმაზე ადამიანებს სქესი არც ჰქონიათ).

ალექსანდრე ლოლობერიძეს ეხება ერთი მოთხრობა და „კოლიმგრაფის“ ავტორი მასზე მსჯელობას აქცევს ქართველთა ეროვნულ თვისებებზე საუბრად, ლოლობერიძის რაინდულ ბუნებას საერთოდ, ქართველთა მახასიათებლად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ.

ბუნებრივია, რომ კოლიმაგამოვლილს ერთადერთი, მძაფრად გამოხატული ნატვრადა შერჩენოდეს — სამაგიერო გადაუხადოს, სახეში შეაფურთხოს იმათ, ვინც ასე უღვთოდ აწამებს ადამიანებს.

ყოველგვარი ძალადობისთვის სახეში შეფურთხება ისეთი მართალი და გულწრფელი წიგნები, როგორიცაა შალამოვის მოთხრობები და მისით შთაგონებული ელგუჯა თავბერიძის ნარკვევი. ასეთი რამეები, ალბათ, დაფარულის სამზეოზე გამოსატანად, საზარელი წარსულის ნათლად წარმოსაჩენად იწერება და კაცობრიობის გასაფრთხილებლად.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com